

ირანი თავდაცვაზე ალაპარაკდა A5



გორის ტერაქტის ახალი დეტალები A7



"ინსაითმა" მოსკოვის კლუბი გაავსო B2

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 8 თებერვალი, 2005 წელი. №28 (888) | ფასი 50 თეთრი

## ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა

# 10 თებერვალს დასახელდება



*ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას საქართველოს პრეზიდენტი ხუთშაბათს, 10 თებერვალს დაასახელებს. ეს მოხდება პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების შესახებ ყოველწლიური მოხსენებით გამოვა.*

გიორგი ასანიშვილი

კანონმდებელთა წინაშე "ვარდების რევოლუციის" ლიდერის პირველი "საანგარიშო გამოსვლა" ტრაგიკულ ფაქტს - ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებას - ემთხვევა. ამიტომ, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თქმით, საზეიმო განწყობა და პომპეზურობა, რაც პარლამენტში პრეზიდენტის მიბრძანებას უნდა ახლდეს, ამჯერად არ იქნება.

რაც შეეხება მთავრობის მომავალი წინამძღოლის ვინაობას, იგი მიხეილ სააკაშვილის საპარლამენტო გამოსვლამდე საიდუმლოა და მხოლოდ ვერსიების დონეზე დარჩება. პრემიერობის კანდიდატების დასახელებისგან, ცხადია, პარლამენტის სპიკერიც თავს იკავებს და მხოლოდ იმას აცხადებს, რეალური გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არისო.

**"იმ რანგისა და კალიბრის პოლიტიკოსი, როგორიც ზურაბ ჟვანია იყო, დღევანდელ საქართველოში ნამდვილად ვერ მოიძებნება. ახალი პრემიერ-მინისტრი, თავისი კომპეტენციით, ადამიანური და პროფესიული**

გაგრძელება A2 გვერდზე

# რაც აქამდე კონფლიქტების დარეგულირების საქმეში კეთდებოდა, ფუჭი იყო



მაია ჭალაგანიძე

*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა "სასაკავას მშვიდობის ფონდის" (იაპონია) მხარდაჭერით მოაწყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნეში: პრობლემები და პერსპექტივები". დღეს, როცა საქართველოსა და უკრაინაში დემოკრატიული ცვლილებები მოხდა და თანაც როგორ, როცა რუსეთი აშკარად იხრება ავტორიტარიზმისკენ, ამ კონფერენციის თბილისში ჩატარება მეტად ნიშანდობლივი ფაქტია და მთელი ხელისუფლებაც დიდი ენთუზიაზმით ემზადებოდა მასპინძლობისთვის, რომ არა 3 თებერვალს მომხდარი ტრაგედია. კერძო პირის, სასაკავას ფონდმა გამოყო ფული რეგიონზე, სადაც დიდი ინტერესები არ აქვს. როგორც კონფერენციის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე რონდელი ამბობს, "როგორც ჩანს, მთავარ დონორს სურდა რეგიონის წარმოჩენა და ალბათ, რევოლუციამაც დააჩქარა გადაწყვეტილების მიღება". კონფერენციაზე, რომლის მასშტაბისაც საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა, განიხილებოდა საკითხები "სამხრეთ კავკასია და საერთაშორისო უსაფრთხოება"; "უსაფრთხოება და რეგიონის დამოუკიდებლობა"; "რეგიონის განვითარების და დემოკრატიული განვითარების გამოწვევები".*

გაგრძელება B1 გვერდზე

ისარგებლეთ & იკითხეთ 24 საათი

იხილეთ B3 გვერდზე

## პოლიტიკა

ვინ იქნება? - მთავარი კითხვა



ზურაბ ნოღაიდელი არის პროფიციტული ბიუჯეტის ერთ-ერთი შემოქმედი, მას ჩამოყალიბებული ურთიერთობები აქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, კარგად ერკვევა პარიზის კლუბთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში, აქვს ფისკალური მონიტორინგის სერიოზული გამოცდილება.

A3

## ეკონომიკა

ახალი ელიტარული ქალაქი თბილისში



კრწანისის ყოფილი რეზიდენციის ახალი მესაკუთრე თბილისში იმყოფება.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 8/2 | 9/2 |
|---|---|---|
| თბილისი | -4 | 1 |
| ქუთაისი | 1 | 5 |
| ბათუმი | 3 | 6 |
| სოხუმი | -2 | 2 |
| ფოთი | 2 | 7 |
| თელავი | -4 | -2 |
| ზუგდიდი | 2 | 6 |
| გორი | -8 | -3 |
| ახმეტა | -4 | -2 |
| ჭიათურა | -5 | -1 |
| გაგრა | -4 | -1 |
| სამტრედია | 1 | 6 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8230 |
| ევრო | 2.3405 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4080 |
| რუბლი | 0.0648 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |


## უმჯობესია, ახალი პრემიერ-მინისტრი არ იყოს უცხოეთიდან ჩამოყვანილი

ნინო გომართელი

**დღის შეკითხვა:** *როგორი პრემიერ-მინისტრი ესაჭიროება დღეს საქართველოს? რა ნიშნით უნდა შეირჩეს იგი, რა თვისებების მატარებელი უნდა იყოს და თქვენ ვინ მიგაჩნიათ ამ თანამდებობისათვის ყველაზე შესაფერის პიროვნებად?*

**თინათინ ხიდაშელი,** *იურისტი:* ვფიქრობ, პირველ რიგში, დღეს უმჯობესია, ახალი პრემიერ-მინისტრი არ იყოს უცხოეთიდან ჩამოყვანილი ქართველი, რაზეც იყო კიდეც საუბარი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იგი კარგად იყოს გაცნობიერებული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, იმ ურთიერთობებში და თუნდაც დაპირისპირებებში, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებაში არსებობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ექიმების უყურადღებობამ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის, ნიკოლოზ კვეზერელის ბიურო აღშფოთებას ვერ ფარავს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც რამდენიმე დღის წინ მოხდა. რაიონის საავადმყოფოს ხელმძღვანელობის უყურადღებობით, სოფელ ველისციხეში მცხოვრები 49 წლის თინა ქვრივჭირიშვილი გარდაიცვალა. თუმცა, საავადმყოფოს მთავარი ექიმი, გელა ორველაშვილი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ დეპუტატის ბიურო, პირადი ინტერესების გამო, სკანდალს აგორებს.*

გაგრძელება A2 გვერდზე

## მოსამართლე პროკურატურის წინააღმდეგ ვერ წავიდა

ბექა სისაური
*ქუთაისი*

რამდენიმე დღის წინ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ "კანონიერი ქურდის" ალეკო იმედაძის სასამართლო პროცესი დაასრულა. იმედაძე 2004 წლის 14 აპრილს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის დააკავეს. მართალია, იმედაძე "კანონიერი ქურდია", მაგრამ აღნიშნულ საქმეში, გამოძიების მხრიდან, იმდენად აშკარად იკვეთებოდა ყალბი მოწმეებისა და მტკიცებულებების შექმნა, რომ ამას თავად მოსამართლეც ვერ გაურბოდა. მაგალითად, საქმეში ფიგურირებენ მოწმეები, რომლებსაც იმედაძის საქმის გარდა, 78 საქმეში აქვთ მონაწილეობა მიღებული. ხოლო იარაღიდან აღებული ხელის ანაბეჭდი თითქმის თავად იარაღის დიამეტრს აღემატებოდა. უფრო მეტიც, მოსამართლე შალვა ხაჭაპურიძე თავად აღიარებდა, რომ აღნიშნული მოწმეები 6 პროცესზე პირადად ჰყავდა ნანახი. სწორედ ამიტომაც, ერთი თვის წინ "24 საათი" იმედოვნებდა, რომ იმედაძის საქმე შესაძლოა, საქართველოში ის პრეცედენტი გამხდარიყო, როდესაც მოსამართლე პროკურატურის წინააღმდეგ წასვლას გაბედავდა, ყალბი მოწმეების ჩვენებებს არ დაეყრდნობოდა და იმედაძეს გაათავისუფლებდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# "პრეზიდენტს საკმაოდ საინტერესო წინადადებები აქვს"

სოფო ბუკია

სახელმწიფო კანცელარიამ, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარეშე, პირველი სამუშაო კვირა დაიწყო. კანცელარიის მეათე სართულზე, სადაც პრემიერის აპარატია განლაგებული, გუშინ იშვიათი სიჩუმე იდგა. ზურაბ ჟვანიას სამუშაო კაბინეტი დალუქულია. დილით ჩვეულებისამებრ სამუშაო ადგილებზე გამოცხადდნენ პრემიერის აპარატის თანამშრომლები და დაცვის წევრები, თუმცა ჟურნალისტებთან საუბარს ისინი თავს არიდებდნენ.

მთელი დღის განმავლობაში სახელმწიფო კანცელარიაში არ იმყოფებოდა არც პრეზიდენტი სააკაშვილი. პრეზიდენტის კორტეჟი კანცელარიას მხოლოდ საღამოს შვიდი საათისთვის მოადგა. კანცელარიაში გუშინ არ იყო არც ჩვეული სტუმრიანობა. ერთადერთი სტუმარი, რომელიც პრეზიდენტთან სასაუბროდ მივიდა, ნინო ბურჯანაძე იყო. როგორც შეხვედრიდან გამოსულმა პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, **"პრეზიდენტთან მას ბევრი სალაპარაკო დაუგროვდა, განიხილებოდა არაერთი საკითხი"**. რუსეთის სამხედრო ბაზები; კოდორში, მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზზე მომხდარი დივერსიული აქტი; გორის ტერაქტის საქმეში გამოკვეთილი ახალი დეტალები და, რა თქმა უნდა, ახალი პრემიერ-მინისტრის შესაძლო კანდიდატურები - ეს ის საკითხებია, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარემ და პრეზიდენტმა საათზე მეტ ხანს ისაუბრეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრემიერ-მინისტრობის შესაძლო კანდიდატების კონკრეტული გვარები გუშინ არ დასახელებულა. მხოლოდ ის ითქვა, რომ პრეზიდენტი აუცილებლად ჩაეტევა კონსტიტუციით გათვალისწინებულ ვადებში და პრემიერის კანდიდატურას **"ხვალ ან ზეგ დაასახელებს"**. ნინო ბურჯანაძემ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია მისი პრემიერად შესაძლო დანიშნვის თაობაზე. ბურჯანაძის თქმით, ის საკმაოდ კარგად ასრულებს მასზე დაკისრებულ საპასუხისმგებლო ფუნქცია-მოვალეობას პარლამენტში და არ აპირებს სხვა პოსტზე გადანაცვლებას.

**"პრეზიდენტს საკმაოდ საინტერესო წინადადებები აქვს პრემიერის კანდიდატურასთან დაკავშირებით... ეს იქნება კომპეტენტური ადამიანი როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში, რომელიც მისაღები იქნება პრეზიდენტისთვის, მთავრობისთვის, პარლამენტისთვის და საზოგადოებისთვის..."** - აღნიშნა პარლამეტის თავმჯდომარემ და ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება დღეს ერთიანია და ამგვარი კანდიდატურის მოძებნა არ გაუჭირდება.

თავად პრეზიდენტს გუშინ განცხადება არ გაუკეთებია. სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტებთან ურთიერთობას დღესაც მოერიდება. "ცრუ განგაში" აღმოჩნდა გავრცელებული ინფორმაცია საპარლამენტო უმრავლესობისა და პრეზიდენტის შეხვედრის თაობაზე. მსგავსი შეხვედრა გუშინ კანცელარიაში არ შედგა.

კანცელარიის კულუარებში, ისევე როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დერეფნებში, აქტიურად საუბრობდნენ ახალი პრემიერის შესაძლო კანდიდატურაზე. კულუარული ინფორმაციებით, ახალი პრემიერი აუცილებლად ე.წ. ჟვანიას გუნდიდან იქნება. შესაძლო კანდიდატთა გვარები და სახელები კანცელარიაშიც იგივე სახელდება, რაც პარლამენტში.

# ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა 10 თებერვალს დასახელდება

პირველი გვერდიდან

**თვისებებით, გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს,"** - მიიჩნევს საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელი. საიდუმლო არ არის, რომ არაოფიციალურად, პრემიერ-მინისტრის პოსტზე თავად ნინო ბურჯანაძის პერსონაც მოიაზრება, თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ეს თანამდებობა მისთვის არავის შეუთავაზებია.

კულუარებში საუბარია იმაზეც, რომ ხელისუფლება აპირებს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას, რომლითაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობა საერთოდ გაუქმდება. ასეთი ნაბიჯის გადადგმას ნინო ბურჯანაძე "არარეალურს" უწოდებს.

**"ამ ეტაპზე საკონსტიტუციო ცვლილებები არ იგეგმება. არ შეიძლება, ვაშენოთ ისეთი ქვეყანა, რომელშიც კონსტიტუცია მუდმივად ცალკეულ პიროვნებებზე იქნება მორგებული. უახლოეს პერიოდში დღევანდელ საკანონმდებლო რეჟიმში ვიმუშავებთ,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების შესაძლებლობაზე მხოლოდ შორეულ პერსპექტივაში საუბრობს.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებამ გარკვეულწილად შეცვალა პარლამენტის სამუშაო დღის წესრიგი. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე გადაწყდა, რომ სამშაბათი და ოთხშაბათი საკომიტეტო მოსმენებს დაეთმობა, ხუთშაბათს, როგორც აღვნიშნეთ, პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტს "უმასპინძლებს", კანონპროექტების განხილვას კი დეპუტატები პარასკევიდან შეუდგებიან.


საკონსტიტუციო ცვლილებები არ იგეგმება, - ამბობს ნინო ბურჯანაძე.
ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბიუროს სხდომაზე, რომლის დაწყების წინ დეპუტატებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზურაბ ჟვანიას ხსოვნას, პარლამენტარები, ძირითადად, გარდაცვლილი პრემიერის სახელის უკვდავსაყოფ ღონისძიებებზე მსჯელობდნენ. კერძოდ, კოტე გაბაშვილი გამოვიდა წინადადებით, დაწესდეს ზურაბ ჟვანიას სახელობის სტიპენდია, ხოლო ედვარდ სურმანიძემ გაიხსენა, რომ ზურაბ ჟვანიას დიდი ხნის ოცნება იყო, პარლამენტში სამლოცველო ან მცირე ზომის ეკლესია მოწყობილიყო... ბოლოს, გადაწყდა, რომ შესაბამის ღონისძიებებზე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა (თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი) იმსჯელოს და პარლამენტის წინაშე კონკრეტული წინადადებები წარადგინოს.

ზურაბ ჟვანიას პერსონის შესახებ ბიუროს სხდომაზე ნინო ბურჯანაძემაც ისაუბრა. **"მე ყოველთვის გაოცებული ვიყავი იმით, თუ როგორი ახლებური მიდგომები ჰქონდა ზურაბ ჟვანიას რიგი საკითხების გადაწყვეტის დროს. იგი მრავალი წლის განმავლობაში ღირსეულად უძღვებოდა პარლამენტს და ახალი იდეების გენერაციას ახდენდა,"** - აღნიშნა პარლამენტის სპიკერმა. გუშინ მან დეპუტატებს ის სამძიმრის წერილებიც გააცნო, რომელიც, მის სახელზე, სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტებიდან მოვიდა.

## მოკლედ

### სალომე ზურაბიშვილი ლიტვაში გაემგზავრა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ოფიციალური ვიზიტით ლიტვაში გაემგზავრა. დაგეგმილია მისი შეხვედრები ლიტვის პრეზიდენტ ვალდას ადამკუსთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ანტანას ვალიონისთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობას მიიღებს ასევე საერთაშორისო კონფერენციაში "ბალტიის ქვეყნები და სამხრეთ კავკასია".

როგორც გამგზავრებამდე სალომე ზურაბიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, მისი ვიზიტის მიზანია "საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე რაც შეიძლება წინ წაიწიოს." ამ საკითხის გარდა, მხარეები შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის მომავალ თანამშრომლობასაც განიხილავენ.

სალომე ზურაბიშვილი ლიტვიდან მიუნხენში გაემგზავრება, სადაც სამხედრო საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართება. **მედიანიუსი**

### თბილისში აშშ სანაპირო დაცვის სამსახურის ექსპერტი ჩამოვიდა

საქართველოში გუშინ სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის სამსახურის ექსპერტი საერთაშორისო სამართლის საკითხებში, მეორე რანგის კაპიტანი როსან ტრობაჩი.

იგი საზღვრის დაცვის დეპარტამენტში უკვე გაეცნო სანაპირო დაცვის სამსახურის სტრუქტურას, დღეს კი ტრობაჩი დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბადრი ბაწაძეს, სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს დავით გულუას, სახმელეთო საზღვრის მთავარი სამმართველოს უფროსს კორნელი სალიას შეხვდება.

ამერიკელი ექსპერტი გეგმავს, აგრეთვე, შეხვედრებს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებში, გენერალურ პროკურატურაში, იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტში.

ვიზიტის მიზანია საზღვაო საზღვრის დაცვის საკითხებში ქართული კანონმდებლობის გაცნობა და მისი საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

ამერიკელი ექსპერტის საქართველოში ვიზიტი 11 თებერვალს დასრულდება. **მედიანიუსი**

# "ქართული ვარდის" სიკვდილი

ზურაბ ჟვანიას სახელი არცთუ ბევრ ამერიკელს სმენია, მაგრამ, მეგობრის სახლში, აირის გაჟონვით მისი დაღუპვა არა მხოლოდ პირადი ტრაგედიაა, ამან ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთისათვის, შესაძლოა, სერიოზული პოლიტიკური შედეგები იქონიოს.

41 წლის ზურაბ ჟვანია საქართველოს პრემიერ-მინისტრი და, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად, "ვარდების რევოლუციის" თანაავტორი იყო, რომელმაც ერთი წლის წინ საქართველოს ნამდვილი დემოკრატია მოუტანა. ამ მოვლენებმა უკრაინაში მომხდარ "ნარინჯისფერ რევოლუციასაც" შეუწყო ხელი.

ზურაბ ჟვანია, რომელიც სააკაშვილმა დაახასიათა, როგორც მისი "უახლოესი მეგობარი და უდიდესი მოკავშირე," მტკიცე პიროვნება იყო, აქტიურად მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა საქართველოს მცდელობას, გამოსულიყო იმ ეკონომიკური კრიზისიდან, რაც "ვარდების რევოლუციონერებს" მემკვიდრეობით ერგოთ. ჟვანია იყო რეფორმატორი, ყოფილ საბჭოთა კავშირში მან ერთ-ერთმა პირველმა შექმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, რომელიც დემოკრატიული არჩევნების გზით მოხვდა პარლამენტში. იგი გახდა პარლამენტის სპიკერი და თანამდებობა ნებაყოფლობით დატოვა, რათა საქართველოს ძველი ხელისუფლების კორუმპირებულ მინისტრზე ზეწოლა მოეხდინა.

ეს ყველაფერი იქამდე მოხდა, სანამ ზურაბ ჟვანია სიცოცხლის ფასად, რისკზე წავიდოდა და მის მეგობრებთან - მიხეილ სააკაშვილსა და ნინო ბურჯანაძესთან ერთად, 2003 წლის ნოემბერში გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების წინააღმდეგ სამკვირიან მშვიდობიან, თუმცა მასობრივ საპროტესტო აქციებს ორგანიზებას გაუკეთებდა. მოკლე ხანში, სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, ნინო ბურჯანაძე - პარლამენტის ახალი თავმჯდომარე, ხოლო ჟვანია - პრემიერ-მინისტრი. მისი სამშვიდობო პოლიტიკა სააკაშვილის გაბედული მმართველობის საუკეთესო დანამატი იყო.

ისინი ერთობლივად ცდილობდნენ საქართველოს ყველაზე პრინციპული, ხოლო რუსეთისა და შეერთებული შტატებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე პრობლემის მოგვარებას და განდგომილ რეგიონებზე - სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას, სადაც ვლადიმირ პუტინის რუსეთი ადგილობრივი სეპარატისტების მფარველობას განაგრძობს.

გარდაცვალებამდე ჟვანია, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მშვიდობიან ინიციატივაზე მუშაობდა და კიდევ უფრო რთულ - აფხაზეთის პრობლემისადმი ახლებურ მიდგომას ამუშავებდა. ეს არის საქართველოში შავი ზღვის სანაპირო რეგიონი, რომელზე კონტროლის დაკარგვაც მოსკოვს ნამდვილად არ სურს.

მე ზურაბ ჟვანიას ათ წელზე მეტხანს ვიცნობდი და ძალიან მომენატრება მასთან თბილი, მეგობრული დამოკიდებულება. მაგრამ ეს დანაკარგი პირადულზე მეტია. საქართველომ უნდა აღადგინოს კონტროლი მის "დაკარგულ" ტერიტორიებზე, თუ ეს მის მოქალაქეებს სტაბილურობას მოუტანს, რადგან პრეზიდენტ პუტინის მიზანია, ეძებოს მისთვის საჭირო მარგინალური რეგიონები.

პუტინისათვის, რომელსაც უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა გავლენა შეურყია, ეს ძალზე სახიფათო ტერიტორიაა. ვაშინგტონისთვის, რომელიც ცდილობს, იქონიოს ბალანსის პოლიტიკა - კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს მოსკოვთან და, ამავე დროს, მხარი დაუჭიროს "თავისუფლებასა და დემოკრატიას", აღნიშნული პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება გადამწყვეტია. ჟვანია ამ პროცესში სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ახლა, ყველაფერ ამის სიმძიმე ერთ ადამიანს, მიხეილ სააკაშვილს აწვება მხრებზე.

*ზეინო ბარანი*
*ნიქსონის ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და ენერგეტიკული პროგრამების დირექტორი*

# ექიმების უყურადღებობამ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

პირველი გვერდიდან

პირველი შემთხვევა არ არის, როცა გურჯაანელი მედპერსონალის მიმართ პაციენტები უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ამ დღეებში მოხდარი ამბავი კი, ყოველგვარ ზღვარს სცდება.

თინა ქვრივჭირიშვილი, რომელსაც გადაუდებელი, სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროებოდა, მთავარმა ექიმმა, გელა ორველაშვილმა საავადმყოფოში არ შეუშვა. ამის მიზეზს იმით ხსნის, რომ ავადმყოფი გინეკოლოგიურ ჩარევას საჭიროებდა და ამიტომაც არ მოხდა ქვრივჭირიშვილის რეამინაციულ განყოფილებაში მოთავსება. **"იგი სამშობიაროს პაციენტი იყო, რადგან მას საშვილოსნოს კიბო ჰქონდა,"** - ასე იმართლებს თავს გელა ორველაშვილი, რომელმაც ოჯახის წევრებს მიუთითა, ავადმყოფი სამშობიაროში წაეყვანათ. სამშობიაროდან კი, მორიგე ექიმმა უკან გააბრუნა იმ მოტივით, რომ თინა ქვრივჭირიშვილის დახმარება მათ კომპეტენციაში არ შედიოდა. ამის გარდა, მიზეზი ისიც გახდა, რომ სამშობიარო სახლში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და ავადმყოფის დასაწვენი ადგილიც არ იყო.

**"ავადმყოფს ჩვენი, გინეკოლოგების დახმარება არ სჭირდებოდა, რადგან იგი ონკოლოგიური ავადმყოფი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ქალბატონს სისხლდენა ექნებოდა, მაშინ შეიძლებოდა ჩვენი ჩარევა. რაც შეეხება საავადმყოფოს, მათ ასეთი ავადმყოფისთვის სპეციალური, ხუთი საწოლი აქვთ და იქ ხდება სისხლის გადასხმები და ონკოლოგიური ავადმყოფების მდგომარეობიდან დროებით გამოყვანა,"** - განმარტავს გურჯაანის სამშობიაროს მთავარი ექიმი ნათელა გოგოლაშვილი.

თინა ქვრივჭირიშვილი ბოლო ერთი თვეა, რაც ავადმყოფობდა, ზუსტი დიაგნოზის შესახებ ინფორმაცია მისი ოჯახის წევრებისთვის იმ დროს გახდა ცნობილი, როცა მას გადაუდებელი სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. იმის გამო, რომ სამშობიარო სახლი და საავადმყოფო ერთმანეთს უგზავნიდნენ მომაკვდავს, ქვრივჭირიშვილები იძულებული გახდნენ, გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატის, ნიკოლოზ კვეზერელის ბიუროსთვის მიემართათ. ბიუროს ხელმძღვანელი კაკო ბეგაშვილი აღშფოთებას ვერ ფარავს მომხდართან დაკავშირებით. **"ავადმყოფი ოთხი საათი მანქანაში გვყავდა. არც სამშობიარო იღებდა და არც საავადმყოფო. რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ყველაფერს?"** -კითხულობს იგი და ყველაფერში გელა ორველაშვილს ადანაშაულებს. მისი თქმით, ორველაშვილმა მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლის თხოვნაც კი არაფრად ჩააგდო. **"როდესაც გელა ორველაშვილისგან ვითხოვდი პასუხს, თუ რატომ არ იღებდა ავადმყოფს, ასე მპასუხობდა, გინეკოლოგიურ ჩარევას საჭიროებსო. რეალურად კი, იმ დროს, აწ გარდაცვლილ ქალბატონს, რეანიმაციული დახმარება ესაჭიროებოდა,"** - ამბობს კაკო ბეგაშვილი.

დავიდარაბა მთავარ ექიმს და დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლებს შორის რამდენიმე საათს გაგრძელდა. ბოლოს კი სასწრაფოს ექიმებიც და თვით ავადმყოფის ოჯახის წევრებიც იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თინა ქვრივჭირიშვილი თბილისში გადაეყვანათ. სასწრაფო სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც, ავადმყოფის გასაჭირი გულთან მიიტანეს და პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, ქალბატონ თინას ოჯახის წევრებს თბილისამდე ჩაყვანის იმედს მაინც ვერ აძლევდნენ, რადგან, იგი ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ავადმყოფის გადასაყვანად კი, საავადმყოფოს ხელმძღვანელობისგან ნებართვა იყო საჭირო, მაგრამ დაზარალებულის ოჯახის წევრებს და კაკო ბეგაშვილს აქაც გელა ორველაშვილისგან წინააღმდეგობა შეექმნათ. **"მთავარ ექიმს პრობლემა არ ჰქონდა, რომ სასწრაფო დაგვექირავებინა, რადგან მასში 150 ლარი უნდა გადაგვეხადა, მაგრამ როცა ნებართვაზე მიდგა საქმე, იგი კატეგორიულად შეგვეწინააღმდეგა, იმ მოტივით, რომ ავადმყოფი მისი პაციენტი არ იყო, ჩვენ კი, ოთხი საათი ვიხვეწებოდით ავადმყოფი დაეწვინა საავადმყოფოში და გადასხმები ეწარმოებინა, რაც არ გააკეთა,"** - ამბობს ბეგაშვილი.

გელა ორველაშვილი თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და ასეთ კომენტარს აკეთებს: **"ეს ქალბატონი გინეკოლოგიურ ჩარევას საჭიროებდა და რა ჩემი ბრალია? რაც შეეხება კაკო ბეგაშვილს, მას ჩემ მიმართ პირადი ინტერესები ამოძრავებს და ამიტომ ატეხა ამ ამბის ირგვლივ აჟიოტაჟი,"** - ამბობს გელა ორველაშვილი.

ერთი კი ფაქტია: სამედიცინო დაწესებულებებს შორის ურთიერთგადაბრალება უბედური შემთხვევით დასრულდა. 49 წლის თინა ქვრივჭირიშვილი ექიმების უყურადღებობის მსხვერპლი გახდა. მას სახლში ობლად ორი შვილი და მეუღლე დარჩა.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** უახლოეს პერიოდში ირინა სარიშვილი თავისი არასამთავრობო ორგანიზაციის "სახალხო დაცვის ლიგის" გაუქმებას და ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებს.

მისი აზრით, მალე საპარლამენტო ხელისუფლებაში კრიზისი დაიწყება და არ არის გამორიცხული, რომ საპარლამენტო არჩევნები ვადამდე ჩატარდეს.

ირინა სარიშვილი არჩევნებში მონაწილეობას სწორედ ახალი პოლიტიკური გაერთიანებით აპირებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ზურაბ ჟვანიას მკვლელები ხელისუფლებაში იმყოფებიან. არ მჯერა, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო," - აცხადებს "სახალხო დაცვის ლიგის" ხელმძღვანელი ირინა სარიშვილი, თუმცა ის კონკრეტული პირების დასახელებისგან თავს იკავებს. მისი თქმით, მათი ვინაობის დადგენა გამოძიების საქმეა.

სარიშვილის აზრით, ასეთი ვითარებაში ჟვანიას სიკვდილი მრავალ კითხვას ბადებს.

"არ ვიცი, სააკაშვილს რამდენად ყოფნის გონება, რომ შორს გაიხედოს და დაინახოს, რა ცუდი ფაქტია ეს მათთვის, რადგან ჟვანიას დაკარგვით ამ მთავრობამ დაკარგა "გონება". ეს არის სააკაშვილის ხელისუფლების დასასრულის დასაწყისი," - აღნიშნავს სარიშვილი და საქართველოს სახიფათო ხანმოკლე დიქტატურის დასაწყისს უწინასწარმეტყველებს.

"სახალხო დაცვის ლიგის" ხელმძღვანელის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მან პირველი კომენტარი გააკეთა ჟვანიას შესაძლო მკვლელობასთან დაკავშირებით, მის მიმართ კვლავ განახლდა მუქარის ზარები. სარიშვილი კატეგორიულად მოითხოვს ხელისუფლებისგან, დაუნიშნოს მას სახელმწიფო დაცვა, რომელიც ერთი წლის წინათ მოუხსნეს.

თუმცა, აქვე დასძენს, რომ მას არ აქვს ამ დაცვის იმედი, რადგან "დაცვა ჟვანიასაც ჰყავდა." **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ლიდერი ნანა კაკაბაძე ვარაუდობს, რომ მომავალი პრემიერ-მინისტრი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კემულარია გახდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით მოსკოვში, საქართველოს საელჩოში სამძიმრის წიგნი გაიხსნა. გუშინ სამძიმრის გამოსათქმელად საელჩოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი მივიდა.

სამძიმრის წიგნში გაკეთებულ ჩანაწერში ლავროვმა მწუხარება გამოთქვა ქართველი ხალხისა და ხელისუფლების მიმართ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული და მოულოდნელი დაღუპვის გამო. "ზურაბ ჟვანია იყო პიროვნება, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თავისი სამშობლოსთვის და რუსულ-ქართული ურთიერთობებისთვის. ზურაბ ჟვანია ყოველთვის დარჩება ჩვენს გულებში," - აღნიშნულია ჩანაწერში.

სერგეი ლავროვმა ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა და განაცხადა, რომ მხოლოდ მისასამძიმრებლად მივიდა საელჩოში.

გუშინ საქართველოს საელჩოში მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ცნობილი ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები იმყოფებოდნენ. **ინტერ-პრესი**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

# მოლაპარაკებები კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციაზე

ცხინვალის ეუთო-ს ოფისში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სარეაბილიტაციო პროგრამის საორგანიზციო კომიტეტის მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც გაერო-სა და ევროკომისიის წარმომადგენლებთან ერთად, ქართული და ოსური მხარეებიც მონაწილეობდნენ.

ქართულ მხარეს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკი ხელმძღვანელობდა.

შეხვედრაზე დაიგეგმა ის სამუშაოები, რომლებიც პროგრამის ფარგლებში უახლოეს ხანში უნდა განხორციელდეს; კერძოდ: სასმელი წყლისა და გაზის გამანაწილებელი ქსელების აღდგენა, ცხინვალში ელექტროენერგიის მრიცხველების დამონტაჟება, ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის აგება და ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის მოწესრიგება, წყლის საქაჩის რეკონსტრუქცია სოფელ ქემერტში, თამარაშენსა და კეხვში გაზსადენის მშენებლობა, ედისი-ცხინვალის წყალსადენის აღდგენა, "ედისი-2" ჰესის მშენებლობის დასრულება, თამარაშენსა და ხეითში ორი ქართული დაწყებითი, ჯავის რაიონში კი ორი ოსური სკოლის შეკეთება.

სამუშაოების შესრულების მიზნით გამოცხადებულ ტენდერში რამდენიმე ქართულმა კომპანიამ გაიმარჯვა. გადაწყდა, რომ საპროექტო სამუშაოებში ქართველი და ოსი ინჟინრები ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის სარეაბილიტაციო პროგრამის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი შეხვედრა 28 თებერვალს ცხინვალში გაიმართება.

*მედიანიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.




# უმჯობესია, ახალი პრემიერ-მინისტრი არ იყოს უცხოეთიდან ჩამოყვანილი

პირველი გვერდიდან

მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანი იყოს რეფორმატორი, არ იყოს მშიშარა და არ იყოს პოპულისტი, დიდი პოლიტიკური ამბიციების მქონე.

პრემიერს უნდა ჰქონდეს გამოცდილება საგარეო პოლიტიკის კუთხითაც. იგი საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის სანდო ადამიანი უნდა იყოს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი არ უნდა იყოს კონფლიქტური, მიუხედავად მისი პირადული შეხედულებებისა, უნდა შეეძლოს საერთო ენის გამონახვა ყველასთან.

ჩემთვის მნიშვნელობა არ ექნებოდა მისი პოლიტიკური ნიშნით შერჩევას. გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ იგი ერკვეოდეს პოლიტიკურ რეალობაში.

არ არის აუცილებელი, ჰქონდეს ძლიერი პოლიტიკური წარსული. ის უნდა იყოს ძლიერი პიროვნება, რომელსაც ძლიერი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების არ ეშინია.

აუცილებლად არ მიმაჩნია, რომ იგი ლოიალური იყოს პრეზიდენტის მიმართ.

რასაკვირველია, უნდა იყოს პრეზიდენტის პოლიტიკური კურსის გამტარებელი, რადგან ქვეყანაში არჩეულია პრეზიდენტი, რომელიც შემდეგ თავად ირჩევს პრემიერს. თუმცა, ასევე აუცილებელია, რომ მას შეეძლოს დაუსვას კითხვები პრეზიდენტ სააკაშვილს, ეკამათოს მას, ანუ გააკეთოს ის, რაც დღეს აკლია ჩვენს მთავრობას.

პირადად ჩემთვის, ზურაბ ჟვანიას ყველაზე დიდი პლუსი იყო სწორედ ის, რომ იგი დამოუკიდებელი მოთამაშე იყო და ნებისმიერ მომენტში შეეძლო, პრეზიდენტთან ეკამათა.

მე ნამდვილად ვხედავ ასეთ ადამიანებს საქართველოში, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სააკაშვილმა და, შესაბამისად, ნებისმიერ შედეგზე პასუხისმგებლობაც მანვე აიღოს.

**ლევან ბერძენიშვილი,** *პარლამენტის წევრი:*

სიმართლე გითხრათ, მიმაჩნია, რომ საქართველოს საერთოდ არ სჭირდება პრემიერ-მინისტრი. საქართველოში ან სრულად საპრეზიდენტო მმართველობა უნდა იყოს, ან უნდა იქცეს საპარლამენტო რესპუბლიკად, თუმცა, რადგან აღნიშნული ინსტიტუტი უკვე არსებობს და ამის შეცვლა ჯერჯერობით შეუძლებელია, მაშინ ქვეყნის პრემიერი უნდა იყოს ისეთი, როგორიც წერია კანონში, ანუ, უნდა იყოს სერიოზული, ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, რასაკვირველია - პრეზიდენტის გუნდის წევრი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პრეზიდენტის ირგვლივ, პრემიერის პოსტისთვის შესაფერისი, მისდამი ლოიალური რამდენიმე ადამიანი ნამდვილად არსებობს.

ამჟამად საუბარია, რომ შესაძლოა პრემიერი იყოს კახა ბენდუქიძე, რაც შესაძლოა, იმის მანიშნებელი იყოს, რომ მომავალში პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი გაუქმდება. რამდენად შეძლებს ბენდუქიძე პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბებას, ეს ჩემთვის უცნობია.

**გიგა ბოკერია,** *პარლამენტარი:*

ძალზე სასურველია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი პოლიტიკური ფიგურა იყოს. ბუნებრივია, იგი პრეზიდენტის პოლიტიკური გუნდიდან უნდა შეირჩეს, რადგან ის იმ პოლიტიკურ კურსს უნდა იზიარებდეს, რომელიც, პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ხელისუფლებას აქვს არჩეული. პრემიერს უნდა ჰქონდეს ყველა ის თვისება, რაც პოლიტიკოსს ესაჭიროება - კრიტიკულ მომენტში გადაწყვეტილების მიღება და სხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ კალიბრის და წონის ფიგურა, რაც იყო ზურაბ ჟვანია, ჯერჯერობით, ვერ მოიძებნება, მაგრამ მაინც არიან ის პირები, რომლებიც ამ საქმის გაძღოლას შეძლებენ.

**ლევან რამიშვილი,** *"თავისუფლების ინსტიტუტი":*

ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევისას, პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს მემკვიდრეობითობის ფაქტორი, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა ძალიან სერიოზულ რეფორმებს ატარებს. იგივე სამშვიდობო მოლაპარაკებები, რომელიც მიმდინარეობს, და სხვა საკითხები, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკას ეხება, მოითხოვს გარკვეულ სტაბილურობას. აქ ცოტა ხნის წინ მოხდა რევოლუცია, შემდეგ კი რამდენჯერმე იყო პოლიტიკური კრიზისი, იგივე აჭარაში, შემდგომ კი სამხრეთ ოსეთში. ასეთ ქვეყანას სჭირდება სერიოზული განაცხადი იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური სტაბილურობა შენარჩუნებულია, უცვლელია კურსი. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ახალი კანდიდატურა ამ მემკვიდრეობითობის სიმბოლიზებას უნდა ახდენდეს.

თავისთავად, ჟვანიას კალიბრის პოლიტიკოსის მოძებნა პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან ათი წლის განმავლობაში მას საკმაოდ გავლენიანი თანამდებობები ეკავა. შესაძლოა, ყოველთვის პოპულარული არ იყო, მაგრამ მისი პოლიტიკური წონა ეჭვს არ იწვევდა. ასეთი მასშტაბის ფიგურა, ბუნებრივია, კიდევ დიდხანს არ გამოჩნდება და, შესაბამისად, ვინც არ უნდა გახდეს პრემიერი, ის ერთგვარი გამოსაცდელი ვადით იარსებებს.

**დავით უსუფაშვილი,** *იურისტი:*

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სერიოზული პოლიტიკური ფიგურა უნდა იყოს, რომელიც პრეზიდენტთან შეთანხმებულ მუშაობას შეძლებს. მან უნდა იქონიოს ქვეყნის პირველ პირთან ურთიერთობა, იმგვარი, რომ ისინი პარტნიორები იყვნენ და არა მოწინააღმდეგეები.

ამასთანავე, პრემიერი უნდა იყოს ძლიერი ფიგურა, რაც უნდა მოდიოდეს როგორც პიროვნული სიძლიერიდან, ისე მისი გარემოცვის სიძლიერიდან, რათა ძალიან რთულ პერიოდში ქვეყნის გაძღოლა შეძლოს. ჩვენთან მოქმედი და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, პრემიერის მოვალეობა არის ქვეყნის ყოველდღიური საქმიანობის გაძღოლა, ამის გამო კი საჭიროა წონადი ფიგურა.

გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ ის იყოს კონსტიტუციის და კანონის მორჩილი ადამიანი, რომელსაც ხელისუფლებისათვის დაწესებული რეალური ჩარჩოები უნდა ესმოდეს.

აქტიურად საუბრობენ ტრიუმვირატის შენარჩუნების აუცილებლობაზე და, ვფიქრობ, ამ ტიპის აზროვნებიდან უნდა გავთავისუფლდეთ. ეს არის სახელმწიფოებრივი და არა პარტიული საქმე, და ამ საქმისთვის ყველაზე უფრო მისაღები ადამიანი უნდა შეირჩეს. პრემიერობა არ შეიძლება ვინმესთვის იყოს ჯილდო, დაფასება თუ აღიარება. ეს უმძიმესი საქმეა, რომლისთვისაც ადამიანმა თავი უნდა გაწიროს. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ნაკლებმნიშვნელოვანია, თუ რომელი გუნდის წევრი იქნება იგი. ამ შემთხვევაში მთავარია, რომ ახალმა პრემიერმა პრეზიდენტთან ტანდემში მუშაობა შეძლოს.

მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოს ახალგაზრდობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოუყალიბებლობისა, პოლიტიკაში საკმაოდ გაზრდილი კადრები ნამდვილად არსებობენ და, აქედან გამომდინარე, არა მგონია, ახალი პრემიერ-მინისტრის შერჩევა გადაუწყვეტელი ამოცანა იყოს, თუმცა, გარკვეულწილად, რთულია, იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარებაში და რა ფორმით გათავისუფლდა აღნიშნული თანამდებობა.

*თვალსაზრისი*

# როგორი პრემიერ-მინისტრი სჭირდება ქვეყანას

ლაშა ბაქრაძე

დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ აუცილებელია, ისევ მომავალს მივუბრუნდეთ. თუ ვინ გახდება საქართველოს პრემიერ-მინისტრი, არა მარტო განაპირობებს ჩვენი ქვეყნის მომავალს წლების განმავლობაში, არამედ კონკრეტული პერსონისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს სახელისუფლებო ორგანოების განვითარების ტენდენციებს კიდევ უფრო დიდი ხნით.

ჩვენ რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი და ვაღიაროთ, რომ პოსტრევოლუციური წყობა - ტრიუმვირატი, მისი ერთ-ერთი წევრის გამოკლების შემდეგ, დაიმსხვრა. ჩვენ შეგვიძლია, დიდი ტრაგედია გარდატეხის დიდ შანსად ვაქციოთ. აღმასრულებელი ხელისუფლება დაკომპლექტდეს არა პარტიულობის, არამედ კომპეტენტურობის პრინციპით, მოვშალოთ გუნდებისა და ქვეგუნდების პრინციპი (რამდენადაც არ ვიზიარებ კახა ბენდუქიძის აღფრთოვანებას დაჩქარებული პრივატიზაციით, იმდენად სრულიად ვეთანხმები მის დამცინავ დამოკიდებულებას გუნდებისადმი. მართლა ფეხბურთს ხომ არ ვთამაშობთ?).

რასაკვირველია, უკვე ჩამოყალიბებული ნომენკლატურა მთელი ენერგიით, კბილებით ჩააფრინდება სტატუს-კვოს, მაგრამ პრეზიდენტს აქვს ძალა, და ეს მის ნებაზეა დამოკიდებული, გატეხოს ნომენკლატურის წინააღმდეგობა და ჩვენს ქვეყანას განვითარების სრულიად ახალი პერსპექტივა შესთავაზოს. რევოლუციის შემდეგ, ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, საზოგადოების უდიდესი და კეთილმოსურნე ნაწილი კარგად ხედავს, რომ ქვეყანაში ყველაფერი ისე არ ვითარდება, როგორც ეს სასურველი იყო. წინსვლის ერთ-ერთი დიდი მუხრუჭი, სწორედ პოსტრევოლუციური აუცილებლობით გამოწვეული, ლოიალურობიდან გამომდინარე - გუნდურობა იყო. ამის აუცილებლობა კარგა ხანია, გაქრა. პრეზიდენტს აქვს ხალხის ნდობა და უზარმაზარი უმრავლესობა პარლამენტში. თუ ვინმე განაწყენიანების გამო გამოეთიშება უმრავლესობას, დღეს ეს არავითარ სერიოზულ გავლენას არ მოახდენს ძალთა თანაფარდობაზე, პირიქით - გაასუფთავებს პოლიტიკურ ელიტას.

ჩვენ მიერვე მოგონილი წესების თანახმად, დღეს საზოგადოებას ჰგონია, რომ პრემიერ-მინისტრი აუცილებლად უნდა იყოს მმართველი "პარტიის" წევრი, პარტაპარატჩიკი, გამოზრძმედილი კულუარულ ბრძოლებში (სასურველია, შევარდნაძის სკოლისა, "ზაკალკის"). ჩვენს ქვეყანას, პატარა ქვეყანას, არ სჭირდება ასეთი სუპერპოლიტიკოსი. ასეთი კი დანიშვნის დღიდანვე აუცილებლად გახდება რომელიმე ვიწრო პოლიტიკური ამბიციების მქონე ნომენკლატურშჩიკი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მედიის თვალში, რომელიც დღულაპიასავით შესჩერებია ნებისმიერ თვითმარქვია "სახეს". საქართველოს სჭირდება კომპეტენტური, განონასწორებული, მაგრამ ენერგიული რეფორმატორი, რომელიც ხედავს მომავალს პრეზიდენტთან ერთად და რომელიც არ შეეცდება საკუთარი ქვეგუნდის გაქაჩვით პოლიტიკური გავლენის თუ სიმძიმის შეძენას. ჩვენ გვჭირდება თავისუფლად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც არაა დამოკიდებული ფინანსურ ან კრიმინალურ ჯგუფებზე, რომლებმაც მას ხელი შეუწყვეს პოლიტიკურ კარიერაში.

ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს სრულიად "გარედან" მოსული ადამიანი - მაგალითად, თინათინ ხიდაშელი. მაგრამ, თუ პრეზიდენტს სურს უფრო გამოცდილი თანამებრძოლი და პრინციპული რეფორმატორი, ასეთია - მაგალითად, კახა ლომაია.

ჩვენ უნდა მოვახერხოთ აზროვნების გარდატეხა. ჩვენ ძირფესვიანად ახალი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, ახალ მყარ საძირკველზე და არა ნაჩქარევი მოასფალტებით და მოკლევადიან "დამკვრელურ" ტემპებში განხორციელებული შელამაზებებით შევეცადოთ შინ და გარეთ თვალებში ნაცრის შეყრას.

აუცილებელი იქნება კონსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც მკაცრად გამიჯნავს პრეზიდენტისა და პრემიერის კომპეტენციებს. რაც პრემიერ-მინისტრის პოსტს, პიროვნებისგან დამოუკიდებლად, შესძენს მნიშვნელობას. გასატარებელია ხელისუფლების სტრუქტურის რეფორმა, რათა მოხდეს კომპეტენციების დელეგირება ქვედა რგოლებზე, რომ მინისტრების და ბოლოს, პრეზიდენტის გადასაწყვეტი არ იყოს ყველა უმნიშვნელო საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოიშლება სუპერპოლიტიკოსებზე მოთხოვნილება, რომლებიც თურმე 24 საათი მუშაობენ.

დღეს პრეზიდენტი იღებს უმნიშვნელოვანეს და ურთულეს გადაწყვეტილებას. საზოგადოება მოვალეა, გამოვიდეს ტრაგედიით მოგვრილი შოკიდან და მხოლოდ "პოლიტიკურ ელიტას" არ მიანდოს ქვეყნის ბედი. დღეს ისევე წყდება საქართველოს ბედი, როგორც რევოლუციის დღეებში. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ უნდა გადადგას რევოლუციური ნაბიჯი, გააკეთოს არჩევანი თავისუფლად მოაზროვნე საზოგადოებასა და თვითკმარ და თვითკმაყოფილ ახალ ნომენკლატურას შორის, რომელიც თუ არ აილაგმა, მალე საბოლოოდ ჩატკეპნის ტალახში რევოლუციის წითელ ვარდებს.

# ვინ იქნება? - მთავარი კითხვა

*ვინ იქნება მომავალი პრემიერ-მინისტრი და შეიცვლება თუ არა ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსი ზურაბ ჟვანიას სიკვდილის შემდეგ? - სწორედ ამ საკითხებზე ბჭობდნენ გუშინ პარლამენტში შეკრებილი დეპუტატები. რიგითი პარლამენტარებისთვის მხოლოდ ის ვერსიები იყო ცნობილი, რამელსაც ჟურნალისტები ავრცელებდნენ. საქმეში უფრო დეტალურად ჩახედული პარლამენტარები კი კომენტარებს თავს არიდებდნენ.*

თამარ მჭედლიშვილი

იმის მიუხედავად, რომ კულუარებში დეპუტატები ყველა დასახელებულ კანდიდატურას საგულდაგულოდ განიხილავდნენ, არც ერთი მათგანის, როგორც მომავალი პრემიერ-მინისტრის, გვარი მათ ხმამაღლა არ დაუსახელებიათ.

გუშინ პარლამენტარები, ძირითადად, ჟურნალისტებს "ამ ურთულეს ვითარებაში პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კოორდინირებული ქმედებების აუცილებლობასა" და პარლამენტში განსახილველი საკითხების თაობაზე ესაუბრებოდნენ.

დღის პირველ საათზე, პარლამენტის ბიუროს ოთახში, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე კომიტეტების თავმჯდომარეებს შეხვდა. სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ დეპუტატები აცხადებდნენ, რომ მათი პოზიცია ერთსულოვანია და "საჭიროა მაქსიმალური მობილიზაცია და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების სწრაფად მიღება" (სხდომას არ დასწრებიან ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელები - პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი და საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ზურაბ ჟვანიას მეუღლესთან იმყოფებოდნენ).

იმის მიუხედავად, რომ ოფიციალური კომენტარები ასეთი ზოგადი ფრაზებით ამოიწურა, სულ სხვა საუბრები მიდიოდა კულუარებში - მსჯელობის მთავარი თემა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები იყო.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კემულარია, ზოგიერთ პარლამენტართა აზრით და ინფორმაციით, ამ ეტაპზე პრემიერ-მინისტრის პოსტზე რეალური კანდიდატურაა. "რეიტინგით" მეორეა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. რაც შეეხება სხვა კანდიდატურებს, დეპუტატთა აზრით, გაპრემიერების ყველაზე ნაკლები შანსი ირაკლი ოქრუაშვილს და კახა ბენდუქიძეს აქვთ.

საგულისხმოა, რომ გუშინ კულუარებში დასახელებულ კანდიდატურებს ერთი ახალი გვარიც შეემატა - გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ახალი პრემიერ-მინისტრი, შესაძლოა, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი გახდეს. გუშინვე მისი შემცვლელიც დაასახელეს - თუკი ნოღაიდელი გაპრემიერდება, ფინანსთა მინისტრის თანამდებობას პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან გოცირიძე დაიკავებს.


ზურაბ ნოღაიდელი არის პროფიციტული ბიუჯეტის ერთ-ერთი შემოქმედი, მას ჩამოყალიბებული ურთიერთობები აქვს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, კარგად ერკვევა პარიზის კლუბთან დაკავშირებულ პრობლემატიკაში, აქვს ფისკალური მონიტორინგის სერიოზული გამოცდილება.

თუმცა, გუშინვე ეს ინფორმაცია რომან გოცირიძემ კატეგორიულად უარყო. მისი თქმით, ფინანსთა მინისტრის თანამდებობა მისთვის არავის შეუთავაზებია.

თავად პარლამენტის თავმჯდომარემაც განაცხადა, რომ მას პრეზიდენტისაგან არანაირი შეთავაზება არ მიუღია. მისივე თქმით, **"ხელისუფლებას პრემიერის თანამდებობაზე, შესაძლოა, ზურაბ ჟვანიას რანგის პოლიტიკოსის მოძიება გაუჭირდეს, მაგრამ ამ საკითხზე კონსულტაციები მაინც დროულად უნდა დაიწყოს."**

**"ვფიქრობ, კონსულტაციების დაწყების დრო ახლა უკვე არის. რამდენად სამწუხაროც უნდა იყოს, ფაქტი ფაქტია. ახლა უკვე გამოსაყენებელია დრო, რომ პრეზიდენტი კონსტიტუციურ ვადებში ჩაეტიოს. იგი ბატონი ზურაბის კალიბრის პოლიტიკოსს ნამდვილად ვერ შეარჩევს, თუმცა ამ ეტაპზე, შესაძლოა, არც იყოს აუცილებელი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, მაგრამ მნიშვნელოვანია, იგი კომპეტენტური იყოს ეკონომიკურ საკითხებში,"** - განუცხადა ნინო ბურჯანაძემ ჟურნალისტებს.

კომიტეტის თავმჯდომარეებთან შეხვედრის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარე, წესით, საპარლამენტო ფრაქციების ლიდერებს უნდა შეხვედროდა. სხდომა არ გამართულა, თუმცა ნინო ბურჯანაძემ დახურულ კარს მიღმა შეხვედრა მაინც გამართა, ოღონდ, შინაგან საქმეთა მინისტრთან ვანო მერაბიშვილთან.

მერაბიშვილი პარლამენტში იმდენად მოულოდნელად გამოჩნდა, რომ მასთან გასაუბრება ჟურნალისტებმა ვერც კი მოასწრეს. ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ კი მერაბიშვილმა ჟურნალისტებს ორიოდე წუთი დაუთმო და პარლამენტში მისი მოულოდნელი ვიზიტის ოფიციალურ ვერსიად **"გორის ტერაქტის გამოძიებაში აღმოჩენილი ახალი დეტალების პარლამენტის თავმჯდომარისთვის გაცნობა"** დაასახელა.

დაბოლოს: გუშინ პარლამენტართა უმრავლესობამ ყურადღება პერსონალიებზე გაამახვილა. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე კი ერთადერთი იყო, რომელმაც გუნდური პრინციპის შენარჩუნების აუცილებლობაზე ისაუბრა.

**"ჩვენ მოვედით სამკუთხედით და ვფიქრობ, ეს სამკუთხედი არ უნდა დაირღვეს. იყო "ნაციონალები," ბურჯანაძე და "დემოკრატები." აი, ეს თუ შენარჩუნდება, ვიტყვით, რომ სამკუთხედი არ დაირღვა,"** - განაცხადა თევდორაძემ. მართალია, მას კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ, მისი აზრით, ახალი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიას უახლოესი გარემოცვიდან უნდა იყოს შერჩეული.

# კოდორში კვლავ ესვრიან "კავკასიონს"

*გუშინ ავარიულად გამოირთო 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი "კავკასიონი", რის გამოც რუსეთიდან საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა. ამ ფაქტის გამო, გუშინ საქართველოს რეგიონებში ელექტროენერგია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებსაც კი ვერ მიეწოდებოდა.*

დიანა ჩაჩუა

ბოლო ორი თვის განმავლობაში კავკასიონის ელექტროგადამცემ ხაზზე უკვე მეორე დივერსია და, შედეგად - მეორედ, რეგიონული ენერგეტიკის პარალიზება დაფიქსირდა. როგორც საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, ავარიის მიზეზი კოდორის ხეობაში, სოფელ საკენთან ორ კილომეტრში განხორციელებული საბოტაჟი გახდა.

**"გუშინ, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გადამცემი ხაზის "გირლიანდა" ცეცხლსასროლი იარაღით დააზიანეს,"** - განაცხადა გილაურმა.

თუმცა, "კავკასიონის" დაზიანების მიუხედავად, გუშინ თბილისის ელექტრომომარაგება შეუზღუდავად ხორციელდებოდა. როგორც გილაურმა აღნიშნა, ენგურჰესის წყლის საცავში არსებული წყლის დონე საშუალებას იძლევა, ჰესში პიკის საათის დროს ოთხიდან სამმა აგრეგატმა იმუშაოს. **"ენგურჰესში რიგით მესამე აგრეგატი დღეს შვიდ საათზე ჩაირთო, რის შედეგადაც, თბილისში არსებული 80-მეგავატიანი დეფიციტი აღმოიფხვრა,"** - განაცხადა მინისტრმა.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, "კავკასიონზე" მომხდარი ავარიის ლიკვიდაცია ხვალ იგეგმება, თუმცა ამინდის გაუმჯობესების შემთხვევაში, შესაძლებელია, "საქრუსენერგოს" სპეციალისტებმა "კავკასიონის" გადამცემი ხაზი დღეს პიკის საათამდე აღადგინონ.

"კავკასიონის" მეშვეობით რუსეთიდან საქართველოში პიკის საათებში 370 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდებოდა.

ამასთან, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზ "კავკასიონზე" მომხდარი ავარიის გამო, ყველაზე მეტად "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დაზარალდა. **"ამ სიმძლავრის დანაკარგმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. ამჟამად კომპანიას სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებისთვის სომხეთიდან იმპორტირებული 60 მეგავატი სიმძლავრე მიეწოდება, ხოლო ადგილობრივი გენერაციიდან - 70 მეგავატი. ეს კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების დასატვირთადაც არ არის საკმარისი,"** - განაცხადეს კომპანიაში.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ზოგიერთ უბანში ბუნებრივი აირის თანმხლები სპეციფიური სუნის გამო ატეხილი აჟიოტაჟი "თბილგაზის" მიერ დაწყებულ სამუშაოებს უკავშირდება. როგორც პრაიმ-ნიუსს "თბილგაზში" უთხრეს, გაზგაყვანილობის ქსელის საიმედოობის შემოწმების მიზნით, კომპანიის თანამშრომლებმა აბონენტებისთვის მისაწოდებელ ბუნებრივ აირში ოდორანტის კონცენტრაცია გაზარდეს. **პრაიმ-ნიუსი**

"24 საათი" და "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია"
იწყებენ ახალ პროექტს:

**"საგადასახადო კოდექსის განმარტებები".**

**ყოველ ორშაბათს -** ახალი საგადასახადო კოდექსის ექსპერტული განმარტება.
**ყოველ ოთხშაბათს** - ექსპერტთა პასუხები თქვენს კითხვებზე.

კითხვები შეგიძლიათ ჩააწერინოთ ტელეფონებზე:
20 24 24 ("24 საათი") ან 93 64 75 ("ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ცხელი ხაზი) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა - 12 საათიდან 15 საათამდე.
ასევე გამოაგზავნოთ ინტერნეტით:
e-mail: economics@24hours.ge ან
office@economists.ge
გამოაგზავნოთ ფოსტით ან დატოვოთ "24 საათის" საფოსტო ყუთში. მისამართი: თბილისი. ვაჟა-ფშაველას 45

# გაიზრდება თუ არა ქვეყანაში ქველმოქმედების მასშტაბები?

*ეკონომიკურ ექსპერტთა ერთ ნაწილს თუ დავუჯერებთ, ახალი საგადასახადო კოდექსი საქართველოში ქველმოქმედებას მნიშვნელოვნად გაათეთრებს. შეღავათები, რომელიც უკვე მოქმედი კოდექსით არის გათვალისწინებული, ოპონენტების განცხადებითაც კი, ქველმოქმედების გამწევ პირებს მნიშვნელოვან შვებას მისცემს.*

ეთერ მამულაშვილი

მარტივად რომ ავხსნათ, ამ საგადასახადო შეღავათის არსი შემდეგში მდგომარეობს:

იურიდიულ თუ კერძო პირს შეუძლია, მოგების ან შემოსავლის მხოლოდ რვა პროცენტის ფარგლებში გაწიოს ქველმოქმედება, ისე, რომ არ დაიბეგროს. ამის ზევით, ისინი, ჩვეულებრივ, კანონით გათვალისწინებული განაკვეთით დაიბეგრებიან.

იყო დრო, როცა ასეთ შეღავათს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებდა, რითაც ათეულობით მეწარმეს გადასახადებისგან თავის არიდებისა და ფულის გათეთრების, შეიძლება ითქვას, უნიკალური საშუალება მიეცათ. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თავმჯდომარე ვაჟა სალამაძე იხსენებს, რომ იმ დროს ქველმოქმედების ადრესატსა და მეწარმეს შორის ხშირად ხდებოდა გარიგება. გარიგების მექანიზმს ვაჟა სალამაძე ასე ხსნის: **"მეწარმეები აფიქსირებდნენ, რომ მათ გაწიეს ქველმოქმედება, მაგალითისთვის, 100 ათასი ლარის ოდენობით. სინამდვილეში, მათ ბენეფიციარს ამ თანხის მხოლოდ ორი ან სამი პროცენტი თუ მისცეს. სამაგიეროდ, დაუბეგრავი თანხის დიდი ნაწილი ამ მეწარმეს რჩებოდა. ბენეფიციარები, ხშირ შემთხვევაში, უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები ან მეწარმეთა ნათესავები იყვნენ, რომლებთანაც გარიგების მიღწევა მარტივი საქმე იყო. მსგავსი გზებით ცალკეული პირები ფულის გარეცხვასაც იოლად ახერხებდნენ."**

იმის გამო, რომ ქველმოქმედებაზე გაწეული თანხის დიდი ნაწილი მაშინ არ თუ ვერ კონტროლდებოდა, ქვეყნის ხაზინაში შემოსავლები, მოგების გადასახადის სახით, თითქმის ყოველთვე მკვეთრად მცირდებოდა, რის გამოც 1997 წელს პარლამენტმა ხსენებული საგადასახადო შეღავათი გააუქმა.

ხანგრძლივი მცდელობისა და ფინანსთა სამინისტროსთან აქტიური მოლაპარაკებების შემდეგ, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა, რომელიც ხელისუფლებაში ამ შეღავათის დაკანონებას უწევდა ლობირებას, გარკვეულ შედეგს გასული წლის ბოლოს მიაღწია.

ვაჟა სალამაძე ამბობს, რომ დღეს წარსულის გამეორება გამორიცხულია, რადგან იმავე საგადასახადო კოდექსში რამდენიმე დამცავი მექანიზმია ჩადებული.

ერთ-ერთი დამცავი მექნიზმი, რაც გარიგებას მეწარმესა და ბენეფიციარს შორის, ფაქტობრივად, გამორიცხავს, არის ის, რომ ფიზიკურ პირზე გაწეული ქველმოქმედება გამოქვითვას არ ექვემდებარება. საგადასახადო შეღავათი გავრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ქველმოქმედება ამავე სტატუსის მქონე ორგანიზაციის მეშვეობით განხორციელდება. სხვათა შორის, თავის დროზე, კანონის ამ მუხლმა მეწარმეთა შორის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. **"ჩვენ მათ ავუხსენით და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ადმინისტრირების დღევანდელ პირობებში, მეტიც, ზოგადად მსოფლიოში, ფიზიკურ პირზე გაწეული ქველმოქმედების კონტროლი, პრაქტიკულად, მიუღწეველია,"** - ამბობს ვაჟა სალამაძე.

უკვე დათვლილია ამ შეღავათის ფისკალური ეფექტიც; ყველაზე ბევრი, რაც შეიძლება ამ საგადასახადო შეღავათით ბიუჯეტს დააკლდეს, ექსპერტული გათვლებით 18 მილიონი ლარია, თუმცა თუკი იმავე ექსპერტების ნათქვამს ვენდობით, "სხვადასხვა სოციალური პროექტების დაფინანსებაზე, ამ შეღავათის პირობებში, სულ მცირე, ხუთჯერ მეტი თანხა დაიხარჯება."

იმის მოლოდინი, რომ საგადასახადო შეღავათის პირობებში შესაძლოა ქვეყანაში ქველმოქმედების მასშტაბები გაიზარდოს, არავის აქვს, მით უმეტეს, საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციებს, რომელთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ეს შეღავათი უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს და ის რეალურ შედეგს არ გამოიღებს.

თბილისში მდებარე სათნოების სახლი "კათარზისი," რომელიც დაახლოებით 15 წელიწადია ფუნქციონირებს, ერთ-ერთი იმ საქველმოქმედო ორგანიზაციათაგანია, რომლის ფონდში, შემოწირულობების სახით, ყოველ წელიწადს სოლიდური თანხა იყრის თავს.

სათნოების სახლის პრეზიდენტი ზაურ ალადაშვილი ამბობს, რომ **"სულ არაფერს ეს რვა პროცენტი ნამდვილად სჯობს, თუმცა ძნელად სავარაუდოა, რომ ეს შეღავათი ახალ ქველმოქმედებს გამოაჩენს. ის, უბრალოდ, შვებას მისცემს იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში ქველმოქმედებას ეწვიან,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ზაურ ალადაშვილმა.

სხვათა შორის, ამას თავად ამ ინიციატივის ერთ-ერთი ავტორი ვაჟა სალამაძეც აღიარებს, თუმცა ის დარწმუნებულია, რომ ეს შეღავათი ქვეყანაში ქველმოქმედების გათეთრებას ხელს აუცილებლად შეუწყობს. **"ქველმოქმედება - ეს უფრო კულტურაა, და მეწარმისათვის სტიმულის მიმცემი მხოლოდ საგადასახადო შეღავათი ვერ გახდება. თუმცა, ერთ რამეში დარწმუნებული ვარ - ამით ჩრდილოვანი ქველმოქმედება მინიმუმადე შემცირდება. ბიზნესი ქველმოქმედებას დღეს რეალურად ეწევა, ოღონდ ეწევა შავი ფულით,"** - ასეთ დასკვნას ვაჟა სალამაძე ერთ-ერთ ფილანტროპულ ორგანიზაციასთან ერთად ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით აკეთებს.

# ახალი ელიტარული ქალაქი თბილისში

მარიამ ჭაჭვაძე

*2013 წლისთვის თბილისში, უფრო კონკრეტულად კი, კრწანისის ყოფილი რეზიდენციის ტერიტორიაზე პატარა, ქალაქის ტიპის განაშენიანება დასრულდება. დედაქალაქის ყველაზე უხვშემოსავლიანი, ელიტარული და საქართველოში აკრედიტებული უცხოური დიპლომატიური კორპუსი, სავარაუდოდ, სწორედ ამ "ქალაქში" მოიყრის თავს.*



*კრწანისის ყოფილი რეზიდენციის ახალი მესაკუთრე თბილისში იმყოფება.*

კრწანისის ყოფილი რეზიდენციის ერთ-ერთი ახალი მესაკუთრე რონალდ ვალდმანი, უკვე მეორე დღეა, თბილისში იმყოფება და მის ახალ სამფლობელოში ჩასატარებელი სამუშაოების გეგმას ჟურნალისტებს აცნობს. გუშინ მან რეზიდენციის იმ კორპუსში, სადაც ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება, მასმედიის წარმომადგენლებისთვის სპეციალური ბრიფინგი გამართა (ცნობისათვის, ეს შენობა მალე თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროდ გადაკეთდება).

ვოლდმანის ინფორმაციით, ყოფილი რეზიდენციის ტერიტორიაზე, უახლოეს რამდენიმე წელიწადში, ყველაზე ძვირადღირებული ელიტარული საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო ცენტრები, სასტუმროები, კაზინოები, საელჩოები და სხვა საჭირო დაწესებულებები მოიყრის თავს. **"ფაქტობრივად, ეს იქნება მაღალი დონის პატარა, მინი ქალაქი, სადაც მხოლოდ ძალიან შეძლებული ადამიანები იცხოვრებენ,"** - განმარტავს რეზიდენციის ახალი მფლობელი.

ვალდმანის ნათქვამს თუ ვენდობით, მან მომავალი ქალაქის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლებისა და საელჩოების მშენებლობაზე გარკვეული სახის დაკვეთა უკვე მიიღო საქართველოში საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოებისგან. მათ, ვალდმანის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, "ყველაზე მეტად, ტერიტორიის დაცულობა მოეწონათ." გუშინდელ ბრიფინგზე ბიზნესმენმა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიერ ახლად შეძენილი ტერიტორია დედაქალაქში მაქსიმალური დაცულობით გამოირჩევა. ვალდმანის თქმით, ეს გარიგება მისთვის, ისევე, როგორც მისი ბიზნეს-პარტნიორისთვის, ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი და პრესტიჟულია.

სამშენებლო სამუშაოები აქ წლის ბოლოსთვის, სავარაუდოდ, სექტემბერ-ოქტომბერში დაიწყება და როგორც ტერიტორიის ახალი მფლობელი ამბობს, ეს პროცესი მხოლოდ რვა წლის შემდეგ დასრულდება.

კრწანისის ყოფილი რეზიდენციის გაყიდვის ფაქტს, თავის დროზე, ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ საქართველოს უძრავი ქონების ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგება უწოდა. შარშან, სამთავრობო რეზიდენციის კომპლექსი, რომელიც 44 ჰექტარ მიწის ფართობზე განლაგებულ 10 კოტეჯს მოიცავს, 15 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა. მყიდველებს - ბარი სეპტიმუსსა (Creative Production Inc) და რონალდ ვალდმანს (Basel Group LLC), რომლებიც აშშ-ს უძრავი ქონების ოპერაციებით დაკავებული კომპანიების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კონსორციუმს წარმოადგენენ, ამ დროისთვის ბიუჯეტში მხოლოდ 2 მილიონი აშშ დოლარი აქვთ გადახდილი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, დარჩენილი 13 მილიონი მათ უახლოესი 9 თვის განმავლობაში უნდა დაფარონ.

სახელმწიფო მინისტრის კახა ბენდუქიძის ნათქვამს თუ დავუჯერებთ, კრწანისის რეზიდენციის ახალი მფლობელები უძრავი ქონების ბიზნესში განსაკუთრებით კარგი რეპუტაციით სარგებლობენ.

### თვალსაზრისი

# თავისუფალი ეკონომიკური ზონის არსებობის პერსპექტივები საქართველოში

*უკანასკნელ დროს გამოითქვა აზრი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადების შესახებ, მათი საქართველოს ფედერალურ სახელმწიფოში ფედერაციის სუბიექტებად de facto შემოსვლის შემთხვევაში. საზოგადოებისათვის აუცილებელია ამ საკითხის პროფესიული გაშუქება რათა ტერმინები - "თავისუფალი ეკონომიკური ზონა", "განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა" და "ოფშორული ზონა" ნათელი და გასაგები გახდეს.*

თეიმურაზ ანთელავა

სიტყვა "offshore" ინგლისურიდან თარგმანში, გარკვეული სივრცის ფარგლებს გარეთ მყოფ და ამ სივრცის უშუალოდ მოსაზღვრე სუბსტანციას გულისხმობს. როგორც ტერმინი, ოფშორი პირველად XX საუკუნის შუა წლებში ამერიკელმა ჟურნალისტებმა გამოიყენეს. ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ის - სახელმწიფოში არსებულ, მაგრამ რეალურად ამ სახელმწიფოს იურისდიქციის გარეთ მყოფს აღნიშნავს. ჟურნალისტური ჟარგონიდან წარმოქმნილი ეს ტერმინი დაფუძნდა თავისუფალი ეკონომიკური ზონის (შემდგომში - თეზ) რეალური მნიშვნელობისა და შინაარსის ზუსტად გადმოსაცემად და დღესდღეობით თეზ-ის არაფორმალურ შესატყვისს წარმოადგენს. ამ ტერმინის ამერიკელი ჟურნალისტების მიერ დაფუძნება შემთხვევითი არაა: სწორედ აშშ-ში, მსოფლიოში პირველად, ჯერ კიდევ 1934 წელს შეიქმნა თავისუფალი ეკონომიკური ზონა.

სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა სპეციალიზირებულ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში თეზ-ის საკმაოდ განსხვავებული განმარტებებია მოცემული. ძირითადი, რაზეც ყველა განმმარტებელი თანხმდება, არის ის, რომ თეზ-ი წარმოადგენს სახელმწიფოში სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიას, სადაც კორპორაციებსა და სხვა სახის კომერციულ ორგანიზაციებს შეღავათიანი და ხელსაყრელი პირობები ექმნებათ წარმოებისა და მომსახურების განვითარებისათვის. ეს ნედლეულისა და პროდუქციის ბაჟის გარეშე ტრანსპორტირებაში, გადასახადებისაგან სრულ გათავისუფლებაში ან მინიმალურ დაბეგვრასა და სახელმწიფო იურისდიქციისაგან სრულ თავისუფლებაში ან ფართო ავტონომიურობაში გამოიხატება. თავისუფალი ეკონომიკური ზონის თითქმის ეკვივალენტურია ტერმინი "განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა" (ეს ტერმინი საზღვაო სამართალშიც იხმარება, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით). ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ "განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა" (შემდგომში - გეზ) იხმარება მაშინ, როდესაც სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე თეზ-ის კლასიკური ტიპისაგან განსხვავებით, გამოიყენება ამ ტერიტორიისათვის საგანგებოდ შექმნილი რეგულირების მექანიზმი. პრაქტიკაში რთულია დადგინდეს სხვაობა თეზ-სა და გეზ-ს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ოფშორული ზონა ერთდროულად თეზ-იცაა და გეზ-იც (ან თავისუფალი ეკონომიკური ზონა მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობის აღმნიშვნელი ტერმინია და მას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე საუბრისას განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა უნდა ვუწოდოთ). ასე რომ, სიტყვა "ოფშორი" უნივერსალურია მსგავს ტერმინებთან მიმართებაში, მაგრამ მას არ შეიძლება ფორმალური სახე მიეცეს.

რაიონები, განსაკუთრებული გადასახადებით, ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და შუა საუკუნეების ევროპაში არსებობდა. თუმცა, თანამედროვე სახით, ოფშორის ისტორია შვეიცარიაში, მეორე მსოფლიო ომის წინ ჩაისახა, 1934 წლის საბანკო საიდუმლოებების შესახებ კანონის მიღებით. ევროპის ეს პატარა სახელმწიფო არნახულად გამდიდრდა, ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოების კომპანიებისათვის კონფიდენციალურობის გარანტიით, თავისი საბანკო სეიფების შეთავაზებით. სწორედ ამან განსაზღვრა ოფშორის ძირითადი ფუნქციის ჩამოყალიბების სამომავლო ტენდენციები.

პოზიტიური თვალსაზრისით, ოფშორი მასში მოქმედი კომპანიისაგან, საქმიანობისათვის უფლების მოსაპოვებლად სახელმწიფოს სასარგებლოდ მინიმალური ხარჯების გაღებას მოითხოვს. რაც ხელსაყრელია ნებისმიერი ბიზნესისათვის და ბუნებრივია, რომ ნებისმიერ კომპანიას ხელს აძლევს. სახელმწიფოსათვის კი ოფშორული ზონის არსებობის მომგებიანობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიისათვის მინიმალური ხარჯების დაწესებით, ის იმდენ კომპანიას იზიდავს ამ ზონაში, რომ ამ მინიმალური ხარჯების ერთობლიობას მისთვის უფრო დიდი მოგება მოაქვს ვიდრე ჩვეულებრივი გადასახადების პირობებში რაოდენობრივად ნაკლები კომპანიების დაბეგვრა მოუტანდა. სპეციალიზირებული პროფილის ოფშორულ ზონებში ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს ხშირად სახელმწიფოს მიერ რომელიმე კონკრეტულ დარგში დაინტერესება, ეროვნული ეკონომიკის სტიმულირების სურვილი ემატება.

კრიტიკული თვალსაზრისით, ოფშორული ზონა, როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, კორუფციის უმთავრეს სტიმულატორად ითვლება თანამედროვე მსოფლიოში. ოფშორი დიდად განაპირობებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური და სხვა სახის დანაშაულის არსებობას და ამავე დროს თავადვე აფერხებს ამ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობას.

პოზიტიურ და კრიტიკულ ფაქტორებს შორის, დომინანტის გამოკვეთა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმსა და კონტროლზეა დამოკიდებული.

სხვადასხვა მონაცემებით, თანამედროვე მსოფლიოში 400-დან 2000-მდე თავისუფალი ეკონომიკური ზონაა. მათგან 60 ყველაზე მსხვილი და მყარია. ისინი პირობითად ორ ჯგუფად იყოფა. პირველში არ ტარდება კომპანიების აუდიტი, მათი მფლობელებისა და აქციონერების რეესტრი. მეორეში სახელმწიფოები კონტროლის ელემენტებს იყენებენ: სავალდებულო აუდიტი, ფინანსური ანგარიშების წარდგენა, კომპანიის მფლობელებისა და აქციონერების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია. როგორც წესი, ეს მონაცემები ძლიერ გასაიდუმლოებულია და მათი მოპოვება ურთულესი პროცედურების განხორციელებასთანაა დაკავშირებული.

რეალურად, განსხვავება ამ ორ პირობით ჯგუფს შორის ისაა, რომ თუ პირველში დაკანონებულია განუკითხაობა ნებისმიერი ოპერაციის განსახორციელებლად, მეორეში მოჩვენებითი კონტროლის შექმნას ცდილობენ. ტექნოლოგიური პროგრესთან ერთად, ეს სულ უფრო და უფრო რთული ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ადრე კონტროლისათვის საჭირო იყო საბუღალტრო წიგნში მელნით შეტანილი ჩანაწერების შემოწმება, რეალურად არსებული ფულადი ბანკნოტების გადათვლა და ა.შ., დღეს, კომპიუტერიზაციის ეპოქაში თითქმის შეუძლებელია ვირტუალური ანგარიშებისა და გადარიცხვების შემოწმება, ერთი და იმავე ორგანიზაციის პლანეტის სხვადასხვა კუთხეებში მდებარე ორგანიზაციული ერთეულების ერთდროული კონტროლი და ა.შ.

კიდევ ერთი მახასიათებელი, რომლითაც შეიძლება განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ორი სხვადასხვა სახის ოფშორული ზონა - ეს ამ ზონის შემქმნელი სახლმწიფოს ტიპია. თავისი ბუნებითა და არსებობის შედეგების რაობით განსხვავდება განვითარებული სახელმწიფოს მიერ შექმნილი ოფშორული ზონა და განვითარებადი სახელმწიფოს მიერ შექმნილი ოფშორი. განვითარებულ სახელმწიფოში იგულისხმება ის სახელმწიფოები, რომლებიც ასეთი სტატუსს გაეროს მიერ დაწესებული კრიტერიუმების შესაბამისად ფლობენ (მაგ., აშშ, კანადა, გაერთიანებული სამეფო და სხვა).

მიზანი განვითარებული სახელმწიფოს მიერ ოფშორული ზონის დაარსებისა იმაში მდგომარეობს, რომ მაღალი შემოსავლებით სტიმულირებული ეკონომიკა კიდევ უფრო გაძლიერდეს დიდი კაპიტალდაბანდებების სწრაფი შემოსვლის გზით. საამისოდ რამდენიმე აუცილებელი პირობაა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანა მაღალგანვითარებულ სტრუქტურას უნდა ფლობდეს. პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო გზით უნდა ვითარდებოდეს. სახელმწიფო ხელისუფლება მხოლოდ დამატებით, გარე რეგულირების საშუალებებს უნდა იყენებდეს და უშუალოდ თვითმართვად სისტემაში არ უნდა ერეოდეს. ამავე დროს, საბაზრო ეკონომიკა განვითარების იმდენად მაღალ სტადიაზე უნდა იყოს, რომ ოპერატიული რეაგირება შეეძლოს სწრაფად მიმავალ პროცესებზე. ეს საბაზრო წონასწორობის შენარჩუნებაში, ბაზარზე კონკურენტუნარიანობაში, ფასების თვითდაბალანსებაში და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებში აისახება.

თანამედროვე სახით, დაახლოებით 70-წლიანი არსებობის მანძილზე, ოფშორულმა ზონებმა განვითარებულ სახელმწიფოებს საკმაოდ დიდი მოგება მოუტანა. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ ყველა სახელმწიფოსათვის წარმატებული ოფშორული ზონა, ამ სახელმწიფოებში შეიქმნა მაშინ, როდესაც ისინი უკვე განვითარებულები იყო.

განვითარებად სახელმწიფოში ოფშორული ზონის შექმნის პრაქტიკა, უმეტესწილად, კრახით მთავრდება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი კონკრეტული შემთხვევა თავისი სპეციფიკით გამოირჩევა, პრაქტიკაში ჯერჯერობით არ არსებობს შემთხვევა, როდესაც ოფშორულ ზონას განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაში, მთლიანობაში, წარმატებული როლი შეესრულებინა. ამის დასადასტურებლად საკმარისია თუნდაც მეზობელი რუსეთის მაგალითი. ექსპერტთა მონაცემებით, მინიმალური თანხა, რომელსაც ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტი ოფშორული ზონების წყალობით კარგავს, 5-8 მილიარდი აშშ დოლარია. რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის, ეკონომიკის სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებების ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გაკეთებული გაანგარიშებებით, თანხა, რომელიც უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში რუსეთის ცენტრალურ ბიუჯეტს ოფშორული ზონების გამოყენებით ჩატარებული მაქინაციებით "მოაკლდა," 200-დან 700 მილიარდ აშშ დოლარამდე მერყეობს. რუსეთში მოქმედი კომპანიები, რომლებიც ოფშორულ ზონებთან თანამშრომლობენ და გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად სხვადასხვა უკანონო ან კანონის ავლის გზებს გამოიყენებენ, საშუალოდ 6-ჯერ ნაკლებ გადასახადს უხდიან სახელმწიფოს, ვიდრე ამას საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ განვითარებადი სახელმწიფოს ოფშორულ ზონებში სამუშაოდ შედიან არა ის კომპანიები, რომლებსაც რეალურად სურთ რაიმეს წარმოება და საამისოდ უფრო ხელსაყრელ პირობებს ეძებენ, არამედ კომპანიები, რომლებიც რეალურად არაფერს აწარმოებენ და, ძირითადად, ბინძური ფულის გათეთრებით, დამალული გადასახადების ლეგალიზებით, სხვადასხვა უკანონო გარიგებების შუამავლობით არიან დაკავებულები (მაგალითად, კვიპროსზე თითო კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართზე საშუალოდ 25 კომპანიაა დარეგისტრირებული; პაწაწინა კაიმანის კუნძულებზე 18 ათასი კომპანიაა, ამდენს თვით კუნძულების მოსახლეობა არ ითვლის). ბუნებრივია, რომ რეალურად წარმოების სურვილის მქონე და ამისათვის უკეთესი პირობების მაძიებელი კომპანია განვითარებული სახელმწიფოს მიერ შექმნილ პირობებში უკეთ იგრძნობს თავს. საეჭვო საქმიანობით დაკავებული კომპანია კი მაქსიმალურად ცდილობს, კონტროლსა და სახელმწიფო რეგულირების მექანიზმებს თავი აარიდოს, რაც განვითარებულ სახელმწიფოში უფრო რთულია. ამასთანავე, იგივე რუსეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ თუ ქვეყნის ეკონომიკა მაღალი განვითარების სტადიაზე არ არის, ოფშორულ ზონაში მბრუნავი უზარმაზარი კაპიტალი მას ფიტავს. შედეგად გამოდის, რომ ოფშორი იყენებს ქვეყნის ეკონომიკურ რესურსებს და არა პირიქით.

ამავე დროს, დღევანდელ მსოფლიოში განვითარებული ქვეყნების მხრიდანაც შეიცვალა პოზიცია თავისუფალი ეკონომიკური ზონის მიმართ. ცენტრ "ინდემის" მონაცემებით, ოფშორულ ზონებთან დაკავშირებული ბიზნეს ჯგუფების მიერ ყოველწლიურად, ჯამში, 33 მილიარდი აშშ დოლარი გამოიყოფა სხვადასხვა სახელმწიფოთა თანამდებობის პირებისათვის ქრთამის მისაცემად. ასეთი მასშტაბების ცდუნებას არათუ განვითარებადი სახელმწიფოების დაბალანაზღაურებადი ჩინოვნიკები, არამედ მდიდარი სახელმწიფოების მოხელეებიც კი ვერ უძლებენ. სავარაუდოა, რომ ისინი ასევე ითვალისწინებენ ოფშორულ ზონებთან დაკავშირებულ გამოძიებათა ხელმძღვანელების ბედსაც. მაგალითად, ბრიტანეთის სპეცსამსახურების თანამშრომლის სტივენ კერკისის, რომელიც, ამავე დროს, ერთ-ერთ მსხვილ ნავთობკომპანიასთან თანამშრომლობდა და 2004 წლის 3 მარტს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. თვით აშშ-ც კი, რომელიც ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუაში მსოფლიოში ოფშორული ზონებით "კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების" მთავარი ლობი იყო, დღეს სახელმწიფოებრივ დონეზე ჩატარებული გამოძიებების საფუძველზე აცხადებს, რომ სწორედ ოფშორული ზონებიდან ხდება საერთაშორისო ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი დაფინანსება. ევროკავშირი თავის ტერიტორიაზე ოფშორული ზონების ლიკვიდაციის ინიციატივით გამოდის. სპეციალისტების მიერ მათი ეტაპობრივი ლიკვიდაციის პროგრამა უკვე შემუშავებულია.

ფაქტია, რომ განვითარებული სახელმწიფოებიც კი ველარ ახერხებენ ძლიერი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების კონსოლიდაციით გააკონტროლონ ოფშორულ ზონებში მიმდინარე პროცესები. აღარაფერი რომ ვთქვათ განვითარებად ქვეყნებზე, რომლებიც არც სათანადოდ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო მართვის მექანიზმს ფლობენ და არც შესაბამის დონეზე განვითარებულ ეკონომიკას.

შედეგად, თქმა იმისა, რომ ოფშორული ზონა მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკური ინსტრუმენტია - ჩვენი არცოდნით სპეკულაციაა და მეტი არაფერი.

თავის დროზე ოფშორულმა ზონებმა პოზიტიური როლი ითამაშეს სახელმწიფო ეკონომიკის გაძლიერებაში. მაგრამ, როგორც ყველაფერ დადებითს, დროთა განმავლობაში ნეგატიურიც შეეპარება ხოლმე, ოფშორული ზონაც ყოველგვარი საფრთხის ერთ-ერთ უპირველეს წყაროდ გადაიქცა. სახელმწიფოებისა და სპეციალისტების დიდი ნაწილი მას დრომოჭმულად მიიჩნევს.

მსოფლიო გამოცდილების მაგალითზე, განვითარებადი სახელმწიფოს მიერ ოფშორული ზონის შექმნა, თითქმის სავალდებულოდ იწვევს ქვეყანაში კორუფციის მომძლავრებას, ეკონომიკური და სხვა დანაშაულის ზრდას, ქვეყნის ეკონომიკის გამოფიტვასა და დაქუცმაცებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებასა და ფასების სწრაფ გაზრდას.

# ირანი თავდაცვაზე ალაპარაკდა

ხათუნა ბაბიევი



დიდ ბრიტანეთში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მიერ გაკეთებული განცხადების მიუხედავად, როგორც ჩანს, აშშ ისრაელთან ერთად ირანის მხრიდან აგრესიას მაინც არ გამორიცხავს. აშშ-სა და ირანს შორის ნდობის არარსებობას ადასტურებს ირან-ერაყის საზღვარზე სარადარო მოწყობილობის დამონტაჟების ფაქტიც. გავლენიანი არაბული გაზეთის "ალ ჰაიათ"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამხრეთ ერაყში, ქალაქ ბასრასთან ახლოს, კუნძულ უმ ერ-რასაზე აშშ-სა და ისრაელის მიერ დამონტაჟებულია რადარები, რომლებიც ირანის პორტ ჰორემშეჰრიდან დაახლოებით ერთი კილომეტრითაა დაშორებული. აღნიშნული წყაროს მტკიცებით, ამ სარადარო მოწყობილობის მეშვეობით შესაძლებელია ირანის ტერიტორიაზე 50 კილომეტრის რადიუსში ფიჭური სატელეფონო საუბრებისა და რადიოშეტყობინებების გადაფარვა.

გარდა ამისა, აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მიერ კონგრესისადმი ყოველწლიურ მიმართვაში ტერორიზმის მფარველობასა და ბირთვული პროგრამის მილიტარისტული მიზნებით წარმოების შესახებ ირანის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებას უკვე გამოეხმაურა ოფიციალური თეირანი. ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნის ჰასან როუჰანის განცხადებით, ირანის ბირთვულ ობიექტებზე აშშ-სა და ისრაელის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში, ისლამური რესპუბლიკა კიდევ უფრო დააჩქარებს ატომურ იარაღზე მუშაობას. "ბირთვული იარაღის დეტალების შემუშავების სფეროში ქვეყნის შესაძლებლობები არ შემცირდება, თუნდაც ირანისათვის მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების შემთხვევაში," - აღნიშნა მან. განცხადების ბოლოს მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ "ბირთვულ პროგრამაზე მუშაობისას ირანს მხოლოდ სამშვიდობო მიზნები ამოძრავებს, რაც შეეხება ვაშინგტონს, ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, საეჭვოა, რომ მან ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო აქციის დაწყება გარისკოს". მისი შეფასებით, ყველა სკანდალი, ბრალდება თუ შეთქმულება, რომელიც ირანის ზურგს უკან მზადდება, ირანისთვის ბირთვული ტექნოლოგიის სამშვიდობო მიზნით წარმოების უფლების ჩამორთმევას ისახავს მიზნად. გაცილებით რადიკალური იყო ირანის ატომური სააგენტოს მეთაურის მოჰამად აღაზადეს განცხადება. მისი თქმით, ირანი იმავე დღეს განახორციელებს საპასუხო დარტყმას, როგორც კი ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო აქცია დაიწყება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულთაგან არც ერთ მაღალჩინოსანს ბირთვულ პროგრამაზე კონსენსუსის არქონის შემთხვევაში საპასუხო დარტყმის ფორმა არ დაუკონკრეტებია, შესაძლოა, კონფლიქტში ჩართული აღმოჩნდეს მთელი რეგიონი. როგორც ცნობილია, ირანს აქვს საშუალო სიშორის რადიუსის რაკეტები, რომლებსაც არა მარტო ისრაელის მთელი ტერიტორიის დაფარვა, არამედ სპარსეთის ყურეში არსებული აშშ-ს ყველა სამხედრო ბაზის განადგურებაც ძალუძს.

ირანის ბირთვულ ობიექტებზე შესაძლო დარტყმის წინააღმდეგია ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კოორდინატორი ხავიერ სოლანა. "ეჭვგარეშეა, რომ ირანი ფინანსურ დახმარებას უწევს ტერორისტული ქმედებებისაკენ მიდრეკილ ორგანიზაციებს," - აღნიშნავს სოლანა. თუმცა, მისი თქმით, აუცილებელია ყველანაირი საშუალებით ამგვარი ცალმხრივი სამხედრო აქციის დაწყების თავიდან აცილება.

ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გასული წლის ნოემბერში ევროპული სამეულის მიერ დაწყებული მოლაპარაკებები დღეს განახლდება. კონკრეტულად როგორი იქნება გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ვერდიქტი ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, დღეს გახდება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ირანსაც აქვს ბირთვული ტექნიკის სამშვიდობო მიზნებით გამოყენების უფლება, "მსოფლიო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია, თუკი თეირანს არ ექნება ბირთვული შეიარაღება. ამ საკითხში დასავლეთს ერთიანობა მართებს. გერმანია საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად ყველაფერს გააკეთებს, რათა დიპლომატიური და პოლიტიკური გზით მიღწეულ იქნეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება," - განაცხადა გერჰარდ შრიოდერმა. დღევანდელ შეხვედრაზე განიხილება საკითხები ვაჭრობის, უსაფრთხოებისა და სამეცნიერო ტექნოლოგიების სფეროში.

# ვის უნდა მშვიდობა ჩეჩნეთში?

ნიკა თარაშვილი

*გავრცელებულმა ცნობამ, თითქოს ასლან მასხადოვმა ჩეჩნეთში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გასცა ბრძანება, დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც რუსეთში (თუმცა, მხოლოდ არასამთავრობო სექტორში), ასევე საზღვარგარეთ. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია ასე ჟღერდა: ყველა მსგავსი განცხადება სხვა არაფერია, თუ არა იაფფასიანი "პიარი". სხვათა შორის, ზოგი რუსი პოლიტიკოსი აშკარად ცდილობდა გავრცელებული განცხადების სინამდვილეში ეჭვის შეტანას. შეგახსენებთ, მასხადოვის მიერ რუსეთთან დაზავების ბრძანების ხელმოწერის შესახებ 2 თებერვალს გახდა ცნობილი. შესაბამისი ინფორმაცია შამილ ბასაევზე დაყრდნობით ჩეჩენ სეპარატისტთა საიტმა "კავკაზ-ცენტრმა" გაავრცელა. საიტზე განთავსებულ ტექსტში, რომელსაც ბასაევი აწერს ხელს, ნათქვამი იყო, რომ დაზავება 22 თებერვლამდე გაგრძელდება.*



*ვისთვის წარმოადგენს ასლან მასხადოვი პრეზიდენტს?*

როგორც ცნობილი გახდა, ასლან მასხადოვმა ნამდვილად მოაწერა მსგავს დოკუმენტს ხელი. რუსეთთან დროებითი დაზავების შესახებ მის მიერ ხელმოწერილი ბრძანების არსებობის ფაქტი რუსულ გაზეთ "კომერსანტთან" საუბრისას მასხადოვმა პირადად დაადასტურა. გაზეთის ინფორმაციით, მასხადოვს მისივე გენერალური წარმომადგენლის, უმარ ხამბიევის (ამბოხებული ჩეჩნები ხამბიევს იჩქერიის ჯანდაცვის მინისტრად მოიხსენიებენ) საშუალებით დაუკავშირდა. სწორედ აღნიშული ინტერვიუ გამოქვეყნდა გუშინ "კომერსანტში".

ინტერვიუში მასხადოვმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ საბრძოლო მოქმედებათა ცალმხრივი წესით შეწყვეტის ბრძანება - კეთილი ნების ჟესტია და მცდელობა, **"რუსეთის ხელმძღვანელობას გონიერებისკენ მოუწოდოს"**.

მასხადოვის თქმით, ამჟამად კავკასიაში მიმდინარე პროცესებს "კატასტროფისკენ მივყავართ". იჩქერიის პრეზიდენტი **"თავის მოვალეობად თვლის, ყველა ღონე იხმაროს იმისთვის, რომ რეალური საფრთხე თავიდან აარიდოს არა მარტო საკუთარ ხალხს, არამედ რუსეთის და კავკასიის ყველა ხალხებსაც"**. მასხადოვმა აღნიშნა, რომ მისი მოწოდების ადრესატი პირველ რიგში რუსეთის პრეზიდენტია, რომელსაც, მასხადოვის აზრით, ცუდად აქვს წარმოდგენილი **"კატასტროფის მთელი ის უფსკრული, რომელშიც შეიძლება, რუსეთი და მთელი კავკასია გადაიჩეხონ"**.

**"მჯერა, რომ რუსეთის და იჩქერიის პრეზიდენტების პოლიტიკურ ნებას ძალუძს, ბოლო მოუღოს ამ სისხლიან ხოცვა-ჟლეტას,"** - განაცხადა მასხადოვმა.

ამავე დროს მან აღნიშნა, რომ დაზავება მისი ნათესავების გატაცებასთან არ არის დაკავშირებული. მასხადოვს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯზე რუსეთის ხელისუფლების ადეკვატური რეაქციის იმედი აქვს და ამიტომ მან რუსულ მხარესთან კონტაქტებისთვის უკვე დელეგაციაც შექმნა, რომლის მეთაურად იჩქერიის ჯანდაცვის მინისტრი, უცხოეთში მისი გენერალური წარმომადგენელი უმარ ხამბიევი დანიშნა. მიუხედავად ამისა, დაზავების შეწყვეტის შემდეგ ასლან მასხადვოვი გააფთრებული ომის გაგრძელებას არ გამორიცხავს. მისი თქმით, **"თუ კრემლში გონიერება გაიმარჯვებს, ომს მოლაპარაკების მაგიდასთან დავასრულებთ, თუ არა და სისხლი, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს დაიღვრება, მაგრამ ამ უგუნურების გაგრძელებისთვის ჩვენ მორალურ პასუხისმგებლობას მოვიხსნით,"** - ამბობს ამბოხებულ ჩეჩენთა ლიდერი.

აღსანიშნავია, რომ მასხადოვი კატეგორიულად უარყოფს უკანასკნელ დღეებში რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებულ ხმებს ჩეჩენი საველე მეთაურის შამილ ბასაევის გარდაცვალების შესახებ.

გუშინ რუსი ლიბერალი ჟურნალისტები, ისე რომ მასხადოვის გულწრფელობაში ცდილობდნენ ეჭვი არ შეეტანათ, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას სვამდნენ: საკუთარ თანამებრძოლებს ხომ არ უწყობს ამ ნაბიჯით მასხადოვი გამოცდას? ვინ დაემორჩილება და ვინ არა იჩქერიის პრეზიდენტს? რამდენად აკონტროლებს მასხადოვი ამბოხებულებს?

თუმცა, თუნდაც პირველ კითხვაზე პასუხი დადებითი იყოს, ფაქტი ფაქტად რჩება: რუსეთის რეაქცია მასხადოვის ცალმხრივ ინიციატივაზე, რბილად რომ ვთქვათ, სრულიად არაადეკვატური იყო. ოფიციალურ სტრუქტურების წარმომადგენელთაგან ერთადერთი, ვინც ამ განცხადებას უპასუხა, ალუ ალხანოვი იყო (ჩეჩნეთის მოსკოვის მიერ ხელდასმული მმართველი). და რაც უფრო მთავარია, მისი პასუხი არაფრით განსხვავდებოდა უკვე მრავალჯერ ნათქვამისგან - ჩვენ ტერორისტებთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ, და კიდევ - მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებით მოლაპარაკებებზე, თუ იარაღს დაყრიან. ანუ ისევ იგივე უშედეგო, "პრინციპული" საუბრები.

რაც შეეხება კრემლს - რუსეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ უბრალოდ "ვერ შეამჩნია" ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მასხადოვის განკარგულება. უფრო მეტიც, - ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა სასამართლოს მიერ გაცემული ასლან მასხადოვის დაპატიმრების ორდერი.

რასაკვირველია, ეს გადაწყვეტილება ლოგიკური იქნებოდა, რომ არა აშკარად ბანალური მიზეზი - "გამოძიების მასალებში (ბესლანის საქმე - *რედ.*) არსებობს მტკიცებულება, რომ ბასაევმა სკოლაში გამაგრებულ ტერორისტებს ინსტრუქცია მისცა - ერთ-ერთ მოთხოვნად წამოეყენებინათ მასხადოვთან მოლაპარაკებების დაწყება", - აცხადებს გენპროკურორის მოადგილე ნიკოლაი შეპელი.

ასე რომ, აშკარაა, მოსკოვი არაფრით დათანხმდება თავისივე მიერ ტერორისტად გამოცხადებულ მასხადოვთან მოლაპარაკებებზე. ანუ ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარების, უდავოდ, კეთილ სურვილს უახლოეს მომავალში ასრულება არ უწერია.

# ბერნის ინციდენტი ამოწურულია

ნანა ნასყიდაშვილი

გუშინ ქალაქ ბერნში ესპანეთის საელჩო თავდამსხმელებმა დაიკავეს. სააგენტოების ცნობებით, დანებითა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ბოროტმოქმედები 08.00 საათზე საელჩოში შეიჭრნენ. შენობაში შეღწევის დროს ერთ-ერთმა თავდამსხმელმა დიპლომატიური მისიის მცველს თავის არეში ჭრილობა მიაყენა. დაზარალებული საავადმყოფოში მოათავსეს. პოლიციისთვის მთელი დღის განმავლობაში უცნობი იყო ბოროტმოქმედთა მიერ მძევლად აყვანილ ადამიანთა ზუსტი რაოდენობა. ესპანეთის პრემიერ-მინისტრის, ხოსე ლუის ზაპატეროს განცხადებით, თავდამსხმელებს მძევლად 3 ადამიანი ჰყავდათ აყვანილი, ხოლო CNN-ის ინფორმაციით შენობის ოკუპაციისას საელჩოში 12 ადამიანი იმყოფებოდა: ცხრა ესპანელი და სამი შვეიცარიელი. შტურმამდე ერთი საათით ადრე ერთმა მძევალმა შენობიდან გაქცევა მოახერხა, კიდევ ორი ადამიანი მოგვიანებით პოლიციამ გაათავისუფლა. ერთ-ერთი მძევალი საკონსულოს მცველი აღმოჩნდა. შენობის შტურმი მას შემდეგ დაიწყო, რაც შვეიცარიის სპეცდანიშნულების რაზმის მიერ თავდამსხმელებისათვის წაყენებული ულტიმატუმის ვადა ამოიწურა. ბერნის ისტორიული ცენტრი, სადაც საკონსულოს შენობა მდებარეობს, სამართალდამცავებით იყო გარშემორტყმული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 10 პოლიციელმა საკონსულოს შენობაში შეღწევა გასროლის გარეშე მოახერხა. მანამდე კი მეზობელი შენობებიდან ევაკუირებულ იქნა მოსახლეობა, ხოლო სახურავებზე სნაიპერები განლაგდნენ. თავდასხმის მოტივები კვლავ დაუდგენელია. თუმცა, ესპანეთისა და შვეიცარიის ხელისუფლება ამ შემთხვევას ტერორისტულ აქტად არ განიხილავს. მათი შეფასებით, ბოროტმოქმედნი უბრალო მძარცველები აღმოჩნდნენ. "თავდამსხმელები ჩვეულებრივი ბოროტმოქმედები არიან და ყოველივე მომხდარს არანაირი კავშირი არ აქვს შვეიცარიაში ესპანეთის ინტერესებთან," - განაცხადეს დიპკორპუსის წარმომადგენლებმა.

გაზეთ "El Mundo"-ს ცნობით, ბოროტმოქმედები სეიფის გასაძარცვად შეიჭრნენ საკონსულოში, რომელშიც სავიზო და სხვა სახის ბლანკები ინახება. გაზეთი იუწყება, რომ შავ ბაზარზე აღნიშნული საბუთებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ფასი 4,5-6 ათასი ევროა. როგორც ჩანს, თავდამსხმელებს "საქმე" სიგნალიზაციამ ჩაუშალა .

# ოჯახური სახელისუფლებო მემკვიდრეობა და აშშ-ს თავისტკივილი კორეულად

ჩრდილოეთი კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ირმა პირველად განაცხადა ოფიციალური მემკვიდრის არჩევის შესახებ. განცხადება მან ჩვეული მანერით გააკეთა - საკმაოდ ირიბად და მინიშნებებით. ჩრდილოეთი კორეის რადიოსთან ინტერვიუში კიმ ჩენ ირმა სიტყვასიტყვით შემდეგი განაცხადა: "მე შევასრულებ მამაჩემი-პრეზიდენტის განკარგულებას". ჩრდილოეთ კორეის რადიომ "საყვარელი ხელმძღვანელის" ბუნდოვანი განაცხადის განმარტება სცადა და მსმენელებს შეახსენა, რომ თავის დროზე კიმ ჩენ ირის მამა კიმ ირ სენი ამბობდა, რომ თუ ისე წავიდოდა ამ ქვეყნიდან, რომ "რევოლუციის საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვანდა, მაშინ ეს საქმე ვაჟიშვილმა და შვილიშვილმა უნდა გააგრძელონ". ათ წელზე მეტი ხნის წინ გარდაცვლილი კიმ ირ სენი დღემდე ოფიციალურად ითვლება ჩრდილოეთ კორეული სახელმწიფოს მეთაურად და სიკვდილის შემდეგ მას "უზენაესი ხელმძღვანელის" ტიტული მიანიჭეს.

1974 წელს კიმ ჩენ ირი მამამისის მემკვიდრედ დასახელდა, როდესაც ჩრდილოეთ კორეის სახელმწიფო მასმედიამ უეცრად ერთხმად განაცხადა, რომ "უზენაესი ხელმძღვანელის" ყველაზე შესაფერისი კანდიდატურა მისი ვაჟიშვილი კიმ ჩენ ირია. როგორც ჩანს, ჩრდილოეთ კორეაში დადგა დრო, კიდევ ერთხელ დასახელდეს პიროვნება, რომლის ხელშიც მმართველობის სადავეები გადავა. ამ ვერსიის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ კიმ ჩენ ირი ქვეყნის მომავალ ხელმძღვანელად მაშინ დასახელდა, როდესაც ჯანმრთელად მყოფი მამამისი კიმ ირ სენი 62 წლის იყო და ქვეყნის მართვას აგრძობდა. საინტერესოა, რომ კიმ ჩენ ირსაც 62 წელი შეუსრულდა. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ჩრდილოკორეული სახელმწიფოს საჭესთან 62 წლის კიმ ჩენ ირის სამი ვაჟიშვილიდან ერთ-ერთი აღმოჩნდება. გასარკვევი რჩება, კონკრეტულად რომელი მათგანი გახდება ქვეყნის ხელმძღვანელი.

ადგილობრივი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ადრე ყველაზე შესაფერის ფიგურად უფროსი ვაჟიშვილი, 34 წლის კიმ ჩონ ნამი ითვლებოდა, რომელიც თავის დროზე შვეიცარიაში სწავლობდა და გაჭირვებით საუბრობს ინგლისურ და იაპონურ ენებზე. თუმცა მან მთლიანად დაკარგა მამის ნდობა, როდესაც 2001 წელს ტოკიოს აეროპორტში კიმ ჩონ ნამი დომინიკის რესპუბლიკის ყალბი პასპორტით დააკავეს, იაპონიაში შეცვლის მცდელობით. ამომავალი მზის ქვეყანაში მოხვედრის სურვილისა და მიზეზის განმარტებისთვის კიმ ჩონ ნამმა უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და განაცხადა, რომ "ტოკიოს დისნეილენდში მოხვედრა უნდოდა". დანარჩენი ორი ვაჟიშვილიდან, სპეციალისტების აზრით, ყველაზე აშკარა კანდიდატურად ნაბოლარა, 22 წლის კიმ ჩონ უნი განიხილება, რომელზეც ერთხელ კიმ ჩენ ირმა თქვა, რომ "ხელმძღვანელისათვის საჭირო ხასიათითა და გონებით არის დაჯილდოვებული". შუათანა ვაჟიშვილზე, კიმ ჩონ ჩხოლზე, ჩრდილოეთ კორეის ამჟამინდელი ხელმძღვანელი ამბობს, რომ ის "ძალზედ რბილი და ინფანტილურია".

***ამასობაში, სამხრეთ კორეული გაზეთი "სეულ სინმუნი" იუწყება, რომ ჩრდილოეთ კორეამ პაკისტანისგან ან ყოფილი სსრკ-ს ერთ-ერთი რესპუბლიკისგან მზა ბირთვული იარაღი შეიძინა.***

როგორც ადგილობრივი გამოცემა აღნიშნავს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღეს ინფორმაცია, რომელსაც ამჟამად ამოწმებენ, ფხენიანის მიერ უკვე მზა ბირთვული იარაღის შეძენის შესახებ. გამყიდველის როლში პაკისტანი ან "ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა" სახელდება. სხვათა შორის, აშშ მანამდე აცხადებდა, რომ პაკისტანი შესაძლოა, მონაწილეობდეს ბირთვული იარაღის შექმნისთვის საჭირო გამდიდრებული ურანის ტექნოლოგიების გადაცემაში.

გაზეთი "სეულ სინმუნი" აღნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კორეამ "მოხმარებისთვის" უკვე გამზადებული იარაღის შეძენა იმისათვის გადაწყვიტა, რათა ბირთვული მუხტის გამოცდა არ ჩაატაროს, რასაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა ქვეყნები შეამჩნევდნენ და საერთაშორისო სკანდალი ატყდებოდა. მსგავსი ცნობები კიდევ უფრო ამძაფრებს ვნებათაღელვას, რომელიც ბირთვული სახელმწიფოების კლუბში ჩრდილოეთ კორეის შესაძლო შეერთებას უკავშირდება. რამდენიმე კვირის წინ ჩრდილოეთ კორეაში ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაცია ჩავიდა კურტ ველდონის ხელმძღვანელობით. ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით ერთ-ერთ თავის ინტერვიუში ველდონმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, კიმ გე გვანმა აღიარა, რომ ფხენიანი საკუთარ ბირთვულ იარაღს ფლობს, რომელიც, ჩრდილოეთ კორეელი დიპლომატის სიტყვებით, "მხოლოდ თავდაცვით მიზნებს ემსახურება". უცხოელ ექსპერტებს ჩრდილოეთ კორეის შესაძლო ბირთვული პოტენციალის შეფასებისას, სხვადასხვა შეხედულება გააჩნიათ. მათი უმეტესობა ვარაუდობს, რომ ჩრდილოეთ კორეა შესაძლოა, ორ ატომურ მუხტს ფლობს და ამ რიცხვის, სულ მცირე, რვამდე გაზრდის შესაძლებლობაც გააჩნია.

სამხრეთ კორეის მასმედიის საშუალებებზე დაყრდნობით, სააგენტო "როიტერის" განცხადებით, ჩრდილოეთ კორეამ საერთაშორისო საზოგადოება გააფრთხილა, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მსოფლიოს "ცეცხლის ზღვად" გადაქცევას აპირებს. განცხადებაში, რომელიც აშშ-ს ხალხისადმი პრეზიდენტი ბუშის მიმართვაზე პირველი ოფიციალური რეაქცია გახდა, ერთი სიტყვითაც არაფერია ნათქვამი კორეის ნახევარკუნძულზე სიტუაციის მოგვარებისათვის საჭირო ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლების შესახებ, თუმცა განცხადებაში ყურადღება ეთმობა ბუშის ფრაზას იმის შესახებ, რომ "თავისუფლების კოცონი მსოფლიოს ყველა კუთხეში აგიზგიზდება". "ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკა მსოფლიოს ომის კოცონში გაახვევს," - აღნიშნულია ჩრდილოეთ კორეის განცხადებაში. ჟურნალისტები კი აღნიშნავენ, რომ აღნიშნულ მიმართვაში ბუშმა ჩრდილოეთ კორეის შესახებ ადრინდელზე შედარებით რბილად ისაუბრა: "ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ აზიის ქვეყნების ხელისუფლებასთან, რათა ჩრდილოეთ კორეას ბირთვულ გეგმებზე უარი ვათქმევინოთ."

***მოამზადა***
***კოტე ელიზბარაშვილმა***

## ორი სიტყვით

**ესპანეთი.** ესპანეთის მთებში, სასტუმრო "სანტ-კრისტოფოლში" ბუნებრივი აირით 18 სტუდენტი გაიგუდა. აირის გაჟონვა, სავარაუდოდ, გამათბობლიდან მოხდა. ოთახებში მყოფთ ამ დროს ეძინათ. ორი მათგანი გადარჩა. ცნობილია, რომ სასტუმრო შაბათ-კვირას, დაბადების დღის აღსანიშნავად სტუდენტებმა იქირავეს. წვეულებაზე 50-მდე სტუმარი შეიკრიბა. მათმა უმრავლესობამ "სანტ-კრისტოფოლი" იმ დღესვე დატოვა. გარდაცვლილთა ცხედრები მომსახურე პერსონალმა კვირას, საღამოს აღმოაჩინა. აღნიშნული სასტუმრო მე-15 საუკუნის ნაგებობაშია განთავსებული და ტურისტთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს. **24 საათი**

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** უახლოეს მომავალში არაბული ქვეყნებიდან უცხოელ დაქირავებულ მებრძოლთა დიდი ჯგუფის ჩეჩნეთში გადასროლაა მოსალოდნელი. ამის შესახებ ინფორმაცია ჩრდილოეთ კავკასიის კონტრტერორისტულ ოპერაციათა რეგიონულ შტაბში სააგენტო "იტარ-ტას"-მა გუშინ გაავრცელა. "აღნიშნული ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს ვედენის რაიონში მოქმედმა, უცნობი შეიარაღებული დაჯგუფების წარმომადგენელმა მიაწოდა. ამჟამად 40 დაქირავებული მებრძოლი, რომლებმაც წვრთნა ერთ-ერთ არაბულ ქვეყანაში გაიარა, ჩეჩნეთისკენ მიემართება და მალე მის საზღვარს გადაკვეთს", - განაცხადეს რეგიონულ შტაბში. ამავდროულად, არ არის გარკვეული თუ რა ღონისძიებებს მიმართა ფედერალური ძალების ხელმძღვანელობამ მებრძოლთა აღმოსაჩენად და მათ გასანადგურებლად. **ნიუს.რუ**

■ ■ ■

**კამბოჯა.** ქვეყნის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადასტურა "ფრინველთა გრიპის" არსებობის პირველი შემთხვევა. ადგილობრივი გაზეთის ცნობით, "ქათმის გრიპის" გამომწვევი ვირუსი - "H5-N1", კამბოჯას დედაქალაქთან ახლოს, ერთ-ერთ კერძო ფერმაში იქნა აღმოჩენილი. გასულ კვირას კი ადამიანის დაავადების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები იუწყებიან, რომ 25 წლის, ქვეყნის დასავლეთ პროვინცია კამპოტში მცხოვრები მანდილოსანი, რომელიც "ქათმის გრიპის" სიმპტომებით გასული თვის ბოლოს მოათავსეს საავადმყოფოში, გარდაიცვალა. **ბი-ბი-სი**

# დიდი ხელფასი და პატარა ზრდილობა

*თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე მომხდარმა ინციდენტმა საკრებულოს ყველაზე უხუცესი და ყველაზე მშვიდი წევრი კოტე ჩოლოყაშვილიც კი გამოიყვანა მდგომარეობიდან. მისი ახალგაზრდა კოლეგები შუაში ჩამდგარი ჩოლოყაშვილის ჭაღარასაც არ მოერიდნენ და ერთმანეთს მუშტებით დაერივნენ. თუმცა, ამ ინციდენტს საკრებულოს ხელმძღვანელობისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, რომ საკუთარი ხელფასები გაეზარდა. გუშინდელ სხდომაზე პაატა ჯიბლაძე საკრებულოს ყველაზე უზრდელი წევრის წოდებით "დაჯილდოვდა", საკრებულოს ხელმძღვანელობა კი - ლამის, გაათმაგებული ხელფასით.*

ნანა ქადაგიშვილი

გუშინდელი სხდომა უდავოდ გამორჩეული იყო. საკრებულოს წევრებს ერთმანეთზე მუშტებით ადრეც გაუწევიათ, მაგრამ გუშინდელი ინციდენტი ყოველგვარ საზღვარს გასცდა და საზოგადოებას დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს სახე უფრო ნათლად დაანახა. ყველაფრის მიზეზი კი "ლეიბორისტ" პაატა ჯიბლაძის მიერ როყიოდ წამოსროლილი სიტყვა იყო - ქალაქის მერის გვარის "ახლებური" ინტერპრეტაცია საკრებულოს არალეიბორისტმა წევრებმა მსმენელთა შეურაცხყოფადაც მიიღეს და ჯიბლაძეს საკრებულოს ყველაზე უზრდელი წევრის წოდება მიანიჭეს. თუმცა, ამ იარლიყს "ლეიბორსტები" სულაც არ შეურცხვენია - პირიქით, საპასუხოდ მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის ჩუმად თუ ხმამაღლა წამოსროლილი უზრდელური გამონათქვემები გაიხსენეს. უმრავლესობის ინტერესების მარადიულმა დამცველმა (ყოფილმა "ლეიბორისტმა", აწ უკვე ფრაქცია "დედაქალაქის წევრმა") რეზო უმფრიანმა ეს უკვე ველარ მოითმინა და ყოფილ თანაგუნდელს, "ლეიბორისტ" სოსო შატბერაშვილს ავტოკალამი ესროლა. არცთუ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა შატბერაშვილმა უმფრიანზე მუშტებით გაიწია, ამ უკანასკნელმა კი წიხლი დაახვედრა. შუაში ჩამდგარი უხუცესი კოტე ჩოლოყაშვილი კი სირხცვილისგან გაწითლდა. **"ხალხი გვიყურებს, ჩვენგან დიდ საქმეებს ელის, ჩვენ კი უფროს-უმცროსობაც დაგვავიწყდა"...** - დამოძღვრა ახალგაზრდა კოლეგები ჩოლოყაშვილმა.

ფიზიკური მოთელვის შემდეგ საკრებულოს წევრები საქმეზე გადავიდნენ. ჯერ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება დაამტკიცეს, შემდეგ კომისიის თავმჯდომარედ - ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი. როგორც ყოველთვის, ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგობამ არც ამჯერად გაჭრა.

**"რა დებულების დამტკიცებაზეა საუბარი, როცა ტესტებიც წინასწარ არის შედგენილი და კომისიის თავმჯდომარეც - შერჩეული. საკრებულოს წევრებს მხოლოდ ხელის აწევაღა დარჩენიათ",** - განაცხადეს ოპოზიციონერებმა და აღნიშნული დებულებისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის კანდიდატურის დასამტკიცებლად ხელი არ აწიეს. თუმცა, უმრავლესობამ სიმრავლით მაინც აჯობა.

როგორც "24 საათი" რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ წერილში ვარაუდობდა, საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელობისთვის ხელფასების მომატების საკითხიც უპრობლემოდ დამტკიცდა. ოღონდ, თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის საბიუჯეტო დაწესებულელებების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს დაწესების შესახებ გადაწყვეტილების თავდაპირველი პროექტი "მცირედი" ცვლილებებით გამოიტანეს. პირველი პროექტის მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარისა და ქალაქის მერის ხელფასი 2300 ლარით განისაზღვრა, საკრებულოს მდივნისა და ქალაქის პრემიერის - 2000 ლარით, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეებისა და პრემიერის პირველი მოადგილის - 1700 ლარით, ფრაქციის თავმჯდომარეებისა და პრემერის მეორე მოადგილის - 1600 ლარით, გამგებლების - 1500 ლარით, საქალაქო სამსახურების უფროსების - 1400 ლარით, თანაშემწეების - 660 ლარით, მრჩევლის - 500 ლარით, მდივნების - 200 ლარით, მთავარი ბუღალტრის - 1050 ლარით.... პროექტის ბოლო ვარიანტით კი (რომელიც გუშინ საკრებულომ დაამტკიცა), მერიისა და საკრებულოს პირველ-მეორე პირების, გამგებლებისა და სამსახურების უფროსების ხელფასების ოდენობა შეუცვლელი დარჩა, კომისიის თავმჯდომარეებსა და ვიცე-პრემიერს 100 ლარი ჩამოაკლდათ, "წვრილფეხობას" (თანაშემწეები, მრჩევლები, ბუღალტრები, მდივნები, სანტექნიკოსები...) კი გაუნახევრდა. საკრებულოს ხელმძღვანელობამ ეკონომია ხელქვეითების ანაზღაურების ხარჯზე გასწია, სამაგიეროდ, კომისიების თავმჯდომარეების მოადგილეებს გული არ დასწყვიტა და მობილური ტელეფონის ხარჯებიდან 50 ლარის ანაზღაურება დაუწესა.

"24 საათის" მეორე ვარაუდიც გამართლდა და გუშინდელ სხდომაზე უმრავლესობამ "მემარჯვენეების" წინადადება არ მიიღო. **"საკრებულოს 6 ფრაქცია საპრეზიდენტო უმრავლესობას წარმოადგენს. ამიტომ, როგორც საერთო პოლიტიკური შეხედულებების ერთობლიობა, ერთ ფრაქციად გაერთიანდით. ამით 5 ავტონამქანა და 250 ათასი ლარი გამოთავისუფლდება. ეს თანხა სოციალურ პროგრამებს მოვახმაროთ"** - "მემარჯვენეების" ამ იდეას უმრავლესობაში გაერთიანებული ექვსივე ფრაქციის წევრები კატეგორიულად შეეწინააღმდეგნენ და საკითხიც ჩავარდა.

# სარჩელის განხილვა დასრულდა

*გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში საქტელერადიო კორპორაციის გათავისუფლებული თანამშრომლების სარჩელის განხილვა დასრულდა. 2004 წლის ზაფხულში სამსახურიდან დათხოვილი 15 თანამშრომელი თავიანთ თანამდებობებზე აღდგენასა და ფულად კომპენსაციას ითხოვდა. მათი მოთხოვნა, უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო, სასამართლომ არ დააკმაყოფილა.*

თამარ დვალი

**"მოსამართლე წიკლაური ამ გადაწყვეტილებას რომ მიიღებდა, თავიდანვე ველოდით. მან სარჩელის დაკმაყოფილებაზე მისი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო გვითხრა უარი, რასაც არ ვეთანხმებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ თავად მოსამართლის გადაწყვეტილებაა დაუსაბუთებელი",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მოსარჩელე მხარის ადვოკატმა გიორგი მამფორიამ. მისივე თქმით, საქტელერადიო კორპორაციის ხელმძღვანელობას არანაირი სამართლებრივი უფლება არ გააჩნდა სამსახურიდან დაეთხოვა თანამშრომლები, რადგანაც ეს ადამიანები წლების განმავლობაში მუშაობდნენ საშტატო განრიგის მიხედვით.

**"სახელშეკრულებო ურთიერთობაზე გადაყვანას შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლი ითვალისწინებს. თუმცა, ადმინისტრაციამ ამ მუხლის მოთხოვნები არ დაიცვა. მართალია, მათ ფორმალური ხელშეკრულებები დადეს თანამშრომლებთან, მაგრამ ოფიციალურად არ გაუფორმებიათ",** - აცხადებს მამფორია. იგი ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას საოლქო სასამართლოში გეგმავს. იმ შემთხვევაში, თუკი საოლქო სასამართლო მსგავს განაჩენს გამოიტანს, მამფორია სტრასბურგის სასამართლოში ჩივილს აპირებს.

### ორი სიტყვით

[illegible], რომ ბუნებრივ აირში მომატებული იყო ოდორანტის რაოდენობა, რაც მკვეთრ სუნს იწვევს. ოდორანტის რაოდენობის ზრდა კი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

"თბილგაზის" საავარიო სამსახურის ინფორმაციით, მათ გულდასმით შეამოწმეს მიწისქვეშა კომუნიკაციები, გაზის გაჟონვა არ შეინიშნება. **მედია ნიუსი**

# "ბოგდანის" ავტობუსები

თამარ დვალი

*გუშინ თბილისის პრემიერი თემურ ქურხული კიევში მერთან და ვიცე მერთან შესახვედრად გაემგზავრა. 10 თებერვალს იგი მოსკოვში საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდება. პრემიერი საქართველოში კვირის ბოლოს დაბრუნდება.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თემურ ქურხული.*

**"კიევში ქალაქის მერთან, ვიცე მერთან და რამდენიმე კომპანიასთან შესახვედრად მივემგზავრები. ეს კომპანიები თბილისში ინევსტიციების დაბანდებით არიან დაინტერესებული. აქვე მოვაწერ ხელს კონკრეტულ ხელშეკრულებას, რაც კიევიდან "ბოგდანის" ტიპის ავტობუსების შემოყვანას გულისხმობს",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა. მისივე თქმით, მოლაპრაკების საწყის ეტაპზე 35 ავტობუსის შეძენაა ნავარაუდები, ერთი თვის შემდეგ კი კიდევ 35 ავტობუსის ჩამოყვანაა დაგეგმილი. **"ეს გრძელვადიანი ხელშეკრულებაა. ვფიქრობ, ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. უკრაინა ჩვენთვის სტრატეგიული პარტნიორია და, სავარაუდოდ, კიევის მერს დაძმობილების ხელშეკრულების გაფორმებასაც შევთავაზებთ,"** - დასძინა ქურხულმა.

რაც შეეხება "ბოგდანის" ტიპის ავტობუსების ღირებულებას, მისი შეძენა თბილისის მთავრობას 900 ათასი ამერიკული დოლარი დაუჯდება. თანხის ნაწილს ტრანსპორტის საქალაქო სამსახური გადაიხდის. მან უკვე გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ ბანკთან. თანხის დარჩენილი ნაწილი ქალაქის ბიუჯეტიდან დაიფარება. "ბოგდანის" ტიპის ავტობუსები, ძირითადად, ქალაქის გარეუბნებს მოემსახურება.

კიევიდან გამომგზავრების შემდეგ, 10 თებერვალს პრემიერი მოსკოვის მერთან და საინვესტიციო კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავს.

**"ჩვენ გვექნება მუშა შეხვედრები, სადაც შევეცდებით, დავარწმუნოთ რუსული მხარე, რომ საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, სადაც დიდი ინვესტიციების განხორციელება შეიძლება. არიან კომპანიები, რომლებმაც საქართველოსთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. აქ საუბარია ორთაჭალის ტერიტორიაზე, სადაც 70 ჰექტარის მიწაა ასათვისებელი. ეს კომპანიები მუნიციპალური მშენებლობების წარმოებაში დაგვეხმარებიან. "სამი ქალაქის" პრინციპიდან გამომდინარე, ალბათ, მოგვიწევს თბილისში გამავალი რკინიგზის ხაზების გადატანა მიწის ქვეშ, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, საჭიროა, მოლაპარაკება სწორედ დიდ და გავლენიან კომპანიებთან ვაწარმოოთ",** - განაცხადა თემურ ქურხულმა.

### ფოსტა

# "ამ ჩემს სუფრაზე?!.. ამ ჩემი ღვინით"?!..

*ეს წერილი ერთი კვირის წინათ მივიღეთ, მაგრამ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ტრაგიკულად დაღუპვის გამო მხოლოდ ახლა ვბეჭდავთ. ასეთი იყო ავტორის სურვილიც.*



ჩაჩა ფაჩუაშვილის ფოტო

*გიორგი ჯავრიშვილი.*

ამ წერილის დაწერა რომ გადამედო ორი დღით, ვფიქრობ, აღარ დავწერდი და ძალიან დამენანებოდა იმ პათოსის დაკარგვა, რაც ამჟამად მაქვს. ამის მიზეზი იქნებოდა ერთი კითხვა: მოხდა კი ისეთი ამბავი, რომელიც ფართო საზოგადოების ყურადღების ღირსი შეიძლება იყოს? დღეს მგონია, რომ მოხდა.

წერილის სათაურიდან გამომდინარე, რომ არავის ეგონოს (ან თუნდაც ეგონოს), ქართველები ღვინისა და სუფრის გარეშე არაფერს წყვეტენო, გაგახსენებთ რუსი პოლიტიკოსის ევგენი პრიმაკოვის, ჩიხში შესული მოლაპარაკების დროს ნათქვამ, ცნობილ ფრაზას: Тут без бутылки не обойтись.

მინდა, მოგიყვეთ ჩიხში შესული ქართველი ოფთალმოლოგების (ამავე დროს კონკურენტების) ერთი, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრის ისტორიას.

შეხვედრაზე პირველი პირებით იყო წარმოდგენილი საქართველოში წარმატებით მოქმედი ოთხი ოფთალმოლოგიური დაწესებულება - თვალის ნაციონალური ცენტრი - ივა ბერაძე; ოლეგ გოლოვაჩოვი - ალექსანდრე ალექსიძე, მიხეილ ომიაძე; ქალაქის I საავადმყოფოს თვალის განყოფილება - ალექსანდრე ჩიჩუა, გიორგი ჩიჩუა; რესპუბლიკური საავადმყოფოს თვალის განყოფილება და სამედიცინო უნივერსიტეტის ოფთალმოლოგიის კათედრა - მერაბ დვალი; კლინიკა "ოფთალმიჯი" - გიორგი ჯავრიშვილი, მიხეილ თევდორაძე.

"ჩიხი" მდგომარეობს შემდეგში - სახელმწიფომ, კერძოდ თბილისის მერიამ, ჯანდაცვის დეპარტამენტის სახით, გამოაცხადა კონკურსი ქალაქის ეკონომიურად გაჭირვებული მოსახლეობისთვის კატარაქტის ოპერაციების დაფინანსების პროგრამის გამო. კონკურსის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება დაბალ ფასებში, ანუ რაც შეიძლება მეტი ოპერაცია შესრულდეს. კონკურსის ჩატარებით გამოვლინდება ყველაზე დაბალი ფასებით მომუშავე კლინიკა და მთელი პროგრამა მას გადაეცემა შესასრულებლად.

ცხოვრებამ და ერთმანეთთან კონკურენციამ ქართული ოფთალმოლოგია მიიყვანა ორ მომენტამდე - საქართველოში ნამდვილად მაღალი ხარისხით სრულდება მსოფლიოში გავრცელებული, თითქმის, ყველა ოფთალმოქირურგიული ოპერაცია და მათი ფასი მინიმალურია. მე განგებ არ ვასახელებ ციფრებს, მაგრამ მინდა, დამიჯეროთ, რომ არსებობს ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) ოპერაციების ღირებულების ქვედა ზღვარი, რომლის კიდევ დაწევა მხოლოდ ხარისხის გაუარესების ხარჯზეა შესაძლებელი. მიუხედავად პროგრამის მიღების დიდი სურვილისა, მე, ჩემი კოლეგების სახელით, ვაცხადებ - ოპერაციის ხარისხის დაწევა მიულებელია. გვირჩევნია, გარკვეული რაოდენობის ოპერაციები გაკეთდეს სრულიად უსასყიდლოდ (რასაც ხშირად ვაკეთებთ), ვიდრე გამოვიყენოთ იაფი და შესაბამისად დაბალი ხარისხის საოპერაციო მასალები.

ჩვენ შეხვედრაზე მივაღწიეთ მნიშვნელოვან შეთანხმებას - ყველა დამკვეთს, მათ შორის სახელმწიფოს, წარვუდგენთ ჩვენი მომსახურების მინიმალურ ფასებს და თანაბრად გავიყოფთ პროგრამაში გათვალისწინებული ოპერაციების რაოდენობას. ეს ყველაფერი მოგვცემს ოპერაციების მაღალი ხარისხით შესრულების შესაძლებლობას, ავადმყოფს კი ექნება კლინიკისა და ქირურგის არჩევის შანსი.

მე ტყუილად არ ვახსენე პათოსი - პირველად მოხდა ჩვენი შეხვედრა და ყველამ ნამდვილად კარგად ვიგრძენით თავი. ჩვენს შორის კონკურენცია, რასაკვირველია, გრძელდება, მაგრამ საბოლოოდ, ჩემი აზრით, მაინც იმარჯვებს კოლეგიალობა და კეთილგონიერება.

ახლა კი მინდა, გაგიმხილოთ წერილის სათაურის ისტორია. ჯემალ ჭკუასელმა მომიყვა: ერთმა იმერელმა გლეხმა სუფრა გაუშალა და უმასპინძლა სტუმრებს. სტუმრებმა გაიხარეს, ერთმანეთს არ აცლიდნენ სადღეგრძელოებს, ლაპარაკს, ხუმრობას. მასპინძელმა რამდენჯერმე უშედეგოდ სცადა სიტყვის თქმა. ბოლოს ღიმილით და ცოტა გაკვირვებით ჩაილაპარაკა: "ამ ჩემს სუფრაზე?... ამ ჩემი ღვინით"? ...

ჩვენც შეგვიძლია, სახელმწიფოს ვკითხოთ: "ამ ჩვენს კლინიკებში?... ამ ჩვენი შრომით" ?!...

***გიორგი ჯავრიშვილი***
***"ოფთალმიჯის" ხელმძღვანელი***
***მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი***

### მოკლედ

# აქტიური თანამშრომლობა ამიერკავკასიაში

ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე; ჯანდაცვის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების აღწერა; ამიერკავკასიის რეგიონის სამედიცინო უნივერსიტეტების ფართო თანამშრომლობა - ასეთი გახლავთ შედეგი 20-24 იანვარს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გამართული პირველი საერთაშორისო კონფერენციისა - "საქართველოს ჯანდაცვის ახალი პერსპექტივები", რომელშიც საქართველოს, კანადის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ბულგარეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე, რომელიც კანადის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირის, ფარმაცევტული კომპანია "ჯმპ"-ს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა, ჩვენს ქვეყანას წარმოადგენდნენ ამ საერთაშორისო ღონისძიების ინიციატორი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის კათედრა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები.

კონფერენციის მსვლელობისას შედგა ჯანდაცვის პრობლემების სასწავლო, სამეცნიერო, საინფორმაციო, ანალიტიკური ცენტრის პრეზენტაცია, რომლის მთავარი ამოცანაა, კანადის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირის ხელშეწყობით, ამიერკავკასიის რეგიონის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად შეიმუშაოს და დანერგოს თანამედროვე სასწავლო პროგრამები, აწარმოოს სამეცნიერო კვლევები, ხელი შეუწყოს ჯანდაცვის მეცნიერებისა და პრაქტიკული ჯანდაცვის ინტეგრაციას ამიერკავკასიაში.

კონფერენციის მიზანი გახლდათ ჯანდაცვის მეცნიერებისა და პრაქტიკული ჯანდაცვის ინტეგრაციის გზებისა და საშუალებების ძებნა საქართველოსა და ამიერკავკასიის რეგიონში. კონფერენციაზე წარმოდგენილი თითოეული პრეზენტაცია შეიცავდა სფეროში პრობლემების ანალიზს და შესაბამის რეკომენდაციებს. კოონფერენციისა და საპრეზენტაციო მასალის მომზადებაში პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმაც. მათი ეს აქტიურობა სპეციალური სერთიფიკატებით აღინიშნა.

*24 საათი*


## შპს "აჭარის ენერგოკომპანია" აცხადებს ღია ტენდერს მრიცხველების და გაჟღენთილი ხის შეძენაზე

| # | საქონლის ტექნიკური მაჩვენებლები | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ცალფაზა მრიცხველი -60A ზუსტი | 7 000 ცალი |
| 2 | სამფაზა მრიცხველი -100-120A - პირდაპირი ჩართვის | 600 ცალი |
| 3 | სამფაზა მრიცხველი 3X380/220 აქტიური | 300 ცალი |
| 4 | გაჟღენთილი ხე - 11 მეტრი სიგრძის - 40 სმ დიამეტრი | 1000 ცალი |

1. უნდა იყოს საქართველოს სტანდარტის რეესტრში შეტანილი
2. მიწოდების პირობა: CIF ბათუმი (Incoterms-2000)

მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმები:

1. ტექნიკური შესაბამისობა;
2. საქონლის ღირებულება;
3. გადახდის პირობები;
4. მომწოდებლის გამოცდილება მსგავსი შეკვეთების შესრულებაში.

**გთხოვთ თქვენი წინადადებები მოგვაწოდოთ ა.წ. 25 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე:**

ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N 103,
მობილური: 877 419733
ფაქსი: 888222 76345, 76346
ელ. ფოსტა: vasili.trofimov@aec.ge

# გორის ტერაქტის ახალი დეტალები

### შს მინისტრი საზოგადოებას დახმარებას სთხოვს

*საქართველოს პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების გამო ჩრდილში მოქცეული გორის ტერაქტი ხელისუფლებამ გუშინ კვლავ გაიხსენა. რამდენიმე დღის წინ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ ტერაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ახალი მნიშვნელოვანი დეტალია ცნობილი და მას ჟურნალისტები უახლოეს დღეებში შეიტყობთო, პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გაახმაურა.*




*შინაგან საქმეთა მინისტრი გორის ტერაქტის მონაწილეთა ფოტორობოტებს აქვეყნებს.*

ახალი დეტალები, რომელსაც გამოძიებამ ტერაქტიდან ერთი კვირის თავზე მოიკვლია და რომლის თაობაზე ინფორმაციასაც ჟურნალისტები ველოდით, შემდეგი შინაარსისა გახლავთ: - შიდა ქართლის სამხარეო პოლიციასთან პირველ თებერვალს აფეთქდა ტროტილით და ჰექსოგენით დატვირთული "ვაზ-21011" მარკის თეთრი ფერის ავტომანქანა, რომელიც გასული წლის 5 დეკემბერს გაიყიდა, დაახლოებით 30-35 წლის, ჯერჯერობით დაუდგენელ ახალგაზრდაზე, რომელიც 170-175 სმ სიმაღლისაა, აქვს ღია წაბლისფერი თმა, საუბრობს ქართლურ დიალექტზე და წარმომავლობით, სავარაუდოდ, მცხეთის, ახალგორის, გორის ან კასპის რაიონებიდან უნდა იყოს - ასეთი გახლავთ შს მინისტრის ვანო მერაბიშვილის მიერ გაკეთებული მოკლე შეტყობინება.

მინისტრის თქმით, აღნიშნული ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით "EEE 486" მყიდველმა 700 დოლარად შეიძინა, ისე, რომ მისი ტექნიკური მდგომარეობით არ დაინტერესებულა და არც თავის სახელზე გადაუფორმებია. დასახელებული მანქანა საპატრულო პოლიციას დარღვევაზე არ დაუფიქსირებია. აფეთქების ადგილზე ავტომანქანა, რომელშიც ნაღმი იყო დამონტაჟებული, სავარაუდოდ, სხვა მამაკაცმა მიიყვანა. მამაკაცი, რომელსაც შს მინისტრმა ამფეთქებელი უწოდა, მისივე ინფორმაციით, **"სავარაუდოდ, პროფესიით მღესავია, გაჯზე და ცემენტზე მუშაობს".** უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის ვანო მერაბიშვილმა წარმოადგინა ორი ფოტორობოტი - ერთი მანქანის მყიდველის, ხოლო მეორე პროფესიით მღესავი ამფეთქებელის, რომლის გარეგნული ნიშნებიც ძალიან ემთხვევა მანქანის მყიდველისას. ისიც დაახლოებით 170-175 სმ სიმაღლისაა, ღია წაბლისფერი თმით და საშუალო სიმაღლის.

კიდევ ერთი ახალი დეტალის მიხედვით, მანქანა აფეთქებამდე "ელიავას" ბაზრობასა და "მეგალაინის" მიმდებარე ტერიტორიაზე ნახეს. მერაბიშვილის თქმით, უკვე მიმდინარეობს მუშაობა კონკრეტულ ეჭვმიტანილ პირებზე, თუმცა მინისტრი საზოგადოებას დახმარებისთვის მაინც მიმართავს და ამ ფაქტთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებას სთხოვს. სწორედ ამ მიზნით მინისტრმა გამოაქვეყნა მანქანის მყიდველისა და ამფეთქებლის ფოტორობოტები და ასევე, აფეთქებული მანქანისა და სანომრე ნიშნის ფოტოები. **"ასე გამოიყურება მანქანა და სანომრე ნიშნები, თუ რაიმე ინფორმაციას ფლობთ, დაგვეხმარეთ და შეგვატყობინეთ,"** - ასეთი თხოვნით მიმართა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საზოგადოებას.

*24 საათი*

# მამუკა ჯინჭარაძეს "სახალხო ბანკთან" არაფერი აკავშირებს

მოსკოვში მოკლულ ქართველ ბიზნესმენს მამუკა ჯინჭარაძეს "სახალხო ბანკთან" არაფერი აკავშირებს. ამის შესახებ "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. ბრიფინგის გამართვა კი აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც ქართული საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მამუკა ჯინჭარაძე "სახალხო ბანკის" აქციონერი გახლდათ.

გიორგი გოგუაძის განცხადებით, მამუკა ჯინჭარაძე ბანკის აქციონერად 2003 წლის 15 ოქტომბრამდე ირიცხებოდა და აქციათა 12 პროცენტს ფლობდა, 15 ოქტომბრიდან კი მან კუთვნილი აქციები გაასხვისა. ამას ადასტურებს დამოუკიდებელი რეგისტრატორის შპს "კომპანია-ცენტრის" მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი. მისი თქმით, ამჟამად "სახალხო ბანკის" 1200 აქციონერს შორის აქციების 19 პროცენტს მამუკა ჯინჭარაძის ყოფილი მეუღლე ირინა ჯინჭარაძე ფლობს, რომელიც ამავდროულად ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ. და კიდევ ერთი დეტალი - ირინა ჯინჭარაძეს მისი კუთვნილი აქციები მამუკა ჯინჭარაძისაგან არ შეუძენია.

ასე რომ, როგორც ბანკის პრეზიდენტი გიორგი გოგუაძე აცხადებს, მოსკოვში მომხდარი მკვლელობა ბანკის ფუნქციონერებას არავითარ პრობლემას არ შეუქმნის.

*24 საათი*

# ყოფილ მძევალს გამტაცებელთა ამოცნობა მხოლოდ ხმით შეუძლია

უზენაეს სასამართლოში გუშინ ყოფილი მძევალი იძლეოდა ჩვენებას. "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი თანათავმჯდომარე თამაზ მაღლაკელიძე გატაცების დღეს იხსენებდა. მაღლაკელიძის ჩვენების მიხედვით, 2003 წლის 5 დეკემბერს ის იოსელიანის ქუჩიდან ნიღბებში მყოფმა უცნობებმა გაიტაცეს. **"დაახლოებით ათნი იყვნენ. ისინი თავდაპირველად ჩემგან გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას ცდილობდნენ. მოგვიანებით კი გამოსასყიდ თანხაზე - 200 ათას დოლარზე შეთანხმდნენ. არაადამიანურ პირობებში მიწევდა ყოფნა. გამტაცებლებს ორმოში, მიჯაჭვული ვყავდი, რამდენჯერმე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფაც მომაყენეს. მძევლობის პერიოდში, 35 დღის მანძილზე თვალახვეული გახლდით, ამდენად გამტაცებლების სახეები არ მინახავს, შესაბამისად არ შემიძლია ისინი გარეგნული მონაცემებით ამოვიცნო. მათი ამოცნობა მხოლოდ მათივე ხმით შემიძლია,"** - განუცხადა სასამართლოს ყოფილმა მძევალმა, რომელიც ტყვეობის 35-ე დღეს სამართალდამცველებმა დიღმის ტყეში, დიდგორის მთაზე განხორციელებული სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ გაათავისუფლეს.

რაც შეეხება თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმეზე დაკავებულებს, გენერალ-ლეიტენანტ გია ვაშაკიძეს, ელდარ გოგბერაშვილს და ბენიამინ სანებლიძეს, რომლებიც გუშინ ყოფილი მძევლის ჩვენებას ისმენდნენ, მაღლაკელიძის გატაცებასთან კავშირს დღემდე კატეგორიულად უარყოფენ. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მართლმსაჯულებისგან მათ საკმაოდ ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრებათ.

*24 საათი*

# მოსამართლე პროკურატურის წინააღმდეგ ვერ წავიდა

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ამისა, ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარემ შალვა ხაჭაპურიძემ იმედაძეს 4 წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. რამ გამოიწვია მისგან ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ჩვენთვის უცნობი დარჩა, რადგანაც მოსამართლე ამ საკითხებზე კომენტარს არ აკეთებს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, 12-კაციან პირთა სია გამომჟღავნდა, რომელთა პროფესიული საქმიანობა მოწმეობაა.

ალეკო იმედაძე "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ქურდების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას შეეწირა. იგი 2004 წლის 14 აპრილს, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში დააკავეს. მისი ადვოკატის იაგო მხეიძის განმარტებით, **"იმედაძე ყოველგვარი ჩხრეკისა და კანონის აბსოლუტური იგნორირებით იქნა დაკავებული."** იგი აცხადებს, რომ შემთხვევის ადგილზე "კანონიერ ქურდს" პოლიციამ იარაღი ჩაუდო. ამავე დროს, ადგილზე არ ჩატარებულა ჩხრეკა, ბუნებრივია, არც მოწმეები ყოფილან. **"იმედაძე დღემდე უკანონო პატიმარია და მის მიმართ უკანონო დევნა ხორციელდება,"** - აცხადებს იაგო მხეიძე. მის მიერ გამოკითხული იქნა იმედაძის დაკავების თვითმხილველი მოწმეები: სტუდენტები, ლექტორ-მასწავლებლები და ერთი ტექნიკური თანამშრომელი. ისინი ადასტურებენ, რომ დაკავებისას პოლიციის მხრიდან იმედაძის ჩხრეკას და მისგან იარაღის ამოღებას ადგილი არ ჰქონია. ადგილზე არ ყოფილან გამოძიების მოწმეებიც. თუმცა, ჩხრეკის ოქმით ირკვევა, რომ იმედაძის პირად ჩხრეკაში მონაწილეობას იღებდნენ მოქალაქეები: ემელიან მაჭარაშვილი და ნუგზარ ბალანჩივაძე. **"ჩვენ მიერ დადგენილია, რომ ესენი სტაჟიანი დამსწრეები არიან. მათ მთელი იმერეთის მასშტაბით, სისხლის სამართლის ათობით საქმეზე აქვთ მონაწილეობა მიღებული ისე, რომ ადგილზე არც მიდიან. მაგალითად, ნუგზარ ბალანჩივაძე გაზეთების გამყიდველია, რომლის საქმიანობაც არ არის მიმოსვლითი. მან განაცხადა, რომ იმედაძის დაკავებისას, უნივერსიტეტის ახლომდებარე ქუჩაზე გასული იყო ნათესავთან, რა დროსაც უნივერსიტეტის ეზოში გამოირა და იმედაძის დაკავებას შეესწრო. თუმცა, სასამართლოზე ნათესავის ვინაობა და საცხოვრებელი სახლის მისამართი ვერ დაასახელა. ეს ხალხი პენსიონერები არიან, რომელთა ძირითადი საქმიანობაც ასეთ საქმეებზე დამსწრედ გამოსვლას წარმოადგენს,"** - აცხადებს "კანონიერი ქურდის" ადვოკატი იაგო მხეიძე. უფრო მეტიც, მისი ინფორმაციით, მაჭარაშვილი სისხლის სამართლის სხვა არაერთ საქმეში ფიგურირებს. "მაგალითად, მე ვიცავდი ხონელ გრიგოლ ჩიხლაძეს (ასევე "კანონიერი ქურდი" მეტსახელად "ჩიბუხა"). იგი ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში დააკავეს, აღნიშნული მოწმეები ჩხრეკისას უკვე მათხოჯშიც აღმოჩნდნენ. პროცესზე ერთ-ერთ მათგანმა განაცხადა, რომ ჩიხლაძის დაკავების დღეს ხონში ბაზრობაზე ვიმყოფებოდითო, თუმცა იმ დღეს ბაზრობა საერთოდ არ ყოფილა. პროცესზე ისინი ვერ აღწერდნენ, საით იყო მათხოჯი და, საერთოდ, გარდა ჩიხლაძისგან ნარკოტიკის ამოღებისა, ვერც ერთ შეკითხვას პასუხს ვერ სცემდნენ," - განმარტავს მხეიძე. საქმეში სხვა დარღვევებიც იყო. მაგალითად, იარაღიდან ამოღებული თითის ანაბეჭდი საეჭვოდ დიდი ზომის აღმოჩნდა. როგორც ადვოკატი ამტკიცებს, მაკაროვის სისტემის პისტოლეტიდან აღნიშნული ზომის ანაბეჭდის აღება შეუძლებელია. სავარაუდოდ, ანაბეჭდები, პოლიციის შენობაში საყოფაცხოვრებო ნივთზე იმედაძის შეხების შედეგად აიღეს. თუმცა, აღნიშნული ვერსიის დამტკიცება ვერ მოხერხდა, რადგანაც მოსამართლემ განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებაზე უარი განაცხადა. "სამწუხაროა, რომ მოსამართლის მხრიდან არც ერთ პროცესუალურ დარღვევას არავითარი სამართლებრივი შეფასება არ მიეცა. ამ შემთხვევაში, ხაჭაპურიძემ ურთიერთგამომრიცხავი და კანონდარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაამყარა გამამტყუნებელი განაჩენი, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა," -აცხადებს ადვოკატი. საქმეში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ აღნიშნული მოწმეები პროცესზე მოსამართლემაც შეიცნო. "პირადად თქვენ რამდენიმე პროცესზე მყავხართ ნანახი, ასე დადიხართ ქალაქში და ეძებთ დანაშაულს, თუ რა ხდება? თქვენ საზოგადოებისათვის საშიში ხართ..." - მიმართა მოსამართლემ მოწმე მაჭარაშვილს და პროკურატურას მოსთხოვა გაერკვია, როგორ ჩნდებოდნენ ყოველთვის ერთი და იგივე მოწმეები დამნაშავეთა დაკავების ადგილებში. თუმცა, საბოლოო განაჩენში ხაჭაპურიძემ აღნიშნული მოწმეების ჩვენებები რატომღაც მაინც გაიზიარა. სამწუხაროდ, შალვა ხაჭაპურიძე ამჟამად მხოლოდ შემდეგ კომენტარს აკეთებს: "ამ საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილია, ნებისმიერ პირს შეუძლია, მოვიდეს, წაიღოს, და ჩემი კომენტარიც განაჩენშია მითითებული". ადვოკატი იაგო მხეიძე კი განაჩენის გასაჩივრებას საოლქო სასამართლოში აპირებს:

"ქუთისის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, აღარ არსებობს. ამ გადაწყვეტილებით მოსამართლე შალვა ხაჭაპურიძემ უზნეობა და უკანონობა დააკანონა. მართალია, მე ერთი პირის ინტერესებს ვიცავ, მაგრამ უფრო მეტ ტრაგედიას ვხედავ იმაში, რომ საქართველოში მოსამართლეებს დაკარგული აქვთ არბიტრის ფუნქცია და ისინი პროკურატურის სანოტარო კანტორად გადაიქცნენ," - განმარტავს ადვოკატი. აღნიშნული საქმით "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორი გოჩა ჩხეტიაც დაინტერესდა. მისი განმარტებით, არსებობდა ყველა პირობა იმისა, რომ ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარეს პრეცედენტული გადაწყვეტილება მიეღო, რითაც საკუთარ ავტორიტეტსაც განიმტკიცებდა და პოლიციელებსაც კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ უბიძგებდა. "ჩვენი ინტერესი იყო, რომ ამ საქმით სამართლებრივი პრეცედენტი შეგვექმნა, როცა მოსამართლე დამსწრეების ჩვენების სიმართლეში ეჭვს შეიტანდა, რითაც ცრუ დამსწრეების ინსტიტუტის მოშლა დაიწყებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, გადაწყვეტილება დადგა უსამართლო. ის, რომ იმედაძის საქმეში ყალბი მოწმეები ფიგურირებენ, შალვა ხაჭაპურიძემ კარგად იცოდა. ქუთაისის პროკურორმა 12 ცრუ დამსწრის სია თვითონ წარმომიდგინა. მანვე მითხრა, რომ პოლიციელები გაფრთხილებული ჰყავს - თუკი მათი მონაწილეობით პროკურატურაში საქმე შევიდოდა, უკანვე დააბრუნებდა. თუმცა, რამდენიმე დღის განმავლობაში ერთ-ერთი ცრუ დამსწრე, რომელიც იმედაძის საქმეში მონაწილეობდა, ქუთაისის პოლიციის მეორე განყოფილებამ ახლახან ყალბ მოწმედ, უკვე სხვა საქმეში, ისევ გამოიყენა," - განმარტავს "თავისუფლების ინსტიტუტის" კოორდინატორი.

# იმერეთის სამხარეო პოლიციაში საკადრო ცვლილებები დასრულდა

იმერეთის სამხარეო პოლიციაში საკადრო ცვლილებები და გადაადგილებები დასრულდა.

როგორც რეგიონის შს მთავარი სამმართველოს უფროსმა გია კაჭარავამ ჟურნალისტებს განუცხადა, იმერეთის თორმეტივე რაიონში და ქუთაისშიც პოლიციის უფროსები შეიცვალნენ. **"ვერ ვიტყვი, რომ ყველა სახლში წავა. თანამდებობებიდან გათავისუფლებულთა უმრავლესობა სხვადასხვა სამსახურში გადავიყვანეთ, თუმცა ვაცხადებ, რომ იმერეთის პოლიციამ ახალი სისხლი გადაისხა,"** - აღნიშნა გუშინ გამართულ ბრიფინგზე გია კაჭარავამ.

მისივე თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმემ ესა თუ ის თანამდებობა ათი წლით დაიკავა და არ არის გამორიცხული, ახალდანიშნული თანამდებობის პირები მარტის თვეში კვლავ შეცვალონ. **"ყველაფერი მათ მუშაობაზე იქნება დამოკიდებული. იმერეთში კრიმინალებთან დაუნდობელი ბრძოლა ახალი ძალებით ცხადდება,"** - აღნიშნა კაჭარავამ.

საკადრო ცვლილებები და სტრუქტურული რეორგანიზაცია იმერეთის პოლიციის ახალმა უფროსმა სამხარეო პოლიციის აპარატშიც განახორციელა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**ფოთი.** ფოთში 6 თებერვალს, დაახლოებით 22 საათზე, დაუდგენელმა პირებმა საკუთარ სახლში ჩაცხრილეს პედაგოგი ლუბა ვორობიოვა-მირცხულავა. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მირცხულავას სახლში სამი შეიარაღებული პირი შევიდა, რომლებმაც მას ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლეს. მირცხულვა ამ დროს სახლში მარტო იმყოფებოდა. მკვლელობის ერთ-ერთ ვერსიად ყაჩაღობა სახელდება. სისხლის სამართლის საქმე ფოთის პროკურატურაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართველმა მესაზღვრეებმა 6 თებერვალს აეროპორტ "თბილისში" დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც თბილისი-მოსკოვის საჰაერო რეისით საზღვრის გადაკვეთას ყალბი საბუთებით ცდილობდა. იმავე დღეს, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამმართველო "ლაგოდეხის" თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელიც აზერბაიჯანიდან კონტრაბანდული თევზის, 50 კილოგრამი "ბელუგას" შემოტანას ცდილობდა. ორივე ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დაადგინეს 25 წლის არჩილ ფანცულაია, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა თანასოფლელი, 34 წლის პაატა მანაგაძე. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედიანიუსი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ავტონომია - გამოსავალი, მაგრამ არა ჯადოსნური ჯოხი

*საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივამ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამეგობრობაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) პოლიტიკური სტატუსის შესახებ ქართულ საზოგადოებაში არ არის აზრთა ერთიანობა.*


გაყინული კონფლიქტის ზონის მოქალაქეები.
გოგიტა ბუზარიძის ფოტო

გიორგი ხუბუა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## რატომ ავტონომია?

სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიური ერთეულის სტატუსის მინიჭება ნიშნავს, რომ ქართული სახელმწიფო ირჩევს ტერიტორიული მართვის რთულ მოდელს. შეიძლება ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილებით ცენტრალური ხელისუფლება "საქმეს ირთულებს". ამავე დროს, საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: რა უფრო რთული პრობლემაა საქართველოსათვის - ავტონომია თუ ქვეყნის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) რეინტეგრაცია? ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ პასუხი იმთავითვე ავტონომიის სასარგებლოდ უნდა იყოს.

არც ფედერალიზმი და არც ავტონომია არ არის კონფლიქტების მოწესრიგების ჯადოსნური საშუალება. ამავე დროს, სწორი არ იქნებოდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში მართვის ფედერალური და ავტონომიური სტრუქტურების როლის უარყოფა. ავტონომია ვერ მოხსნის ქართულ-ოსურ ურთიერთობებში არსებულ პრობლემას. ამავე დროს, ავტონომიას შეუძლია ეს დაპირისპირება გადაიყვანოს პოლიტიკური დიალოგის სიბრტყეში და იურიდიულ კონტროლზე აიყვანოს დღემდე უმართავი პროცესები.

ავტონომიის ერთ-ერთი პარადოქსი ისიცაა, რომ ქართველები და ოსები "ერთმანეთს დაუახლოვდებიან ერთმანეთისაგან დაშორების გზით". ავტონომიური სტატუსის მინიჭებით თბილისი გარკვეულწილად "ეგუება" იმ ფაქტს, რომ სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) რამდენადმე დისტანცირებული იქნება ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ამავე დროს, ავტონომიური სტატუსის მქონე სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) ინტეგრირებული იქნება საქართველოს ერთიან პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში.

სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ავტონომია შეიძლება დავახასიათოთ როგორც ინერციით არსებული ავტონომია. მიცემულის წართმევა ყოველთვის მტკივნეულია. ამას ადასტურებს ფედერალური და ავტონომიური სტრუქტურის მქონე ქვეყნების გამოცდილება. ეს დაადასტურა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებამაც. აღნიშნული გარემოება უნდა გავითვალისწინოთ კომპეტენციათა განსაზღვრის დროს იმ ვარაუდით, რომ მოგვიანებით არ წამოიჭრას ცალკეული კომპეტენციების უკან, თბილისში "წამოღების" აუცილებლობა.

## განსხვავება სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ავტონომიურ სტატუსსა და აფხაზეთის, როგორც ფედერაციის სუბიექტის სტატუსს შორის

სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) პოლიტიკურ-იურიდიული სტატუსი არ უნდა განვიხილოთ აფხაზეთის საკითხისაგან მოწყვეტით. აფხაზი ყოველთვის დასვამს კითხვას, თუ რა პოლიტიკურ-იურიდიული ფორმით აისახება ეთნიკურ აფხაზსა და საქართველოში მცხოვრებ უმცირესობებს შორის არსებული განსხვავება?

აფხაზისაგან განსხვავებით, ეთნიკურად ოსი უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული უმცირესობა. აფხაზი წარმოადგენს არა ეროვნულ, არამედ ეთნიკურ უმცირესობას. ეთნიკურად აფხაზი უმცირესობაა არამარტო საქართველოში, არამედ მას არ აქვს სხვა სამშობლო, სადაც ჩამოაყალიბებდა მოსახლეობის უმრავლესობას (განსხვავებით ოსებისაგან, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთში აყალიბებენ უმრავლესობას). აღსანიშნავია, რომ ეთნიკური და ეროვნული უმცირესობის ცნებებს შორის განსხვავებას აღიარებს საერთაშორისო სამართალი და საქართველოს კონსტიტუციაც (მ. 38).

სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) აფხაზეთისაგან განსხვავებით იქნება არა ფედერაციის, არამედ ავტონომიის სუბიექტი. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ავტონომია უნდა განვიხილოთ როგორც დელეგირებული მართლწესრიგი, მაშინ როდესაც აფხაზეთის როგორც ფედერაციის სუბიექტის მართლწესრიგი იქნება არა დელეგირებული, არამედ სახელმწიფოს "წევრი-მართლწესრიგი".

სამხრეთ ოსეთის ავტონომია განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით. მაშასადამე, სამხრეთ ოსეთის ავტონომია წარმოებული იქნება ცენტრალური სახელმწიფოს ნებისაგან. სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, აფხაზეთს გააჩნია კონსტიტუციის დამდგენი ძალაუფლება. აფხაზეთის ავტონომია არ არის წარმოებული ცენტრალური სახელმწიფოს ნებისაგან, ხოლო აფხაზეთის ხელისუფლება დაეფუძნება ლეგიტიმაციის დამოუკიდებელ წყაროს.

აფხაზეთს ცენტრი არ "მისცემს" კომპეტენციებს, რადგან ის ,ვინც რამეს "იძლევა", მას ასევე შეუძლია მიცემულის "წართმევა". აფხაზეთთან, როგორც ფედერაციის სუბიექტთან ურთიერთობა (სავარაუდოდ) უნდა დაეფუძნოს ე. წ. "ნონ-ცენტრალიზაციის" პრინციპს. ეს პრინციპი გამორიცხავს ისეთი "სუპერ-ინსტანციის" არსებობას, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით შეუძლია სახელმწიფო უფლებამოსილებათა დე- ან რეცენტრალიზაცია. აფხაზეთის უფლებები კომპეტენციათა განსაზღვრულ სახეებზე კონსტიტუციურ-სამართლებრივად იქნება დაცული. ცხადია, თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობა არ გამორიცხავს იერარქიას. ამავე დროს, ამ ურთიერთობისათვის უცხო იქნება "ცენტრი - პერიფერიის" მოდელი.

## ავტონომია, როგორც თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ფორმა

ავტონომიის სტატუსის მინიჭება უნდა განვიხილოთ როგორც თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ფორმა. თვითგამორკვევის უფლება არ ნიშნავს "სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლებას". პირიქით, სწორედ იმ ეთნიკურ ჯგუფს არ აქვს სეცესიის უფლება, რომლის უფლებებიც დაცულია ავტონომიის ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმით.

სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) ავტონომიის სტატუსის მიღებით დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით განახორციელებს განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და ისარგებლებს ფართო თვითმმართველობით. ავტონომიის პოლიტიკური სტატუსი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ოსთა ეთნიკური ჯგუფის იდენტურობის დაცვის საშუალება.

ოსთა დემოგრაფიული სიტუაციის გათვალისწინებით შესაძლებელია ვიფიქროთ ე. წ. პოზიტიური დისკრიმინაციის სისტემასა და ეთნიკური ოსების მიმართ განსაკუთრებული ხელშეწყობის პოლიტიკის გატარებაზეც. ამასთანავე, ეს სისტემა უნდა გამორიცხავდეს უმრავლესობის კანონიერი უფლებების დარღვევას, ხოლო "უმცირესობის კარგად ყოფნა" არ უნდა ნიშნავდეს "უმრავლესობის ცუდად ყოფნას". გარდა ამისა, ამ სისტემამ არ უნდა წაახალისოს ოსების თვითიზოლაციონიზმი, ხელი არ უნდა შეუშალოს სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას (როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას) და ა. შ.

## ავტონომიის სტატუსის მინიჭება არ ნიშნავს "ანტიცენტრალიზმს"

ფედერალური სტრუქტურების ჩამოყალიბება და "ავტონომიზაცია" ხშირად არასწორად განიხილება, როგორც "ანტიცენტრალიზმი". მითუფრო, რომ საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) რეინტეგრაციის პროცესი საწყის ეტაპზე მაინც სწორედ ცენტრალიზაციის მიმართულებით უნდა წარიმართოს.

ავტონომიის სტატუსის მიღების შემდეგ სამხრეთ ოსეთმა (ცხინვალის რეგიონი) ცენტრს უნდა გადასცეს მთელი რიგი კომპეტენციები, რომელსაც ცხინვალის მთავრობა დღეისათვის ფაქტობრივად განაგებს. ამ თვალსაზრისით, ცხინვალმა უნდა "დათმოს" კომპეტენციათა ნაწილი. ცხადია, ამ შემთხვევაში დადგება საკითხი, თუ რას მიიღებს ცხინვალის ხელისუფლება იმ კომპეტენციების სანაცვლოდ, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების კლასიკურ გამგებლობას განეკუთვნება (თავდაცვა, საზღვრის დაცვა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და სხვ.) და რომელიც თბილისის გამგებლობაში გადავა. უფლებამოსილებათა "კომპენსაციის" საკითხზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ალბათ შეუძლებელი იქნება. ამავე დროს, რასაც დღევანდელი სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) "დაკარგავს" კომპეტენციათა შინაარსობრივი მოცულობის თვალსაზრისით, მოიგებს მას სივრცეში. კერძოდ, სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) მონაწილეობას მიიღებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით. სამხრეთ ოსეთს (ცხინვალის რეგიონს) ეძლევა უფრო ფართო ბაზარზე გასვლის, ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური რესურსების გადანაწილებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის პერსპექტივა და სხვ.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) შეიძენს არა მარტო ფართო ავტონომიას, არამედ იკისრებს პასუხისმგებლობას საერთოქართული სახელმწიფოს მართვაზე საქართველოს პარლამენტის მეორე პალატაში, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სასამართლო ხელისუფლებასა და კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში მონაწილეობის ფორმით. ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) მონაწილეობას აქვს როგორც დიდი პოლიტიკურ-სამართლებრივი, ასევე განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა.

## კომპეტენციათა დანაწილება

ავტონომიასა და ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობის მიკუთვნებული საკითხების წრე ყოველთვის ასახავს ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალების ბალანსს. სწორედ კომპეტენციათა სისტემა მიუთითებს, თუ რამდენად ძლიერია ერთი მხრივ ცენტრი და მეორე მხრივ, რამდენად ძლიერია ცენტრისაგან "გაქცევის" ტენდენცია.

კომპეტენციათა მოცულობის განსაზღვრის თვალსაზრისით დღეს სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) უფრო მომგებიან სიტუაციაში იმყოფება, ვიდრე თბილისი. სამხრეთ ოსეთს (ცხინვალის რეგიონი) სწორედ რომ დღეს შეუძლია მიიღოს მაქსიმალურად ფართო ავტონომია. ძნელი წარმოსადგენია სამხრეთ ოსეთისათვის (ცხინვალის რეგიონი) უფრო ხელსაყრელი სიტუაცია, როდესაც მას შეუძლია თბილისს "გამოსტყუოს" მაქსიმალურად ფართო ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში რეინტეგრაციის "სანაცვლოდ". ამავე დროს, ცხინვალი უნდა აცნობიერებდეს იმ გარემოებასაც, რომ ძალთა გადანაწილებაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება (სავარუდოდ) აისახება ავტონომიის მოცულობაზეც.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა შევეხოთ აჭარის ავტონომიის საკითხსაც. ხშირად მიუთითებენ, რომ აჭარის შეკვეცილი ავტონომია ცუდი მაგალითი აღმოჩნდა სოხუმისა და ცხინვალისათვის. ჩემი აზრით, აჭარის ავტონომიური სტატუსში განხორციელებული ცვლილებები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის (ცხინვალის რეგიონი) სხვა კუთხითაც უნდა იყოს საინტერესო.

აჭარის მაგალითმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის გარემოება, რომ ავტონომიის შინაარსს მთლიანად განსაზღვრავს ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალების დინამიკა. აჭარის მაგალითი სოხუმისა და ცხინვალისათვის უნდა იყოს ერთგვარი სიგნალი, რომელიც ღიად მიუთითებს, რომ გაცილებით მომგებიანია უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ დიალოგი დაიწყოს სწორედ ისეთ სიტუაციაში, როდესაც თბილისი შედარებით "სუსტია". დღეს შეიძლება თბილისს "წაართვა" მაქსიმალურად ფართო კომპეტენციები. როდესაც სიტუაცია თბილისის "სასარგებლოდ" შეიცვლება, ცენტრალური ხელისუფლება შეიძლება არ დათანხმდეს კომპეტენციათა იმ მოცულობის დელეგირებას, რომლის მზადყოფნასაც იგი დღეს გამოთქვამს. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ ავტონომია არ არის ისეთი უნივერსალური კატეგორია, როგორც ადამიანის უფლებები ან დემოკრატია. ავტონომიის შინაარსი ყოველთვის კონკრეტულია - არ არსებობს ავტონომიის საერთაშორისო-სამართლებრივად განსაზღვრული სტანდარტები.

სახელმწიფო უფლებამოსილებების დელეგირება სასურველია მოხდეს არა პოლიტიკური ინსტიტუტებს, არამედ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) სახელმწიფო დონეებს შორის. ანუ საქართველოს ხელისუფლება არ შექმნის აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს, რომლებიც თავის თავზე აიღებენ სამხრეთ ოსეთში (ცხინვალის რეგიონი) ფედერალური სამართლის შეფარდების ფუნქციას. ფედერალური სამართლის შეფარდებას განახორციელებენ სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) სახელმწიფო სტრუქტურები (მათ შორის, სასამართლოებიც).

უფლებამოსილებათა გამიჯვნა შესაძლებელია დაეფუძნოს გადანაწილების შემდეგ სისტემას: ა) ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციები; ბ) სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) კომპეტენციები; გ) კონკურირებადი კომპეტენციები; დ) ერთობლივი კომპეტენციები. კომპეტენციები, რომელიც კონსტიტუციით არ განეკუთვნება საქართველოს გამგებლობას, სასურველია დარჩეს სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) გამგებლობაში.

ცენტრალური ხელისუფლებისა და ავტონომიის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები, როგორც წესი, განისაზღვრება არა ცალმხრივად, არამედ ერთობლივი დიალოგის პროცესში. დღეისათვის საკმაოდ არარეალურია, რომ ოსური მხარე დათანხმდეს სტატუსთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას. ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ შეხედულებებს უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ მხოლოდ სამუშაო დოკუმენტის მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს.

## ტერიტორიული ავტონომია

უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) მიიღებს ტერიტორიულ ავტონომიას, რამდენადაც ოსების ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს გეოგრაფიულად შემოსაზღვრულ რაიონში. ამასთანავე, ავტონომიური უფლებებით ისარგებლებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირი და არა მხოლოდ ოსების ეთნიკური ჯგუფი.

უმცირესობათა პრობლემის "ტერიტორიალიზაცია" არ წარმოადგენს პრობლემის გადაწყვეტის გზას. ის გარემოება, რომ ავტონომიის შედეგად ყოფილი უმცირესობა უკვე უმრავლესობა ხდება, მოითხოვს განსაკუთრებით ფრთხილ შეფასებას. ამ შემთხვევაში ავტონომიამ შეიძლება გაამწვავოს (უკვე) სხვა უმცირესობების პრობლემა.

სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ავტონომიის ეფექტიანი რეალიზაციისათვის აუცილებელია, რომ მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს ავტონომიის შინაარსი. ტერიტორიული ავტონომიის აუცილებელი წინაპირობაა, რომ ავტონომიურმა ერთეულმა მკაცრად დაიცვას ადამიანისა და უმცირესობათა უფლებები. ავტონომიის მოდელის წარმატებული რეალიზაციის აუცილებელი წანამძღვარია თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბება და ამ სახით ავტონომიის დემოკრატიული ლეგიტიმაცია.

## პერსონალური ავტონომია

ტერიტორიული ავტონომიის რეალიზაცია საკმაოდ პრობლემურია ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ეთნიკურ ჯგუფებში, როდესაც მათი ტერიტორიული განსახლების არეალი ერთმანეთისაგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული. ქართველებსა და ოსებს შორის არსებული დაპირისპირების განეიტრალება გარკვეულ დროს მოითხოვს. ამ გარემოების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ტერიტორიული ავტონომიის ფარგლებში მცხოვრებმა ოსებმა ისარგებლონ პერსონალური ავტონომიითაც. პერსონალური ავტონომია უზრუნველყოფს ოსთა სპეციფიკური ინტერესების რეალიზაციას კულტურის, ენისა და აღზრდა-განათლების სფეროში. ამ საკითხების გადაწყვეტისას ავტონომიას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ფინანსური უფლებამოსილებებიც.

პერსონალური ავტონომია შეიძლება განხორციელდეს კერძო-სამართლებრივი გაერთიანებების სახით (სხვადასხვა საზოგადოებები, ფონდები და სხვ.). ცხადია, პერსონალური ავტონომიის რეალიზაცია მთლიანად დამოკიდებულია ოსთა ინდივიდუალურ ნებაზე. თუ უმცირესობის რომელიმე წარმომადგენელი სუბიექტურად თავის თავს არ თვლის ოსთა ეთნიკური ჯგუფის წევრად, ცხადია, იგი არ შეიძლება იძულებით მივაკუთვნოთ ამ ჯგუფს. აქედან გამომდინარე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პერსონალური ავტონომია "წარმოადგენს" მხოლოდ თავის წევრებს და არა საერთოდ ოსების ეროვნულ უმცირესობას.

## კულტურული ავტონომია

ეთნიკურად ოსი ისარგებლებს კულტურული ავტონომიით ანუ ავტონომია დამოუკიდებლად გადაწყვეტს ეთნიკური იდენტურობის განმსაზღვრელ ისეთ საკითხებს, როგორიცაა ენა, განათლება და კულტურა. კულტურული ავტონომია ხელს შეუწყობს ოსების კულტურულ განვითარებას. ამავე დროს, ავტონომიის აღნიშნული ფორმა არ გულისხმობს აბსოლუტურად ყველა კულტურული უფლების რეალიზაციას. ოსების ეროვნული უმცირესობა შეიძლება დაკმაყოფილდეს სასკოლო ავტონომიითაც. კულტურულმა ავტონომიამ, ამავდროულად, არ უნდა წაახალისოს ოსების კულტურული თვითიზოლაცია, რომელიც საბოლოო ჯამში გააღრმავებს გაუცხოების სინდრომს ქართველ და ოს ხალხს შორის. ერთად ცხოვრება მოითხოვს ერთმანეთის კულტურის ცოდნას. კულტურულ ავტონომიასთან ერთად აუცილებლად უნდა ამოქმედდეს ერთიანი სახელმწიფო ნების ფორმირების პროცესში ოსების პოლიტიკური მონაწილეობის მექანიზმები. კულტურული ავტონომია მხოლოდ მაშინ ასრულებს ინტეგრაციულ ფუნქციებს, როდესაც აყალიბებს უმრავლესობასთან მჭიდრო კავშირის და არა იზოლაციის პირობებს.

## კომუნალური ავტონომია

კომუნალურმა ავტონომიამ უნდა უზრუნველყოს სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) მოსახლეობის დემოკრატიული თვითმმართველობა. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა და მათი არჩევის წესი უნდა განსაზღვროს სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) კანონმდებლობამ. ადგილობრივი თვითმმართველობის ქმედითი სისტემა მნიშვნელოვნად აამაღლებს ავტონომიის სიცოცხლისუნარიანობას. იგი, ასევე, ჩამოაყალიბებს კონფლიქტის მოგვარების დამატებით დონეს, რაც მნიშვნელოვნად გაანეიტრალებს არსებულ დაპირისპირებას.

## ენობრივი ავტონომია

სამხრეთ ოსეთი (ცხინვალის რეგიონი) ისარგებლებს ენობრივი ავტონომიით. კერძოდ, ოსურ ენაზე იწარმოებს მეცადინეობა სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში (ოსების განსახლების ადგილის მიხედვით). კანონმდებლობით განისაზღვრება ოსური ენის დაცვისა და მისი განვითარების სამართლებრივი გარანტიები.

## წარმომადგენლობა

საქართველოს დედაქალაქში - თბილისში, სამხრეთ ოსეთს (ცხინვალის რეგიონი) ეყოლება თავისი წარმომადგენლობა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ კავშირებს ცხინვალსა და თბილისს შორის პოლიტიკის, მართვის, ეკონომიკის და კულტურის სფეროში. ეს წარმომადგენლობა, არსებითად, იქნება სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონი) ლობი საქართველოს დედაქალაქში. წარმომადგენლობის წევრები მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს პარლამენტის მეორე პალატის სამუშაო ორგანოთა საქმიანობაშიც.

## დავის გადაწყვეტის მექანიზმები

სამხრეთ ოსეთსა (ცხინვალის რეგიონი) და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის კომპეტენციების საკითხზე წარმოშობილ დავას გადაწყვეტს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სუბიექტის ჩამოყალიბება ახალ მოთხოვნებს უყენებს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას. ავტონომიის სუბიექტი (სავარაუდოდ) უნდა განვიხილოთ როგორც კონფლიქტუნარიანი ცენტრი. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის რთული სტრუქტურა იმთავითვე გულისხმობს დავების მეტ ალბათობასაც. ცალკე განხილვის საგანი უნდა გახდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ავტონომიის სუბიექტის მონაწილეობის საკითხიც.

"ინსაითმა" მოსკოვის კლუბი გაავსო



B2

ყოველ სამშაბათს



B3

ალენ ჟირესი: „მთავარია მოტივაცია„



B4

ნომრის სტუმარი

# რაც აქამდე კონფლიქტების დარეგულირების საქმეში კეთდებოდა, ფუჭი იყო

მაია ჭალაგანიძე

*საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა "სასაკავას მშვიდობის ფონდის" (იაპონია) მხარდაჭერით მოაწყო საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: "სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნეში: პრობლემები და პერსპექტივები". დღეს, როცა საქართველოსა და უკრაინაში დემოკრატიული ცვლილებები მოხდა და თანაც როგორ, როცა რუსეთი აშკარად იხრება ავტორიტარიზმისკენ, ამ კონფერენციის თბილისში ჩატარება მეტად ნიშანდობლივი ფაქტია და მთელი ხელისუფლებაც დიდი ენთუზიაზმით ემზადებოდა მასპინძლობისთვის, რომ არა 3 თებერვალს მომხდარი ტრაგედია. კერძო პირის, სასაკავას ფონდმა გამოყო ფული რეგიონზე, სადაც დიდი ინტერესები არ აქვს. როგორც კონფერენციის ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე რონდელი ამბობს, "როგორც ჩანს, მთავარ დონორს სურდა რეგიონის წარმოჩენა და ალბათ, რევოლუციამაც დააჩქარა გადაწყვეტილების მიღება". კონფერენციაზე, რომლის მასშტაბისაც საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა, განიხილებოდა საკითხები "სამხრეთ კავკასია და საერთაშორისო უსაფრთხოება"; "უსაფრთხოება და რეგიონის დამოუკიდებლობა"; "რეგიონის განვითარების და დემოკრატიული განვითარების გამოწვევები".*



სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მეტი ყურადღება სჭირდებათ იმისთვის, რომ ისინი საერთაშორისო პოლიტიკის პერიფერიებზე არ დარჩნენ.

კონფლიქტები საქართველოს ფეხზე დადგომასაც უშლის ხელს და მთლიანად რეგიონშიც გაჭირდება პოზიტიური პროცესების გაგრძელება. ეს საყურადღებო და ახალი მელოდია იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეს ჩაფიქრებული არ გვქონია, რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკა კონფერენციის ლაიტმოტივი იყო.

- ეს კონფერენცია იყო კავკასიისა და საქართველოს პრობლემების წინ წამოწევის მცდელობა. ამას განაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა საქართველოში შარშანწინ და უკრაინაში წელს მომხდარი მოვლენები. დადგა დრო, თავად დაგვენახა, რას ვფიქრობთ რეგიონზე და საკუთარ თავზე, რას ფიქრობენ ჩვენი უახლოესი მეზობლები, საერთაშორისო ორგანიაციები და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები - ეს იყო კონფერენციის მთავარი იდეა, მაგრამ აგრეთვე გვინდოდა საქართველოს წარმატებების წარმოჩენაც. ზურაბ ჟვანიას წასვლამ ძალიან დიდი დაღი დაასვა ქვეყანას, მაგრამ ჩვენი ლიდერები პოსტსაბჭოური სივრცის სხვა რეგიონთა ლიდერებისგან ძალიან განსხვავდებიან. მსოფლიოს ეს საკუთარი თვალით უნდა ენახა და ამას, გარკვეულწილად, მივაღწიეთ.

**- რომელი ქვეყნიდან მოდიოდა განსაკუთრებული ინტერესი?**

- რა თქმა უნდა, შეერთებული შტატებისგან. დაინტერესება მოდიოდა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან. მინდა მადლობა ვუთხრა საგარეო საქმეთა სამინისტროს და პირადად ქალბატონ სალომეს. მათ დიდი დახმარება გაგვიწიეს. ადვილი არ არის 140-მდე უცხოელი სტუმრის ჩამოყვანა. ბევრს თავად მინისტრმა მისწერა წერილი. ასეთი წერილები რუსეთსაც გაეგზავნა - საგარეო საქმეთა მინისტრს, უშიშროების საბჭოსაც, მაგრამ რუსეთიდან ოფიციოზი არ ჩამოსულა, თუმცა იყვნენ წამყვანი ანალიტიკოსები - სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი ევგენი კოჟოკინი, "გაზპრომის" წარმომადგენელი სერგეი ბალაშოვი, ფონდ "პოლიტიკის" პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი...

**- როგორ იმუშავეს ამ კონფერენციაზე ჩვენმა მეზობელმა რუსეთმა და სტრატეგიულმა პარტნიორმა აშშ-მ?**

- სამწუხაროდ, რუსეთის წარმომადგენელთა გამოსვლებში ახალი ვერაფერი დავინახეთ. იყო რუსეთის ქცევის გამართლების მცდელობები. მათ ნათქვამში ვერც ერთმა ჩვენმა კოლეგამ ვერ დაინახა დამაჯერებელი არგუმენტი.

რუსეთის რამდენიმე წარმომადგენელმა გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, აფხაზეთისა და ოსეთის წარმომადგენლებიც დასწრებოდნენ კონფერენციას... რა თქმა უნდა, ამ აზრს ვთანხმებით და გვინდა, რომ ისინიც იყვნენ, მაგრამ მათ ბედს მხოლოდ რუსეთი არ უნდა წყვეტდეს. ეს საერთაშორისო ინსტიტუტების და ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა გადაწყდეს. დავით დარჩიაშვილმა კარგად გამოხატა საქართველოს პოზიცია და თქვა, რომ საქართველო არა ნაციონალური, არამედ საერთაშორისო ინტერესებით ხელმძღვანელობს და მათ შორის, პატარა ხალხების ინტერესებითაც. არგუმენტები, რომ თითქოს, რუსეთის მოსახლეობა თავის ხელისუფლებას არ აპატიებს ამ ორი ხალხის მიტოვებას და ამიტომ გაიცა პასპორტები - კონფერენციის მონაწილეებმა არ მიიღეს, ამაზე, უბრალოდ, გაეცინათ.

კონფერენციაზე, ძირითადად, კონსტრუქციული სული იყო. ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსის, ვლადიმერ სოკორის გამოსვლამ პატარა ცუნამი მოაწყო. ეს არის კაცი, რომელიც ვეფხვივით ბუჩქებში არის შემალული და როცა ამათ უსმენდა, მღელვარებისგან თრთოდა. თავის გამოსვლაში მან პირდაპირ თქვა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა და განსაკუთრებით, ეუთო-მ ბევრი ვერაფერი გააკეთა იმისთვის რომ რუსეთი საქართველოს შინაგან საქმეებში ასე უტიფრად არ ჩარეულიყო. ცხადია, ეს რუსებს არ მოეწონათ. სოკორმა გააკრიტიკა ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და თქვა, რომ კონფლიქტების მოგვარება საკუთარ თავზე უნდა აიღოს ნატო-მ და ევროპის კავშირმა, რადგან აქამდე არსებულმა მექანიზმებმა ვერ იმუშავა. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას ველოდით, რადგან სოკორი ყოველთვის საქმიანად გამოდის. მან ისეთი "ბომბები" ისროლა, რომ "აფეთქებები" კარგა ხანს გრძელდებოდა. სოკორის არგუმენტები ძალიან მჭრელია. კოჟორკინმა წამოაძახა კიდეც - თქვენ ჯერ კიდევ ცივი ომის ეპოქაში ხართო...

სესტანოვიჩმა, რომელსაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მაღალი პოსტი ეკავა, ამჯერად კი წამყვანი ანალიტიკოსია, თქვა, რომ დროა, ლექსიკონიდან ამოვიღოთ ტერმინი "პოსტსაბჭოური სივრცეო"... ზოგმა თქვა, რომ ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვთ საერთოო, მაგრამ მთავარში ერთსულოვანნი იყვნენ - სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს მეტი ყურადღება სჭირდებათ იმისთვის, რომ ისინი საერთაშორისო პოლიტიკის პერიფერიებზე არ დარჩნენ და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრი პრობლემა აქვს, კავკასიას საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მეტი მიხედვა სჭირდება.

ამ კონფერენციამ, თანამშრომლობის თვალსაზრისით, ბევრი კარი გახსნა. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით ბრიტანელ ანალიტიკოსსა და საერთაშორისო ურთიერთობების ერთ საუკეთესო სპეციალისტზე მსოფლიოში, ნილ მაკფარლეინზე. თავის შემაჯამებელ გამოსვლაში მან ყველაფერი ზუსტად შენიშნა და თქვა, რომ ახალი მექანიზმებია შესამუშავებელი და მიდგომაც თვისობრივად შესაცვლელიაო.

**- თქვენი ორგანიზაცია მეოთხე წელია, არსებობს. როგორ შეიცვალა ამ დროში საქართველოს პოზიციები მსოფლიო არენაზე?**

- სრულიად ნათლად გამოჩნდა იმის იმედი, რომ საქართველო სწორ გზაზე დგას. "ვარდების რევოლუციამდე" ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მსგავსი რამ არ იყო. პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელიც სტუმრებისთვის მოულოდნელად მოვიდა კონფერენციაზე, გამოსვლა სწორედ ამით დაიწყო. თავის ერთსაათიან გამოსვლაში მიღწევებზეც ისაუბრა და პრობლემებზეც. ყველას გადაწვდა - ჩრდილოელ მეზობელს, პრეზიდენტ პუტინს და საერთაშორისო ორგანიზაციებსაც.

**- კონფერენცია ტრაგიკულ დღეებს დაემთხვა. რატომ არ ჩავარდა ეს ღონისძიება?**

- იმიტომ, რომ ეს ქვეყნის ხელმძღვანელობას არ უნდოდა. კონფერენციის მზადების პერიოდში კონსულტაციები გვქონდა პრეზიდენტთანაც და პრემიერთანაც. 4 დღით ადრე პრემიერ-მინისტრთან დეტალურად და დიდხანს ვისაუბრეთ კონფერენციის შესახებ. მოწვეულთაგან ზურაბ ჟვანია ბევრს იცნობდა და ბავშვივით უხაროდა ეს კონფერენცია.

**- ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება პრესისთვის რატომ იყო დახურული?**

- ფიზიკურად არ იყო ადგილები, რის გამოც ბევრი გავანაწყენეთ. რადგანაც პრეზიდენტის მოსვლა გადაწყდა, ელჩებიც მოვიწვიეთ და მათთვის სკამების ჩადგმა დაგვჭირდა. გული გვწყდება, რომ ახალგაზრდა ქართველი ანალიტიკოსები ვერ ესწრებოდნენ კონფერენციას, ისინი აქ ბევრ რამეს ისწავლიდნენ.

**- საუბარი საგარეო საფრთხეების შესახებაც იქნებოდა.**

- საფრთხეებად, ძირითადად, მოუწესრიგებელი კონფლიქტები მიაჩნიათ. ეს კონფლიქტები საქართველოს ფეხზე დადგომასაც უშლის ხელს და მთლიანად რეგიონშიც გაჭირდება პოზიტიური პროცესების გაგრძელება. ეს საყურადღებო და ახალი მელოდია იყო.

**- შეეხნენ თუ არა რუსეთის შემოსვლის საშიშროებას საქართველოს ენერგოსექტორში?**

- როდესაც ბატონმა კახა ბენდუქიძემ თავის გამოსვლაში თქვა, რომ ეს წმინდა ბიზნესია და არც შაჰდენიზის მილსადენია დიდად სტრატეგიული მნიშვნელობისაო - ამან განსაკუთრებული ინტრესი და გამოცოცხლება გამოიწვია. ბატონმა კახამ საერთაშორისო ორგანიზაციებიც გააკრიტიკა და თქვა, რომ მათი ტექნიკური დახმარება არაეფექტურია და უფრო საქმიანი უნდა იყოს. რომ ძალიან ბევრი ფული იხარჯება მრჩევლებზე და არა საქმეზე...

**- ხომ არ იგულისხმებოდა კასპიის ენერგორესურსების საკითხებში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი სტივენ მანი, რომელიც "გაზპრომის" მიერ მილსადენების შესყიდვის საკითხის წამოწევისთანავე აქ გაჩნდება ხოლმე?**

- არა. კონფერენციაზე სტივენ მანის წარმომამდგენელიც იყო და საკუთარ თავზე არ მიუღია.

**- თბილისის კონფერენციაზე გავლენიანი ანალიტიკოსები და დიპლომატები მონაწილეობდნენ. რა ტენდენციები შენიშნეს?**

- ეს არის ხალხი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობენ. მათ სიტყვას პრეზიდენტები უსმენენ. ეს იყო ფორუმი, სადაც კარგად ჩანდა ახალი ტენდენციები და გარდა ამისა, ერთმანეთსაც მოუსმინეს.

მსგავსი ტიპის შეხვედრის ორგანიზების სურვილი სომხებსაც გაუჩნდათ და აზერბაიჯანელებსაც. მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, იქ ჩასვლა ყველას არ შეუძლია და ეს არის პრობლემა.

**- კრიტიკული გამოსვლები, ძირითადად, რუსეთს და მის პოლიტიკას შეეხებოდა?**

- მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ეს ჩაფიქრებული არ გვქონია, რუსეთის დესტრუქციული პოლიტიკა კონფერენციის ლაიტმოტივი იყო. მთლიანობაში ეს იყო მეგობრული კონფერენცია. რუსები ხომ ჩვენი მეტოქეებიც არიან და პარტნიორებიც. ყველა აღნიშნავდა რუსეთის უდიდეს როლს რეგიონის განვითარების საქმეში, მაგრამ თქვეს, რომ რუსეთის პოზიცია აქამდე კონსტრუქციული არ იყო.

**- ამ განწყობის და გამოსვლების მიუხედავად, ალბათ, არ ელით, რომ რუსეთი გადახედავს რეგიონში თავის პოლიტიკას...**

- რუსეთში ძალიან ბევრი პრობლემაა დაკავშირებული შიდა პოლიტიკურ გადანაწილებასა და ინტერესთა გავლენებთან. ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთში დიდი ინტერესები აქვს მოსკოვის მერიას, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს, სპეცსამსახურებს, რომლებიც იქ ყველაფერს ყიდულობენ. აფხაზები მიხვდნენ, რომ რუსეთის ასეთი სახის მეურვეობა მათ არ სურთ...

**- მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ საქართველოსთან სურთ.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ამ რეგიონს ან "მშვიდობიანად" მიითვისებს რუსეთი, თუ ამის უფლება მისცეს (მაგრამ, როგორც ჩანს, ამის უფლებას არ მისცემენ), ან ამას ძალით გააკეთებენ, ან აფხაზებს ჩვენთან საუბარი მოუწევთ.

**- რატომ არ მოიწვიეთ ისინი კონფერენციაზე?**

- არ იყო ასეთი ფორმატი და არც თავად დათანხმდებოდნენ ჩამოსვლაზე. მაგრამ, მათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშულება მაინცდამაინც არ აქვთ. თუმცა, ახლა ვფიქრობ, რომ რაღაც ფორმის მოძებნა შეიძლებოდა. ჩვენ რომ ერთი ერთზე უფრო მეტი დიალოგი უნდა გვქონდეს, ეს ცხადია. და რაც მთავარია, ეს პრობლემა საერთაშორისო ნორმების და პრაქტიკის გამოყენებით უნდა გადაწყდეს.

**- ამ კონფერენციის მიზანი და კომპეტენცია შიდა პრობლემების განხილვა არ იყო, მაგრამ შიდა და საგარეო პრობლემები ერთმანეთთან გადაჯაჭვულია და, ალბათ, სტუმრები ამ საკითხებსაც შეეხნენ.**

- მთავარი პროცესი სახელმწიფო მშენებლობაა. მართალია, ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, მაგრამ შეიძლება, რაღაც ეტაპებზე სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება დემოკრატიულ განვითარებად ვერ გამოჩნდეს. პრეზიდენტმაც ეს აღნიშნა, რომ დღეს მთავარი პროცესი სახელმწიფოს შენებაა.

**- უცხოელი ანალიტიკოსებისგან განსხვავებით, თქვენ შეგიძლიათ იმის თქმა, რა შიდა ცვლილებებს გამოიწვევს ისეთი პლიტიკური ფიგურის გარდაცვალება, როგორიც ზურაბ ჟვანიაა.**

- კონფერენციის ყველა მონაწილემ დიდი სინანული გამოთქვა მისი გარდაცვალების გამო და ბევრი დაკრძალვასაც დაესწრო. მთელი კონფერენცია ამ სამწუხარო ფონით მიმდინარეობდა. აუცილებლად აღნიშნავდნენ ჟვანიას როლს პოლიტიკაში და ამბობდნენ, რომ რეგიონში ასეთი ტიპის პოლიტიკოსები ბევრი უნდა იყოს.

ეს დიდი დანაკარგია. ჟვანია ერთ-ერთი გამორჩეული ინტელექტუალი და ერუდიტი იყო. ასაკის მიუხედავად, ის ბრძენი პოლიტიკოსი იყო. ამ ნიშის შევსება რთულია. სააკაშილი-ჟვანია-ბურჯანაძე, რაღაცნაირად აეწყვნენ და დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ტიპისა იქნება ახალი კაცი. საქართველო ისეთ განსაცდელშია, როცა ასეთი კალიბრის ლიდერები საჭიროა. სამივე ლიდერი ისეთია, რითიც საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყანას აფასებენ.

**- დღეს ქვეყნები ფულიან და უფულო ქვეყნებად აღარ იყოფა, უფრო გონივრული და არაგონივრული პოლიტიკით აფასებენ...**

- მე ვიტყოდი - კვალიფიციური, მაღალგანვითარებული მოსახლეობით, სოციალური მობილურობითა და მაღალი დინამიზმით ფასდება. ჩამორჩენილ მოსახლეობას დინამიზმი არ აქვს. საქართველოში ჯერ კიდევ ეშინიათ სიახლეების. სააკაშვილს კი სტერეოტიპების დამსხვრევა სურს. ეს რთულია - ხალხი ძილშია, თავის დროზე ილია ჭავჭავაძემაც ვერ გააღვიძა ხალხი. ჩვენ მოგვდგამს პერიფერიებსა და პროვინციაში ყოფნა და ამან დაგვღუპა.

ამ კონფერენციაზე რუსი კოლეგები ამბობდნენ, რომ ეკონომიკური ჩამორჩენილობაა და სხვა. არც დასავლელებმა დაგვაკლეს, მაგრამ უფრო მეტად გამოხატავდნენ ოპტიმიზმს იმიტომ, რომ დინამიზმი დაინახეს...

**- სად გადის ზღვარი საერთაშორისო გარღვევებსა და შიდა ეკონომიკურ აღმავლობას შორის?**

- ჩვენთვის მთავარი ეკონომიკური წინსვლაა. ეს სოციალური პრობლემების შესუსტებას მოიტანს და ეს იქნება კონფლიქტების გადაწყვეტის საფუძველი, რადგან როცა სუსტი ხარ, ცუდ პარტნიორად განიხილები. სახელმწიფოს მშენებლობა ყველა გამოსვლაში ჩანდა და ამ მხრივ, საქართველო კავკასიაში მოწინავეა. ჩვენ ყველა გვიყურებს და დიდი მნიშვნელობა აქვს, რა იქნება...

**- ამ კონფერენციის გამოძახილს როდის და რა ფორმებით შევიგრძნობთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ამ კონფერენციამ რაღაც ახალ პროცესებს დაუდო სათავე. მაგრამ, ხმამაღლა კიდევ ერთხელ ითქვა პოსტსაბჭოური სივრცის ცვლილებების შესახებ და ისიც პირდაპირ გაცხადდა, რომ რაც აქამდე კონფლიქტების დარეგულირების საქმეში კეთდებოდა, ფუჭი იყო. იმდენად, რომ სოკორმა საერთაშორისო ორგანიზაციებს დააბრალა - დესტრუქციას, აგრესორს და იმპერიალისტს უწყობდით ხელსო. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ანგარიშგასაწევმა დიპლომატებმა ბევრი რამ წაიღეს აქედან. გამოძახილს კი დიპლომატიაში ვიგრძნობთ, უფრო - ამერიკულ დიპლომატიაში.

**- რუსები და ეუთო დატუქსულად გრძნობდნენ თავს?**

- რუსეთმა მოახერხა ეუთო-ზე თავისი იდეების თავსმოხვევა. ამას ნატო-ს გააქტიურება რომ მოჰყვეს, განა მათ უნდათ? ხშირად ისმოდა - საზღვარზე ფარის გარეშე ნუ მიატოვებთ საქართველოსო....



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ჟან-ჟაკ ბრიკერი, მორის ლესაგი
"ინსტინქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
მილერი
"ყველა ჩემი შვილია"
რეჟისორი: ლეო ანთაძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"დონ ჟუანი"
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ჩუმად, რეპეტიციაა!"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ედუარდო დე ფილიპო
"აჩრდილები"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"პატარა უფლისწული"
მარინე სურმავას სპექტაკლი
ფასი: 3 ლარი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 15:00; 17:00 სთ.

"ეროვნული საგანძური"
დას: 12:30; 19:00; 21:30 სთ.

**ამირანი**
"შეხვედრა ფაკერებთან"
დას: 12:00; 17:00; 19:30; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

"ბრიჯით ჯონსი"
დას: 14:30 სთ.

## გამოფენები

**TMS**
ხუტა ირემაძის ნამუშევართა მემორიალური გამოფენა (ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**ძველი გალერეა**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა)

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
კავკასიური ნაივური მხატვრობა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ვინ შეიცვლის ორიენტაციას

## უხერხული და უცნაური დებატები



ბევრი იქამდეც მიდის, რომ ამტკიცებს - სფონჯბობ სქვეარფენთსმა, იგივე ღრუბელმა, იგივე პოპულარულმა ანიმაციურმა პერსონაჟმა - ძალიან დააშავა, თუ "პრო-ჰომოსექსუალისტურ" ვიდეო-კლიპში გამოჩნდაო. არადა, მალე ასე რადიკალურად განწყობილ პუბლიკას ერთი დიდი შოკის გადატანა მოუწევს. "სიმპსონების" ერთ-ერთი პერსონაჟი მოულოდნელად გეი აღმოჩნდება და თავისივე სქესის პერსონაჟზე დაქორწინდება.

ქორწინების სერია ამერიკული ტელეეთერით 20 თებერვალს გადაიცემა. მანამდე სერიალის შემქმნელები საგულდაგულოდ მალავენ ჰომოსექსუალი გმირის ვინაობას, რაც ტელეაუდიტორიაში მძაფრი დებატების გამართვას უწყობს ხელს.

მაინც ვინ აღმოჩნდება გეი? ასე ისმის კითხვა და შესაძლო ვარაუდებიც არ აყოვნებს. ერთ-ერთი გმირის - მარჯ სიმპსონის დის, მწეველი და ხრინწიანხმიანი პეტის გულშემატკივრებს კი ფსონების დასადებად ვებ-გვერდიც აქვთ გახსნილი.

ასეთ დიდ აჟიოტაჟს წინასწარ გავრცელებული ცნობა იწვევს. სავარაუდოდ, 20 თებერვლის სერიაში მოქმედება ასე უნდა განვითარდეს: ჰომერ სიმპსონმა უნდა დააქორწინოს "სიმპსონების" ერთ-ერთი პერსონაჟი. მანამდე კი ჰომერი ინტერნეტის მინისტრი უნდა გახდეს, რადგან ჰგონია, რომ გეი წყვილების დაქორწინებით, ანუ მაჭანკლობით, კარგ ფულს გააკეთებს.

"სიმპსონების" შემქმნელმა მეტ გროენინგმა ჯერ კიდევ აგვისტოში ამცნო მაყურებელს, რომ გეი პერსონაჟი მიმდინარე სატელევიზიო სეზონზე გამოჩნდებოდა. ამის გამო, სანამ პეტის კანდიდატურა დადგებოდა ეჭვქვეშ, ამერიკელები ვარაუდობდნენ, რომ ცისფერობა ვეილონ სმითერსს მოუხდებოდა - მისტერ ბარნსის, ბირთვული ელექტრო-სადგურის მფლობელის ასისტენტს; პერსონაჟს, რომელიც მეტისმეტად მოწესრიგებულია, დიდი ბაფთით დადის და თოჯინებს აგროვებს - ეს მისი ჰობია. ცხადია, ეჭვი სმითერსზე შემდეგ სერიებში კიდევ უფრო გაძლიერდა. "სიმპსონების" არქივს რომ გადავხედოთ, მისი არატრადიციულ, ორიენტაციის შესახებ ცნობებს ბევრი ირწმუნებს. მაგალითად, როცა ბირთვული სადგური აფეთქების პირასაა, სმითერსი თავის ხელმძღვანელს, მისტერ ბარნსს გულაჩუყებული ეუბნება: "სერ, ალბათ, აღარასდროს მომეცემა შანსი, რომ გითხრათ, მე თქვენ მიყვარხართ, სერ".

ამაზე ბარნსი პასუხობს: "ო, ცხელი ძაღლი! დიდი მადლობა, ჩემი უკანასკნელი ყოფა დედამიწაზე, სოციალურად უხერხული რომ გახადე".

არის სხვა, ისევ ბარნსს რომ დავესესხოთ, "სოციალურად უხერხული" მომენტები. მაგალითად, ერთ-ერთ სერიაში ნათლად ჩანს, რომ სმითერსს სახლის კომპიუტერზე სკრინ-სეივერად მისტერ ბარნსის ფოტო აქვს დაყენებული. ფოტოზე ბარნსი წელს ზევით შიშველია. სხვა სერიაში კი სმითერსი გორგოლაჭებით სეირნობს და სპრინგფილდის ცისფერების უბნისკენ მიდის.

"სიმპსონების" აღმასრულებელი პროდიუსერი ელ ჯინი ამბობს, რომ სმითერსის ცისფერობის შესახებ მინიშნებებს სცენარისტები დიდი ხანია, აკეთებენ, ოღონდ, მსუბუქად, ისე, რომ ამ ამბისგან დიდი მითქმა-მოთქმა არ ატყდეს. ამიტომაც ბევრი ფიქრობს, რომ სმითერსი ჰომოსექსუალი კი არ არის, არამედ ის, უბრალოდ, მისტერ ბარნსისადმი ბრმად ერთგული ადამიანია.

"ჩემთვის სმითერსი "ბარნსოსექსუალია. რა სქესიც არ უნდა ჰქონდეს ბარნსს, სმითერს მაინც ეყვარება ის. გამოდის, რომ სმითერსს უყვარს მისტერ ბარნსი. ანუ, ის არის კაცი, რომელსაც უყვარს კაცები", - აცხადებს ელ ჯინი.

მოკლედ, სიტუაციას მისი ნათქვამიდან გამომდინარე, ასე თუ ისე, ეფინება ნათელი, ვნებათაღელვა 20 თებერვლის სერიის გარშემო კი მაინც არ ცხრება. სმითერსის ბარნსისადმი ერთგულება ხომ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ადგება და ვინმე გეიზე იქორწინებს. მეტიც, თუ მას მისტერ ბარნსი უყვარს ასე, მას არც სხვა კაცზე გაცვლის - რაც არ უნდა გეი იყოს თვითონ.

თუ ასეა, კარგი. მაშინ ვინ არის ჰომოსექსუალიზმისთვის განწირული შემდეგი კანდიდატურა? ისევ მარჯის დას, პეტის უნდა დავუბრუნდეთ. სცენარისტები ეჭვის მარცვლებს მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ წარსულ სერიებში ყოველთვის ფანტავდნენ. მას ოჯახის შექმნის სურვილი საერთოდ არ აქვს და არც მაშინ ინარჩუნებს გულგრილობას, როცა შიშველ ჰომერს დაინახავს.

თუმცა, არც პეტიზე შეიძლება ასპროცენტიანი ფსონის გაკეთება, რადგან "სიმპსონების" პროდიუსერი აცხადებს, რომ შეიძლება სცენარი ბოლო წუთში შეცვალონ და სულ სხვა პერსონაჟი ამოირჩიონ. ასე რომ, ვარაუდების მიუხედავად, ყველაფერი 20 თებერვალს გაირკვევა.

მანამდე კი მხოლოდ იმ სერიალების გახსენება შეიძლება, რომლებშიც სცენარისტებმა გაბედეს და ჰომოსექსუალისტთა საქორწინო ცერემონიალები აღწერეს. ესენია: "მეგობრები", "ჩრდილოეთის ციალი" და "როუზენი". თუმცა, არც ერთ მათგანში ეკრანზე არ უჩვენებიათ ახალდაქორწინებულების ამბორი. ვნახოთ, რა მოხდება 20 თებერვალს.

# "ინსაითმა" მოსკოვის კლუბი გაავსო



მოსკოვში ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" კონცერტმა კლუბ "16 ტონში" წარმატებით ჩაიარა. ადგილობრივი პრესა, ისევე როგორც რუსი მსმენელი ქართველი მუსიკოსების საკონცერტო გამოსვლით კმაყოფილი დარჩა. ამაზე მეტყველებს მუსიკალური ონ-ლაინ გამოცემის "ზვუკი.რუს" მცირე შენიშვნაც კონცერტის შესახებ: "ნინო ქათამაძის კონცერტი სავსე დარბაზში გაიმართა - ხალხი იდგა ქუჩაში, შიგნით კი ერთმანეთზე ეკიდნენ. ნინო შეწუხებული სვამდა შეკითხვას: "საიდან ხართ ამდენი?" უკეთესია, ნინოს მოუსმინო, როდესაც კივილს იწყებს; ამ დროს ხვდები, რომ საოცარი ხმა აქვს. აი, ალბომებში, სამწუხაროდ, ნინო ძალიან ცოტას კივის. მისი ჯაზი ისმის ისე, თითქოს 50-იანი წლების კლასიკურმა შემსრულებლებმა ქართულად დაიწყეს სიმღერა. როგორც აღმოჩნდა, ჯაზს ქართული ენა უფრო უხდება, ვიდრე ინგლისური".

# გაყიდვაშია მეოცე საუკუნის ფერწერა



მეოცე საუკუნის ფერწეული ტილოები "კრისტის" აუქციონზეა გატანილი. მხატვარ-იმპრესიონისტების, სიურეალისტებისა და მეოცე საუკუნის ხელოვნების სხვა მიმართულებების მიმდევართა ნამუშევრების გაყიდვა ლონდონში რამდენიმე დღე გაგრძელდება.

ძირითადი ვაჭრობა აუქციონის სახლის შტაბ-ბინაში ლონდონის კინგ-სტრიტზე გუშინ საღამოს გაიმართა. აქ იმპრესიონისტების შედარებით ნაკლებად ღირებული ტილოების გაყიდვა 8 და 10 თებერვალსაც გაგრძელდება.

ვარაუდობენ, რომ აუქციონის ყველაზე ძვირად ღირებული და საინტერესო ტილო იქნება ფრანგი ჰაიმ სუტინის "კონდიტერი კანიდან", რომელსაც 3-4 ფუნტ სტერლინგად აფასებენ; დაახლოებით 2-3 მილიონია პიერ ბონარის ტილოს ღირებულება. აუქციონზე შედგება, ასევე, ანრი მატისის, რენუარის, პოლ სინიაკის, ჯორჯიო მორანდისა და ჯინო სევერინის ტილოების გაყიდვა.

აუქციონზე ცენტრალური ადგილი მრავალფეროვნებისა და რაოდენობის მიხედვით სამართლიანად უჭირავს პიკასოს სურათებს. ათამდე ნამუშევარს შორის სპეციალისტები მხატვრის გვიანი პერიოდის შემოქმედებას გამოარჩევენ. ამ ნამუშევრების ფასი ორიდან ხუთ მილიონ ფუნტ სტერლინგამდე მერყეობს.

გუშინვე დაგეგმილი იყო სიურეალიზმის ოსტატების ნამუშევართა გაყიდვა. აუქციონზე გაიტანეს: ხუან მიროს, ივ ტანგის, სალვადორ დალის და რენე მაგრიტის ტილოები.

მთლიანობაში, აუქციონის ორგანიზატორები ღონისძიებიდან 36 მილიონამდე ფუნტის შემოსავალს ვარაუდობენ.

# პრემიერა სარდაფში

თებერვლის ბოლოს ვაკის თეატრალურ სარდაფში სპექტაკლ "სხვა მთვარე"-ს პრემიერა გაიმართება. სპექტაკლი რეჟისორმა ლევან წულაძემ კიტა ბუაჩიძის პიესის მიხედვით დადგა. "სარდაფის" მსახიობებთან (მანანა კაზაკოვა, ნატო ებანოიძე, ბაია დვალიშვილი, ეკა ანდრონიკაშვილი, ქეთი ცხაკაია, დეა აბაკელია, მაია ჟორჟოლიანი, მარინა სოლომონია, გიორგი მეგრელიშვილი, დუტა სხირტლაძე, ზუკა პაპუაშვილი, კახა აბუაშვილი და სხვები) ერთად რეჟისორი დადგმაზე ახალი წლიდან მუშაობდა. ***ინტერ-პრესი***

# იტალიაში "მეტეხი" მოიწონეს

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქართული ნაციონალური ქორეოგრაფიული ბალეტის თეატრი "მეტეხი" აგრძელებს იტალიაში გასტროლებს. კონცერტები გაიმართა რომში, ნეაპოლში, მილანსა და ბოლონიაში. როგორც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა ქორეოგრაფმა გელოდი ფოცხიშვილმა განაცხადა, "მეტეხის" გასტროლებმა იტალიაში დიდი მოწონება დაიმსახურა. ნაციონალურ-ქორეოგრაფიული ბალეტი "მეტეხი" სამშობლოში 10 თებერვალს დაბრუნდება. იტალიელმა მაყურებელმა ვარდების რევოლუციისადმი მიძღვნილი სპექტაკლი "უკვდავნი" და "გასეირნება ძველ თბილისში" იხილა. "მეტეხი" იტალიაში გასტროლებზე 24 იანვარს გაემგზავრა.

***მედიანიუსი***

# ახალი ბონდის კონტურები იკვეთება



"ჰოლივუდ რეფორთერის" მიერ გავრცელებული ცნობით, ჯეიმს ბონდის 21-ე ფილმს ძველი სათაური "კაზინო რუიალი" ერქმევა. ასე ერქვა იან ფლემინგის პირველ რომანსაც, რომელიც 1953 წელს გამოქვეყნდა. წიგნი ტელესცენარად 1954 წელს გადააკეთეს, შემდეგ, 1967 წელს, "ქოლამბია ფიქჩერზმა" გადაიღო კინოფილმი, რომელშიც პიტერ სელერსი, ვუდი ალენი და დევიდ ნივენი თამაშობდნენ. 1999 წელს სათაური და უფლებები "ემ ჯი ემ"-მა მოიპოვა. შეთანხმების მეორე მხარეს "ქოლამბიას" მშობელი კომპანია "სონი ფიქჩერზი" იდგა.

უკვე ცნობილია იმ რეჟისორის სახელიც, რომელიც "კაზინო რუიალს" გადაიღებს. ეს მარტინ კემპბელი იქნება, 1995 წელს გამოსული "ოქროს თვალის" შემქმნელი. სწორედ ამ ფილმიდან მოყოლებული თამაშობდა ჯეიმს ბონდის როლს პირს ბროსნანი. ახლა კი, ჯერაც უცნობია, ვინ განასახიერებს "კაზინო რუიალში" აგენტ 007-ს. პირს ბროსნანი კი მაყურებელს ემშვიდობება. მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ირლანდიელი მსახიობი აღნიშნავს: "ყველაფერს თავისი დასასრული აქვს". მისივე იდეაა ბონდის როლში თანამემამულე კოლინ ფარელის გადაღება - მსახიობის, რომელიც ოლივერ სტოუნის "ალექსანდრეს" შემდეგ მსოფლიო დონის ვარსკვლავად იქცა. თუმცა, ამ იდეას, სავარაუდოდ, განხორციელება არ უწერია - დიდად დაინტერესებული არც თვითონ ფარელი ჩანს.

დანარჩენ კანდიდატურებს შორის ძველებურად ლიდერობენ შოტლანდიელი ევან მაქგრეგორი, ავსტრალიელი ჰიუ ჯექმანი და ინგლისელი ჯუდ ლოუ. სავარაუდოდ ჯეიმს ბონდებად სახელდებიან ერიკ ბანა და ქლაივ ოუენიც. ასე რომ, როგორიც არ უნდა იყოს არჩევანი, ძველ ბონდებს - შონ კონერის, როჯერ მურს, ტიმოთი დალტონს, ჯორჯ ლეიზენბისა და ტიმოთი დალტონს საქმის ნამდვილად ღირსეული გამგრძელებლები ეყოლებათ.

ფილმი 2006 წელს გამოვა დიდ ეკრანებზე, გადაღებები კი მაშინვე დაიწყება, როგორც კი რეჟისორი კემპბელი "ზოროს ნიღბის" მეორე ნაწილს დაასრულებს.

დაბოლოს, კიდევ ერთი ცნობა: ბონდის ფრანჩაიზი "ემ ჯი ემ"-ის ყველაზე დიდი ქონებაა. ამის დასტურად თუნდაც ბოლო ბონდი, 2002 წელს გამოსული "მოკვდი სხვა დღეს" გავიხსენოთ - მსოფლიო კინოსალაროებიდან მან 425 მილიონზე მეტი დოლარის დაგროვება შეძლო.

# ბეჭედი პატრონს დაუბრუნეს

საიუველირო ნაკეთობების სახელგანთქმულმა ოსტატმა ჰარი უინსტონმა დაიბრუნა ის ბეჭედი, რომელიც ბენ აფლეკს ჯენიფერ ლოპესის დასანიშნად დაუმზადა. უინსტონის ეს შესანიშნავი ექსპონატი 6.1 კარატიანი ვარდისფერი ბრილიანტით იყო დამშვენებული და ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ახლა, როცა აფლეკი-ლოპესის ქორწილი ჩაშლილია, უინსტონი ბეჭდის გაყიდვას აპირებს.

ბეჭდის დაბრუნების ფაქტს უინსტონის პრესაგენტი კაროლ ბროუდიც ადასტურებს, თუმცა, იმას არ ამბობს, თუ როგორ მოხდა ეს.

აფლეკსა და ლოპესს კი ბეჭდის იღბალი აღარ ადარდებს. მათ ქორწილის ჩაშლის შესახებ ცნობა 2003 წლის სექტემბერში გაავრცელეს. რამდენიმე თვის შემდეგ ლოპესმა სალსას მომღერალზე მარკ ანტონიზე იქორწინა. ეს მისი მესამე გასეირნება იყო ეკლესიის საკურთხევლისკენ - პატარძლის რანგში. აფლეკი კი ჯერაც დაუოჯახებელია. თუმცა, თავს მარტო მაინც არ გრძნობს და ახლა ჯენიფერ გარნერთან მეგობრობს.

ისარგებლეთ ლაი·ლაი
&
იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს
2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი
3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).
4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შემელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 1
ლაი·ლაი
აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.
კუპონების მიღება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.
სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.
ამოჭერი

დათო ტურაშვილის სვეტი

## ყოველ სამშაბათს



SMS

### რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება

(მათთვის, ვინც მობილურ ტელეფონს ხმარობს)

ჩვენი სტუდენტობის პირველივე მიტინგების შემდეგ ლიტველი სტუდენტები დაგვიკავშირდნენ - ჩვენც იგივეს ვაკეთებთ (რასაც თქვენ), მტერიც საერთო გვყავს და იქნებ კაუნასში ჩამობრძანდეთ და ერთობლივი ფრონტი გავხსნათო. ირაკლი კაკაბაძემ თქვა, წავიდეთ, ერთმანეთს გამოცდილებასაც გავუზიარებთ, ლიტველებისგანაც რაღაცას ვისწავლითო და წავედით. გზაში ისიც თქვა - მგონი, ლიტველებს კარგი გოგოებიც ჰყავთო და კაუნასში ხალისით ჩავედით. კარგი ხალხიც დაგვხვდა ლიტვაში და კარგი ამინდებიც. კაუნასშიც ბევრი ვიარეთ და გარეუბნებშიც. ბევრი ვისაუბრეთ და ბევრიც დავგეგმეთ და ბოლოს მასპინძლებს, ვილნიუსში წაყვანა ვთხოვეთ. ვილნიუსში მაშინ ერთი ლიტველი პატრიოტი შიმშილობდა ვილნიუსის მთავარ მოედანზე და ნამდვილი მოშიმშილის ნახვა, ძალიან გვინდოდა. მართალია, თბილისსა და საქართველოში შიმშილობის ერთგვარი მოდაც კი იყო მაშინ, მაგრამ ნამდვილი მოშიმშილე ნანახი მაინც არ გვყავდა, რადგან ჩვენში ან მოკლევადიანი შიმშილით კმაყოფილდებოდნენ, ან პერმანენტულით. პერმანენტული შიმშილობა იმას ნიშნავდა (ჩვენი გაგებით), რომ რომელიმე პარტიის წევრები რიგ-რიგობით შიმშილობდნენ ორი ან სამი დღის მანძილზე, სანამ არ აღმოაჩენდნენ, რომ "ისევ მაძღრის სიკვდილი სჯობს, ვინემ უსმელ-უჭმელისა." თუმცა (საბედნიეროდ), მიუხედავად მასობრივი გატაცებისა (მოშიმშილე ირლანდიელებისგან განსხვავებით), საქართველოში პოლიტშიმშილით არავინ მომკვდარა. ამიტომაც გვინდოდა აუცილებლად ვილნიუსში წასვლა, სადაც ნამდვილი მოშიმშილე გვეგულებოდა, რომლის შესახებაც პრესიდან ვიცოდით, რომ მისი აქცია ლიტვის გათავისუფლებამდე, ანუ ბოლომდე გაგრძელდებოდა. ისიც ვიცოდით, რომ ლიტველ მოშიმშილეს კარავი ჰქონდა გაშლილი და ვილნიუსის მთავარ მოედანზე იმ კარავთან (მისადგომებთან), მნახველთა გრძელ რიგში ჩავდექით. თუმცა, რიგმა მალე მოგვიწია და როცა კარავში შევიხედეთ, ჩვენმა ხარხარმა არა მარტო ჩვენს შემდეგ რიგში მდგომი, იმ დროს იმ მოედანზე მყოფი ადამიანებიც კი შეაშინა. კარავში მართლაც (ჩვენთვის) ძალიან სასაცილო მოვლენა აღმოვაჩინეთ და კიდევ დიდხანს, ვერც დავმშვიდდით - იმ პატარა კარავში ლიტველი მოშიმშილისგან მარცხნივ იწვა გია ბარამიძე და მარჯვნივ კი - ზურაბ ჟვანია. ჟვანია კარგა ხანს მეხვეწებოდა, ნუ ხარხარებ, ამ ღვთისნიერ კაცთან უხერხულია - გუშინ სასტუმრო ვერ ვიშოვეთ და ღამისგასათევად შეგვიფარაო. მაშინ ჟვანია და ბარამიძე მწვანეები იყვნენ და რომელიღაც სოფელში მიდიოდნენ ლიტველ მწვანეებთან შესახვედრად. მალე დავშორდით კიდეც ერთმანეთს იქვე, ვილნიუსის მთავარ მოედანზე და ჩვენ ჯერ კაუნასში დავბრუნდით და მერე კი თბილისში.

ახლა, როცა ზურაბ ჟვანია ცოცხალი აღარ არის და ყველანი (როგორც ეს ჩვენში ხდება ხოლმე) გარდაცვლილის შესახებ მხოლოდ კარგს იხსენებენ, ამავე მიზეზით, ვილნიუსის ამბავი მაგონდება, რადგან, ჩემის ღრმა რწმენით, მწვანეთა მოძრაობის აქტივისტობა, მისი ბიოგრაფიის საუკეთესო ნაწილია. ხოლო რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას ბიოგრაფიის არამწვანე ნაწილს, ამის შეფასება (სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით), უბრალოდ, ნაადრევია და დრო ზუსტად გვიჩვენებს, რამდენად პოზიტიური იყო მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნისთვის. უარყოფითი დამოკიდებულება კი, მისი გარდაცვალების გამო (ასეთ საეჭვო ვითარებაში), ყველას უნდა გვქონდეს დღესვე, როგორიც არ უნდა იყოს სიმართლე, რომელსაც გვიმალავენ. ჩვენი ყოფის აბსურდულობა იმის საფუძველსაც გვაძლევს, რომ პარადოქსულად სულაც არ მოგვეჩვენოს პრემიერ-მინისტრის ასეთ ვითარებაში, გაზით მოწამვლისაგან გარდაცვალება, მაგრამ (ბატონ ნოდარ ლადარიას დავეთანხმები) არ არსებობს ტყუილი, რომელიც სიმართლეს სჯობია და ჩვენი ხელისუფლება, უბრალოდ, შეცდა. სულაც არ იყო საჭირო იმ დილიდანვე დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ მკვლელობა გამორიცხულია და ეს მხოლოდ უბედური შემთხვევაა და სხვა ეჭვის საფუძველი არ უნდა გაგვაჩნდეს. ეჭვისა და სხვა ვერსიის საფუძველი ნამდვილად გაგვაჩნია და პირადად რამდენიმე საკმაოდ სარწმუნო მიზეზი მოვისმინე ამ დღეებში, თუ რატომ უნდა მოეკლათ ზურაბ ჟვანია. ხოლო ვის ინტერესებში შედიოდა ეს, ვის უნდა მოეკლა და საერთოდ, ვინ კლავს გაზით (და არა მარტო გაზით) ადამიანებს, არა მარტო ჩვენ, მთელმა მსოფლიომ იცის. ამიტომაც ჩვენი ხელისუფლების მონდომება (ემანდ ჩვენ არ დაგვბრალდესო) მკვლელობის ვერსიის საერთოდ გამორიცხვის მიზნით, სრულიად ზედმეტი იყო, რადგან ასეთი სასტიკი და დაუნდობელი განაჩენი მოწინააღმდეგეების მიმართ, რომელ ქვეყანაში გამოაქვთ, ესეც არა მხოლოდ ჩვენ, მთელმა მსოფლიომ იცის. იმ მოტივით მკვლელობის ვერსიის გამორიცხვაც, ჩვენი სპეცსამსახურების სისუსტესა და უუნარობაზე რომ იმეტყველებდა, ასევე გაუმართლებელია. პირადად ჩემთვის ისიც ნათელია, რომ ასეთ გარემოსა და ვითარებაში ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება, ზუსტად ისეთი გათვლაა, რომელიც არა მხოლოდ სიბრალულისა და თანაგრძნობის დეფიციტს ითვალისწინებს, არამედ ღიმილსა და ქილიკსაც და რაც მთავარია, დამნაშავისა და მკვლელის მოძებნის სურვილსა და მონდომებას აქრობს ნებისმიერ ჩვენგანში. ჩვენ კი შეგვიძლია პირიქით მოვიქცეთ და ბოლომდე გამოვიყენოთ ჩვენი უფლება - ვიცოდეთ სიმართლე, როგორი მწარე, საშინელი და სასტიკიც არ უნდა იყოს, რადგან სიმართლე ძალაა, რომელიც ხშირად გვაკლია და ყოველთვის გვჭირდება...

*გაგრძელება იქნება*



## დავით კოვზირიძის სვეტი

# არაჩვეულებრივი გამოფენა

ხვალ საქართველოს ნაკრები 2005 წლის პირველ მატჩს ჩაატარებს, ამხანაგურად წაებურთავება ლიტვის ეროვნულ გუნდს. შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებენ ჩვენი წამყვანი ფეხბურთელები, ანუ ბალტიისპირელებს მეორე შემადგენლობით დავუპირისპირდებით. უფრო სწორად, ექსპერიმენტული შემადგენლობით, რადგან საქართველოს ნაკრების სტაბილური "მეორე კომპლექტი" ბუნებაში არ არსებობს. მსგავსი ფუფუნებით მხოლოდ გიგანტი გუნდები და ის ნაკრებები სარგებლობენ, რომლებსაც სამომავლო გეგმები, სტრატეგია წინასწარ აქვთ გათვლილი და კარგად იციან, რას უნდა მიაღწიონ ხვალ, ან კიდევ სამი წლის შემდეგ.

სამწუხაროდ, ქართველებმა ჯერ ვერ ავითვისეთ საფეხბურთო მენეჯმენტის სრული კურსი და ქვეყნის პირველი გუნდის სათანადოდ მომზადება წელიწადში ერთი-ორი უშინაარსო ამხანაგური მატჩის გამართვა გვგონია.

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ავიღოთ. 1994 წელს იანკებმა დასახეს ათწლიანი გეგმა, რომლის თანახმადაც დეკადის შემდეგ გუნდს გარკვეული, საკმაოდ მაღალი დონისთვის უნდა მიეღწია და მიაღწია კიდეც - დღეს ამერიკელებს ნებისმიერი გრანდის ნერვების მოშლა და დამარცხება შეუძლიათ. შარშან მორიგი ათწლედის სტრატეგიაც შემუშავდა და ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ ამერიკელები უკვე სერიოზულ რამე-რუმეებზე ოცნებობენ.

და სად იყვნენ იანკები, ბორის პაიჭაძე დოინჯშემოყრილი რომ ატყუებდა მოწინააღმდეგის ხუთ-ექვს მცველს (ლეგენდა არ გეგონოთ, ძმაბიჭის ბაბუამ მიამბო რამდენიმე დღის წინ ჩაის სმისას, ჩემი თვალით მაქვს ნანახიო). ან კიდევ იაპონელები, მიშა მესხი რომ ტაშს აკვრევინებდა ნახევარ მსოფლიოს. თუნდაც თურქები, ვისაც შოთამ და აჩიკომ გააგებინეს ნაღდი სოკერის მუღამი.

სად იყვნენ და... ვიტყოდი, უხერხული რომ არ იყოს. თუმცა, წარსულში რა ხდებოდა, დღეს ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარია, ამჟამად რა ხდება. აი, ამას კი გეტყვით - თურქებმა მსოფლიოზე ბრინჯაო დაითრიეს, ამერიკელებს ცოტა დააკლდათ მეოთხედფინალში გერმანელების ძლევამდე (მსაჯმა მაშინ სუფთა პენალტი არ დანიშნა ოლივერის კარში), იაპონელები ქვას ქვაზე არ ტოვებენ აზიაში, ლატვიელები ევროპის ჩემპიონატზე გამოდიან კაცურად, ქართველები კი...

ქართველები ხვალ ექსპერიმენტული შემადგენლობით ხვდებიან ლიტველებს.

ბოლოს მოლდოვას ესპარინგნენ უაზროდ, ახლა კი ლიტვასთან აპირებენ იგივეს. მერე რა, რომ რუსები იტალიელებს შეერკინებიან, ჰოლანდია ინგლისთან მოსინჯავს ძალებს, გერმანია - არგენტინასთან და ასე შემდეგ. ფაქტი ერთია: საქართველოს ეროვნული გუნდი დაახლოებით თხუთმეტი წელიწადია ამხანაგურად ნორმალური ხარისხის ნაკრებს არ შეხვედრია.

რატომ ხდება ასე? ბევრი ვიფიქრე, სხვებიც ჩავაფიქრე, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი ისეთივე რთული აღმოჩნდა, როგორც ბეისბოლის წესები. მოდით, კიდევ ერთხელ ვცადოთ ჩიხიდან გამოსვლა. ჯერ ის გავარკვიოთ, რა დანიშნულება აქვს ამხანაგურ თამაშს. ეს არის მატჩი, რომლის დროსაც გუნდი: 1. ემზადება კონკრეტული დაპირისპირებისთვის მომავალი ოფიციალური მეტოქის სათამაშო სტილიდან გამომდინარე. 2. გარკვეული პერიოდით არჩევს ნაკრების ბირთვს და ამ ბირთვის გარშემო შემოსაკრებ საუკეთესოებს. ამ შემთხვევაში, უმეტესად, ასეა - პირველ ტაიმს თამაშობს ძირითადი შემადგენლობა, მეორეში კი მოედანზე გამოდის 5-6 ყველა ამპლუის სათადარიგო. 3. თავიდანვე ათამაშებს ახალწვეულებს იმ პოზიციებზე, რომლებზეც ყველაზე მეტად უჭირს. 4. რამდენიმემატჩიანი კრიზისიდან გამოსვლის მიზნით საგანგებოდ ხვდება სუსტ მოწინააღმდეგეს, რათა უეჭველად მოუგოს და დადებით ფსიქოლოგიურ ტალღაზე გადაერთოს. 5. ასევე საგანგებოდ არჩევს მაქსიმალურად სახელოვან მეტოქეს, რათა ფეხბურთელებმა გამოცდილება, ხოლო ფედერაციამ დამატებითი შემოსავალი მიიღოს ბილეთებისა და ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვით. 6. სინჯავს რამდენიმე ტაქტიკურ ვარიანტს, ცვლის მოთამაშეთა განლაგებას, აგრესიულობის დონეს. ხშირად სპეციალურად უშვებს გოლს, რათა მდევრის როლში მოსინჯოს ძალები. 7. იყენებს დაკანონებულ შეღავათს ნაკრების წევრთა შეკრებაზე გამოსაძახებლად (ოფიციალურ მატჩებამდე შეკრებისთვის სულ რამდენიმე დღეა გამოყოფილი, რაც ნამდვილად არაა საკმარისი) და მათ უკეთესად შესათამაშებლად. 8. იძახებს სრულიად ახალ სახეებს, რათა მოეწყოს ერთგვარი გამოფენა-გაყიდვა. ამით ხეირობს არა მთლიანად ნაკრები, არამედ მისი ზოგიერთი წევრი, რამდენიმე ხელმძღვანელის ჩათვლით. ეს არის ყველაზე მანკიერი ვარიანტი, რადგან პირადულის ხარჯზე ფუჭდება საერთო საქმე.

ახლა კი მივყვეთ ამ პუნქტებს და განვიხილოთ, რას ემსახურება ხვალინდელი ამხანაგური შებმა. პირველი ვარიანტი გამორიცხულია, რადგან საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეები არიან ევროპის ჩემპიონი საბერძნეთი და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ადგილზე გასული თურქეთი, რომელთა სათამაშო სტილი და დონე აშკარად განსხვავებულია ლიტველთა გაქანებისგან.

ასევე ზედმეტია ლაპარაკი ბირთვის შექმნასა და სხვადასხვა პოზიციაზე არსებული მოზრდილი, სახიფათო ხვრელების ამოვსებაზე, ვინაიდან ეროვნული გუნდის ბირთვი კარგა ხანია გარკვეულია (დიდი არჩევანი ნაღდად არ გვაქვს) და თანაც ხვალ თითქმის არც ერთი ლიდერი არ გავა მოედანზე, ანუ არ გამოჩნდება შესარემონტებელი სუსტი წერტილები.

გადავიდეთ მომდევნო, მეოთხე პუნქტზე. ლიტვის ნაკრები ნამდვილად არ შეირჩა იმიტომ, რომ ქართველები კრიზისში არიან და განწყობის გამოსწორება დაისახეს მიზნად. არავითარი კრიზისი, ჩვენები საუკეთესო ფეხბურთს თამაშობენ არსებობის განმავლობაში. თუმცა, მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ - ეს არ არის საკმარისი გერმანიის ვიზის მისაღებად.

ხვალინდელი მატჩი ვერც მეხუთე პუნქტს აკმაყოფილებს - ლიტვა არაა იმ კლასის გუნდი, რომ სტადიონი გაავსოს ან რომელიმე სხვა ქვეყნის ტელევიზიას მოანდომოს ტრანსლაციის შესყიდვა.

რაც შეეხება ტაქტიკურ ვარირებას და სხვადასხვა სქემატურ ნოვაციას, ამას, უბრალოდ, აზრი არა აქვს, რადგან საეჭვოა, ხვალინდელი შემადგენლობა კიდევ ოდესმე შეიკრიბოს. არც ზემოხსენებულ შეღავათზე შეიძლება საუბარი - ნაკრები მას კი არ იყენებს, პირიქით, ფლანგავს.

და რა გამოდის, რომ ხვალ გამოფენაზე მოგვიწევს წასვლა?

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# ალენ ჟირესი: „მთავარია მოტივაცია"



*ალენ ჟირესი: "ლიტვასთან მატჩში ჩემი ამოცანაა, საქმეში ვნახო ის ფეხბურთელები, რომლებიც პირველად მოირგებენ ეროვნული ნაკრების მაისურას".*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ალენ ჟირესმა საქართველოსა და ლიტვის ნაკრებთა ამხანაგურ სპარინგმატჩთან დაკავშირებით მორიგი პრესკონფერენცია გამართა. შეხვედრა ბოლო პერიოდში საქართველოს ნაკრების დისლოკაციის უცვლელ პუნქტში - სასტუმრო "ბატესტაში" მოეწყო. ლიტვის ნაკრებთან თამაში ჩვენი გუნდისთვის ბოლო სპარინგია მარტში გასამართი ოფიციალური შესარჩევი მატჩების წინ. მწვრთნელი ამ თამაშში გარკვეული სპეციფიკური მიზნების მიღწევას - ახალწვეულებზე დაკვირვებას და "ძველი გვარდიის" სპორტული ფორმის შეცნობას ეშურება.

"ლიტვასთან მატჩში ჩემი ამოცანაა, საქმეში ვნახო ის ფეხბურთელები, რომლებიც პირველად მოირგებენ ეროვნული ნაკრების მაისურას. მათ ბრწყინვალე შანსი ეძლევათ იმისთვის, რომ გვაჩვენონ, რამდენად საჭირონი არიან ეროვნული გუნდისთვის. განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო მოტივაციაზე. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს, რომ არც ისე სახელოვან მეტოქესთან თამაში, რომელიც, ამასთან, ამხანაგურ ხასიათს ატარებს, ნაკლებად მნიშვნელოვანია. მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველი მატჩი, რომელიც ეროვნული ნაკრების ეგიდით ეწყობა, იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებსაც ეროვნულ გუნდში გამოძახების პატივი ხვდათ, უმნიშვნელოვანესია. მხოლოდ ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება მაღალი მიზნების დასახვა და მათი მიღწევა. იმედი მაქვს და თანდათან ვრწმუნდები, რომ საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელები ასეთი დამოკიდებულებით მოდიან", - განაცხადა ჟირესმა.

შეკრების პირველ დღეს ჟირესმა არასრული გუნდი - 12 ფეხბურთელი ავარჯიშა. გუშინ მათ დაემატნენ რუსეთის ჩემპიონები მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია, დინამოელები გოგიტა გოგუა და ლაშა სალუქვაძე, რეინჯერსელი ზურაბ ხიზანიშვილი.

"დღეს სრული შემადგენლობით შევიკრიბეთ, თუმცა, დანაკლისი მაინც გვაქვს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საბერძნეთის "ქსანტის" ფეხბურთელის ლევან მაღრაძის შემთხვევა. როცა ის გამოვიძახეთ, მან ტელეფონით გვითხრა, რომ ტრავმის გამო ვერ შეძლებდა ლიტვასთან თამაშს. ამიტომ მის ნაცვლად შოტლანდიიდან ხიზანიშვილი მოვიწვიეთ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ მაღრაძემ თავისი კლუბის შემადგენლობაში 90 წუთი ითამაშა. იგი კიდევ ერთხელ დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ შეძლებდა თამაშს, თუმცა, აღარ გამოვიძახეთ, რადგან ხიზანიშვილისგან ჩამოსვლაზე დადებითი პასუხი გვქონდა მიღებული. სამწუხაროდ, შეკრებაზე ჩამოვიდა და ტრავმა გაუმიზეზდა მენთეშაშვილს. ის ლიტვასთან ვერ ითამაშებს. რაც შეეხება გიორგი ქინქლაძეს, იგი თავისი მდიდარი გამოცდილების გამო მოვიწვიე. როგორც ვატყობ, მას კიდევ შეუძლია ნაკრებისთვის სამსახურის გაწევა", - აღნიშნა მწვრთნელმა.

პრესკონფერენციის შემდეგ ნაკრები სავარჯიშოდ "ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაემგზავრა. უამინდობამ გარკვეული დისონანსი შეიტანა ჟირესის სავარჯიშო გეგმებში, თუმცა, საწვრთნელმა პროცესმა თითქმის ორ საათს გასტანა.

# „დინამო" ისევ დამარცხდა

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ თბილისის "დინამომ" ესპანეთში მეორე მატჩი გამართა "მარბელას თასზე" და მეორედ დამარცხდა. თბილისელთა მეტოქე დონეცკის "შახტარი" იყო. მარცხი, რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "დინამოს" მეტოქე იყო ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი: "შახტარმა" ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში თვით "ბარსელონა" დაამარცხა (3:0). გუშინ "შახტარმა" უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა.

**დინამო - შახტარი 1:3 (1:1)**

**დინამო: მამალაძე, სილაგაძე, კაშია, ლ. ჭელიძე, გ. ჭელიძე (მახარაძე, 75`), ხმალაძე (კანდელაკი, 56`), ბაბუნაშვილი (ჯამარაული, 46`), ორბელაძე, ნოზაძე, დვალი, მელქაძე (კაკალაძე, 54`).**

**შახტარი: ლაშტუკა (შუტკოვი, 65`), ბარხუანი, ლალატოვიჩი (ფლორა, 46`), ლევანდოვსკი, ბენიტესი, კულაკოვი, მათუზალენი, ივანი (მოლდოვანი, 46`), ჟადსონი, ბრანდაუ, აგაჰოვა.**

**გოლები: 1:0 ბაბუნაშვილი 23`, 1:1 ჟადსონი 39`, 1:2 ბრანდაუ 70`, 1:3 მათუზალენი 86`.**



*მელქაძემ თავის ანგარიშზე საგოლე პასი მიითვალა.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უმაღლესი კლასის მეტოქეს ტოლი არ დაუდეს და თითქმის თანაბარ დონეზე ეთამაშებოდნენ "შახტარს". ანგარიშიც "დინამომ" გახსნა: 23-ე წუთზე ბაბუნაშვილმა მელქაძისგან მიიღო პასი და ბურთი მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაგზავნა. ლაშტუკა თითებით კი მისწვდა ბურთს, მაგრამ... "დინამო" დაწინაურდა. ბაბუნაშვილს უფრო ადრეც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ მე-11 წუთზე დვალის კარგი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა ლაშტუკას ვერ აჯობა. დინამოელებმა კიდევ რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ რეალიზაცია ვერ მოახერხეს და დაისაჯნენ: 39-ე წუთზე ბრაზილიელმა ჟადსონმა მეტოქის საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა მიიღო, შერუჩერებლად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე ტაიმში სცენარი არ შეცვლილა. ბურთი მოედნის ცენტრში თითქმის არ ჩერდებოდა და ხან ერთ, ხან მეორე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები. 63-ე წუთზე "დინამოს" აშკარად არ გაუმართლა: ნოზაძის დარტყმის შემდეგ ბურთი კარის ძელმა მოიგერია. გადამწყვეტი მომენტი 66-ე წუთზე დადგა: ჯერ დვალი გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ მისი დარტყმის შემდეგ შეცვლაზე შემოსულმა შუტკოვმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები კიდევ ერთხელ იყვნენ ახლოს მიზანთან, მაგრამ შუტკოვი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა: კაკალაძის დარტყმა ფეხებით მოიგერია და კიდევ ერთხელ იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისგან. როდესაც ამდენ ხელსაყრელ მომენტს ვერ გამოიყენებ, ფეხბურთის დაუწერელი კანონის თანახმად, თავად გაუშვებ გოლს: 70-ე წუთზე ჟადსონის გადაცემით ბრანდაუმ თავისი გუნდი დააწინაურა, ხოლო 86-ე წუთზე მათუზალენმა მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა: 3:1 "შახტარის" სასარგებლოდ. თუმცა, არც მატჩის ბოლო მონაკვეთს ჩაუვლია დინამოელთა აქტიურობის გარეშე. ხელსაყრელი მომენტები შეექმნათ ნოზაძეს და ჯამარაულს, მაგრამ კიდევ ერთი გოლი უკრაინელთა კარში არა და არ გავიდა.

"მარბელას თასზე" "დინამო" ხვალ მოსკოვის "სპარტაკს" შეხვდება.

ინფოთეკა

### ინგლისის ნაკრები მცველების გარეშე დარჩა

ლონდონის "ჩელსის" მცველები ჯონ ტერი და უეინ ბრიჯი ვერ შეძლებენ დაეხმარონ ინგლისის ნაკრებს ჰოლანდიასთან მატჩში, რომელიც ოთხშაბათს გაიმართება. ორივე ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო "მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრის დროს.

ასე რომ, ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი ერთდროულად ხუთი ფეხბურთელის გარეშე დარჩა. "ჩელსის" ორი მცველის გარდა, თამაშს ვერ მოახერხებენ რიო ფერდინანდი, სოლ კემპბელი და ჯონათან ვუდგეითი. მდგომარეობის ოდნავ მაინც შესამსუბუქებლად შვედმა სპეციალისტმა "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ფილ ნევილი მოიხმო.

### ანჩელოტი: "გაგვიმართლა!"

"მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ "ლაციოს" წინააღმდეგ მატჩის დროს გაუმართლათ და მოიგეს (2:1).

"იმისთვის რომ ასეთი მატჩი მოიგო, საჭიროა დიდი მონდომება და, რა თქმა უნდა, იღბალი. ფეხბურთელებიდან კაფუსა და სერჯინიოს გამოვარჩევდი. შეუდარებელია მათი თავდადება. რაც შეეხება ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას, ვფიქრობ, ჩვენ ამისთვის უკვე დიდი ხანია მზად ვართ, თუმცა, იმედი მაქვს, მომავალში მატჩების დროს ნაკლებად ვინერვიულებთ და მეტ ყურადღებას გამოვიჩენთ," - განაცხადა ანჩელოტიმ.

### გლეიზერს ისევ უნდა "მანჩესტერ იუნაიტედის" ყიდვა

"მანჩესტერ იუნაიტედის" აქციების ფასმა მას შემდეგ აიწია, რაც ცნობილი გახდა, რომ ამერიკელი ბიზნესმენი მალკოლმ გლეიზერი ყველნაირად ცდილობს კლუბის შეძენას.

გუნდის მცველმა რიო ფერდინანდმა "ბიბისისთან" საუბარში კომენტარი გაუკეთა გლეიზერის კიდევ ერთ შეთავაზებას კლუბის ყიდვის თაობაზე: "მანჩესტერ იუნაიტედის" ბედით დაინტერესებულია უამრავი ადამიანი, რომელიც კლუბს ბავშვობიდან გულშემატკივრობს. არავინ იცის, რას მოგვიტანს გლეიზერის მოსვლა. მხოლოდ ლოდინი დაგვრჩენია. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებს ამერიკელი ბიზნესმენი. ვფიქრობ, ხალხი დაღალა პრესასა თუ ტელევიზიაში წამდაუწუმ გაკეთებულმა მისმა განცხადებებმა კლუბის ყიდვის შესახებ".

შეგახსენებთ, მალკოლმ გლეიზერი კლუბის აქციების 28,1 პროცენტის მფლობელია.

### "ლივერპული" ჯერარდს ვერ თმობს

"ლივერპულის" აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ პერიმ განაცხადა, რომ გუნდის კაპიტანს სტივენ ჯერარდს 50 მილიონ გირვანქა სტერლინგადაც კი არ დაუთმობს "ჩელსის". აი, ასე გასცა პასუხი რამდენიმე დღის წინათ "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის ჟოზე მოურინიოს სურვილს, რომელიც მომავალ სეზონზე "არისტოკრატების" გუნდში ჟერარდის ხილვა იყო.

"მნიშვნელობა არა აქვს, რამდენს შემოგვთავაზებენ - 30, 40 თუ 50 მილიონს. სტივის შემთხვევაში ფულს ჩალის ფასი აქვს, რადგან იგი ჩვენი მომავალია. თუმცა, ისიც ვიცი, რომ თუ ფეხბურთელი წასვლას გადაწყვეტს, შეჩერების უფლება არ გვაქვს," - განაცხადა პერიმ.

სხვათა შორის, "ჩელსის" გარდა, ჟერარდით დაინტერესებულია მადრიდის "რეალიც".

### ბერგკამპს "არსენალიდან" წასვლა არ უნდა

ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელმა დენის ბერგკამპმა განაცხადა, რომ გუნდში კიდევ ერთ წელიწადს ისურვებს დარჩენას. "თუ ხელმძღვანელობა დარჩენას მთხოვს, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები," - განაცხადა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, თავდამსხმელს კონტრაქტის ვადა მიმდინარე სეზონის დასასრულს ეწურება.

### რეიესი ოუენის ნაცვლად

"Sunday Express"-ის ცნობით, მადრიდის "რეალმა" ლონდონის "არსენალს" მაიკლ ოუენი ხოსე ანტონიო რეიესის სანაცვლოდ შესთავაზა. "რეალის" პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის თქმით, რეიესი ლონდონში არაკომფორტულად გრძნობს თავს და ესპანეთი ენატრება. რაც შეეხება თავად ფეხბურთელს, ამ დღეებში მან განაცხადა, რომ მომავალში არ გამორიცხავს სამეფო კლუბში მისი გადასვლის შესაძლებლობას.

ცნობილია ისიც, რომ "მეთოფეთა" მთავარ მწვრთნელს არსენ ვენგერს მაიკლ ოუენის შეძენა უნდა.

ინფოთეკა

### "ბავარიას" ბალაკის დაკარგვის ეშინია

გერმანული კლუბის "ბავარიას" ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ ეშინია, გუნდის წამყვანმა ფეხბურთელმა ლონდონის "ჩელსიში" გადასვლა არ გადაწყვიტოს.

"ალბათ, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ მთელი გულით გვინდა, ბალაკი მიუნხენში დარჩეს. ვაპირებთ, ამ საკითხზე თავად ფეხბურთელს დაველაპარაკოთ. შეიძლება ჩვენ მიერ შეთავაზებული კონტრაქტის პირობები დაჯაბნოს აბრამოვიჩმა, რომელიც, ეტყობა, ფულს სახლში ბეჭდავს. მასთან ვერაფერს გავხდებით," - განაცხადა "ბავარიას" მენეჯერმა ული ჰენესმა.

თავად ბალაკმა კონკრეტული ვერაფერი თქვა, უბრალოდ, აღნიშნა, რომ მისი კონტრაქტის ვადა წელიწადნახევარში იწურება და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, სად ითამაშებს მომავალში.

### ტორესი "ატლეტიკოს" მწვრთნელს აღიზიანებს

ესპანური კლუბის "ბარსელონას" მთავარმა მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა უკმაყოფილება გამოთქვა გავრცელებული ხმების გამო, თითქოს იგი მადრიდის "ატლეტიკოს" ფორვარდის ფერნანდო ტორესის ყიდვას აპირებს.

"პრესაში ამაზე ბევრს საუბრობენ. პირადად მე ამ საკითხზე არავისთან მისაუბრია - არც ჩვენს პრეზიდენტთან, არც ტორესის აგენტთან და არც თავად ფეხბურთელთან. ძალიან მაინტერესებს, საიდან მოაქვთ ეს ჭორები. ვერ გამიგია, რისი მიღწევა უნდა ადამიანს, რომელიც ცრუ ინფორმაციას ავრცელებს," - განაცხადა რაიკაარდმა, რომლის რისხვა ტორესმა კიდევ ერთხელ დაიმსახურა ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა "ატლეტიკოსა" და "ბარსელონას" მატჩში ორი ბურთი გავიდა და ორივე ტორესმა გაიტანა.

### მოლდოვანი ფეხბურთიდან მიდის

გუშინ რუმინელმა თავდამსხმელმა ვიორელ მოლდოვანმა დიდი ფეხბურთიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება. "როიტერსის" ცნობით, ფეხბურთელის ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა შვეიცარიული კლუბის "სერვეტის" გაკოტრება. "სამუშაო დავკარგე, ამიტომ კარიერაც უნდა დავამთავრო. დავიღალე. მინდა, დროის უმეტესი ნაწილი ოჯახთან გავატარო," - განაცხადა რუმინელმა.

### დელ ნერი ვარსკვლავთა ტრიოს არსად გაუშვებს

იტალიური "რომას" მთავარმა მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ განაცხადა, რომ კლუბმა დამრტყმელ ძალას ფრანჩესკო ტოტის, ანტონიო კასანოსა და ვინჩენცო მონტელას რაც შეიძლება მალე უნდა გაუგრძელოს კონტრაქტი, რათა არ დაკარგოს. "მე, როგორც მწვრთნელი, ვფიქრობ, ეს ტრიო "რომაში" უნდა დარჩეს, რადგან სამივე ფეხბურთელი მნიშვნელოვანია გუნდისთვის. თუ საუბარი იქნება 100 მილიონ გირვანქა სტერლინგზე, ხელმძღვანელობა, ალბათ, ამ შემოთავაზებას განიხილავას, თუმცა, მგონია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში მათი შენარჩუნება უნდა შევძლოთ," - აღნიშნა დელ ნერიმ.

### ჰამანი ინგლისში რჩება

"ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ გერმანელი ნახევარმცველი დიტმან ჰამანი კლუბში მომავალ სეზონშიც ითამაშებს. "დიდის ვესაუბრე. გადავწყვიტეთ, რომ ის ჩვენთან თამაშს გააგრძელებს. ხელმძღვანელობა ფეხბურთელის აგენტსაც გაესაუბრა. ახალ კონტრაქტს მალე მოაწერენ ხელს. ჰამანმა სეზონის პირველი ნაწილი წარმატებით ჩაატარა. თუ გავითვალისწინებთ მის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს, ვფიქრობ, არც მეორე ნაწილი იქნება ურიგო. ჩემი ვარაუდით, ჰამანი კლუბში კიდევ ერთი სეზონი უნდა დარჩეს," - განაცხადა ესპანელმა სპეციალისტმა.

### ბარტეზი ავადაა

"როიტერსის" ცნობით, საფრანგეთის ნაკრების მეკარე ფაბიენ ბარტეზი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო ვერ შეძლებს, ნაკრებს შვედეთის წინააღმდეგ ამხანაგური მატჩის დროს დაეხმაროს. ამბობენ, რომ მას "ნანტის" მეკარე ლადრო შეცვლის.

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების პრეს-ატაშეს ცნობით, ერთ-ერთმა ექიმმა ბარტეზი მარსელში მოინახულა, რათა მისთვის დიაგნოზი დაესვა. "ფაბიენს რაღაც სურდოს მაგვარი სჭირს. კონკრეტულად თქმა არ შემიძლია," - განაცხადა მან.

შეგახსენებთ, საფრანგეთისა და შვედეთის მატჩი პარიზში, 9 თებერვალს გაიმართება.

ჭიდაობა

# ბერძენ-რომაელებში დაპირისპირებაა

ბიბა ბურასაშვილი

*იშვიათია შემთხვევა, რომ სპორტსმენი მდგომარეობიდან გამოიყვანო, მით უმეტეს, გაფიცვამდე მიიყვანო. ახლა სწორედ ამ იშვიათობასთან გვაქვს საქმე, თუმცა, არა აშკარასთან. გადაჭრით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ორიოდე დღეა, სხვადასხვა კულუარული ინფორმაციით ვიგებთ, რომ ბერძენ-რომაელთა ნაკრები გაიფიცა. პროტესტის მიზეზი კი ისაა, რომ ფალავნები ნაკრების აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელის ბეგი დარჩიას თანამდებობაზე დაბრუნებას ითხოვდნენ (თუ ახლაც ითხოვენ). ოღონდ ამაზე ღიად საუბარი არავის სურს.*

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ბაკურ გოგიტიძის მოსვლის შემდეგ აშკარაა, რომ ქართულ საჭიდაო სამყაროში ბევრი რამ იცვლება. ახლა არ ვაპირებ, გესაუბროთ გოგიტიძის მიერ დასახულ კონკრეტულ პროგრამაზე, რომელიც მართლაც შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ მწვრთნელების საკითხს ნამდვილად ვერ ავუვლი გვერდს, მით უმეტეს, რომ საქმე დაპირისპირებამდე მიდის.

ბერძენ-რომაელებს და "თავისუფლებს" ბეგი დარჩია და ზაზა თურმანიძე მთავარი მწვრთნელის თანამდებობებზე არ ჰყავთ.

დაახლოებით ორი კვირის წინათ, როცა სპორტის დეპარტამენტში ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემოღებულ ახალ წესებზე გვესაუბრებოდნენ, ერთმა ჩვენმა კოლეგამ ჭიდაობის ფედერაციის ერთ-ერთ მოხელეს ჰკითხა (თუმცა, ეს უფრო რიტორიკული შეკითხვა იყო): მწვრთნელები რომ მოხსენით, იმედია, დილეტანტებს არ მოიყვანთო...

მწვრთნელები კი მართლაც მოხსნეს.

ვითარებაში გარკვევას ბერძენ-რომაელთა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატის დროსაც (1-4 თებერვალი) ვცდილობდი. უფრო სწორად, იმის გარკვევას, თუ ვინ იყვნენ ფედერაციის რჩეულნი, მაგრამ ვიდრე ამას შევიტყობდი, ფედერაციის პრეზიდენტმა ბაკურ გოგიტიძემ გვითხრა, მთავარი მწვრთნელის ახალი თანამდებობა შემოვიღეთ და მასზე ვანო ნიკოლაძე დავნიშნეთ. ასე რომ, მწვრთნელებთან და, საერთოდ, ნაკრებებთან დაკავშირებით მას მიმართეთო. მეც ვანო ნიკოლაძეს მივმართე. აქვე უნდა გითხრათ, რომ მთავარი მწვრთნელის მოვალეობაა ორივე სახეობის - ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების კურატორობა, ამასთან, სამივე ასაკობრივ ჯგუფში (ჭაბუკები, ახალგაზრდები, დიდები).

გარკვევით კი ის გავარკვიე, რომ ბერძენ-რომაელთა დიდების ნაკრებს კობა ჭიჭეიშვილი ჩაუდგა სათავეში, ხოლო "თავისუფლებს" - ზაზა ტყეშელაშვილი. რაც შეეხება დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებს, მათ დამრიგებელთა ვინაობა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში ეროვნული ჩემპიონატების ჩატარებისას გაცხადდება. ეს ისე, ინფორმაციისთვის. თუმცა, მიუხედავად ამისა, გარკვეული დისკომფორტი მაინც იგრძნობა. დისკომფორტი, რომელზეც საჭიდაო სამყაროში ხმამაღლა არ საუბრობენ, მაგრამ ფაქტია: ბერძენ-რომაელებს მწვრთნელად კვლავ ბეგი დარჩია სურთ.

რაც შეეხება კობა ჭიჭეიშვილს, მის შესახებ ის ვიცით, რომ სპორტის აკადემიის სამწვრთნელო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. სპორტული კარიერიდან კი აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი აქვს და არის დსთ-ის ჩემპიონი.

როგორც გუშინ საღამოს შევიტყვეთ, ბერძენ-რომაელთა ახალი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი იქნება. მოვალეობის შესრულება კი საცდელი ვადით ევროპის ჩემპიონატამდე გასტანს, მერე კი ხელახლა განიხილება მისი კანდიდატურა. რაც შეეხებათ ყოფილ მთავარ მწვრთნელებს ბეგი დარჩიასა და ზაზა თურმანიძეს, ისინი ნაკრებში დარჩებიან. მათი თანამდებობები კი ასეთი იქნება: წამყვანი მწვრთნელი.

ფეხბურთი

# ხოსე ანტონიო კამაჩო: "რეალს" გამარჯვება შეუძლია"

ხოსე ანტონიო კამაჩო მადრიდის "რეალს" მხოლოდ რამდენიმე ოფიციალურ მატჩში ხელმძღვანელობდა. ბარსელონის "ესპანიოლთან" პირველი მატჩის შემდეგ კი თანამდებობა დატოვა. მას შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში მთელი ერთი წრე მიილია. საინტერესოა, რას ფიქრობს კამაჩო განვლილ პერიოდზე.

**- რაზე ფიქრობთ?**

- იმაზე, რომ დრო სწრაფად გარბის.

**- ჭრილობები უკვე შეგიხორცდათ?**

- მე მწყობრში ვარ. ყველაფერი რიგზეა. როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, შემდეგ ამის გამო არ ვნანობ. კლუბიდან იმ შეგნებით წამოვედი, რომ ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასე ჯობდა ჩემთვისაც და გუნდისთვისაც. მაშინაც ასე ვფიქრობდი და ახლაც ამ აზრზე ვარ.

**- "ესპანიოლთან" პირველმა მატჩმა გულშემატკივართა მოთმინების ფიალა აავსო. გუნდს ის თამაში რომ მოეგო, თქვენ მაინც გადადგებოდით?**

- ასეთი გადაწყვეტილებები ერთი შედეგის მიხედვით არ მიიღება. ეს გადაწყვეტილება მწიფდებოდა. იმ მატჩის შემდეგ მივიჩნიე, რომ უნდა წავსულიყავი და წავედი კიდეც. ჩემგან ერთი საყვედურიც კი არავის მოუსმენია. ვერც მომავალში მოისმენს. საქმე კი ყოველთვის ისე არ მიდის, როგორც გინდა.

**- ის მატჩი, "ესპანიოლი"-"რეალი", უაღრესად საინტერესო იყო.**

- დღემდე არ მესმის, როგორ ვერ გაიტანეს გუნდებმა სამი პენალტი! ტამუდომ ორი პენალტი ვერ გამოიყენა, რონალდოს კი კამენიმ აუღო. იმ მატჩში ბევრი რამ მოხდა. ამიტომ ის დიდხანს ემახსოვრებათ.

**- თქვენი აზრით, რას ფიქრობს თქვენზე ხალხი?**

- კაცმა რომ თქვას, არ ვიცი. ვცდილობდი, მართალი ვყოფილიყავი საკუთარ თავთან და მადრიდის "რეალთან". ისე, როგორც ყოველთვის. მაშინ, როცა ფეხბურთელი ვიყავი და მაშინაც, როცა გუნდს ვწვრთნიდი. მე მივიჩნიე, რომ განზე უნდა გავმდგარიყავი და ეს გავაკეთე.

**- ახლა რას ნიშნავს "რეალი" თქვენთვის?**

- რაც უფრო კარგად ითამაშებს "რეალი," მით უკეთესი ჩემთვის. თქვენ ხომ მიცნობთ. განა შემიძლია სხვა რამე ვთქვა?

**- არა.**

- თავის დროზე პროფესიული გადაწყვეტილება მივიღე, მაგრამ კლუბისადმი სიყვარული, რომელსაც გულით ვატარებ, აბსოლუტურად სხვაა. მე გუნდს ყოველთვის საუკეთესო შედეგებს ვუსურვებ.

**- პორტუგალიიდან როგორღაც შემოთვალეთ, რომ თქვენი წასვლის შემდეგ "რეალს" პროგრესი არ ეტყობა...**

- მხედველობაში მქონდა ის, რომ "ბარსელონასთან" 7-ქულიანი სხვაობა დიდხანს შენარჩუნდა. ამიტომაც ვთქვი, მდგომარეობა არ გამოსწორდამეთქი. თუმცა, თუ გუნდის თამაშს შევაფასებთ, აშკარაა, რომ "რეალი" თავს უკეთ იცავს და უკეთესი შეტევითაც გამოირჩევა. ესე იგი, პროგრესი შეიმჩნევა. ახლა გუნდს შანსი აქვს, ქვეყნის ჩემპიონატიც მოიგოს და ჩემპიონთა ლიგაც. მე "იუვენტუსის" თამაშიც ვნახე. ის არ ჰგავს იმ გუნდს, რომელიც ყველას არღვევს.

**- გრავესენი ის ფეხბურთელია, რომელსაც დიდხანს და წარუმატებლად ეძებდით?**

- მე ვეირუსა და ემერსონს ვეძებდი, მაგრამ არ გამიმართლა.

**- და შემდეგ ხაბი ალონსოს ტრანსფერიც ჩაიშალა...**

- ჩვენ რომ გვცოდნოდა, რომ ვეირუსა და ემერსონს ვერ შევიძენდით... გრავესენი კი ყველა შენაძენისგან გამოირჩევა, რომელიც "რეალმა" განახორციელა. ჩვენ გვსურდა, გვეყიდა ნახევარმცველი აბსოლუტურად გარკვეული ფუნქციებისთვის. არის თუ არა გრავესენი ასეთი ფეხბურთელი, ამას გარკვეული დროის შემდეგ მივხვდებით. ჯერჯერობით მასზე საუბარი ნაადრევია.

**- მაკელელეს ტიპის ფეხბურთელს ეძებდით?**

- რაღაც მსგავსს.

**- გუტი ან რაული?**

- ორივე? რატომაც არა!

**- "იუვენტუსი".**

- ვფიქრობ, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ორი გიჟური დაპირისპირებაა: "რეალი"-"იუვენტუსი" და "ბარსელონა"-"ჩელსი". "იუვენტუსის" წინააღმდეგ თამაში ადვილი არ იქნება, მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ ვნახეთ, როგორ გააოცა "სამპდორიამ" ტურინში ყველა. "რეალს" შეუძლია, ტურინელთა ბარიერი დაძლიოს. მაშინ გუნდს ჩემპიონთა ლიგის მოგების შესანიშნავი შანსი ექნება. ლა ლიგა კი სხვა საქმეა. "ბარსას" შეცდომის უფლება აქვს, "რეალს" - არა. ვნახოთ.

**- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- წლეულს, წესების თანახმად, ესპანეთში მუშაობა არ შემიძლია. "რეალის" დატოვებისთანავე უცხოეთიდან რამდენიმე შემოთავაზება მივიღე. წინადადებები ევროპული გრანდებისგანაც მქონდა. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, აღფრთოვანება არ განმიცდია. პორტუგალიაში ორ წელიწადს ვიმუშავე და ოჯახურ პრობლემებს გადავაწყდი. ჩემი უმცროსი შვილი აქ სკოლაში დადის და ეს არის უმთავრესი პრობლემა. ამიტომ ჩემი მიზანია, მომავალ წელს ესპანური გუნდი გავწვრთნა.



*ხოსე ანტონიო კამაჩო: "მე "იუვენტუსის" თამაშიც ვნახე. ის არ ჰგავს იმ გუნდს, რომელიც ყველას არღვევს".*

ოლიმპიზმი

# კომისიის სტუმრობა ნუ გგონიათ ხუმრობა!

*2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა ზაფხულში გახდება ცნობილი, მანამდე კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 12-კაციანი კომისია კანდიდატ ქალაქებში მოგზაურობს, რათა დარჩენილი ხუთიდან (პარიზი, ლონდონი, მოსკოვი, ნიუ იორკი, მადრიდი) მასპინძელი შეარჩიოს. მოგზაურობა ესპანეთიდან დაიწყო.*

2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველთა ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. სოკ-ის კომისია ესპანეთის დედაქალაქში ოთხი დღის მანძილზე გულდასმით სწავლობდა სპორტულ ობიექტთა მდგომარეობას. კომისიის ხელმძღვანელის, მაროკოელი ნავალ ელ მუტავაკელის თქმით (სხვათა შორის, ის ოლიმპიური ჩემპიონია), ყველა პრეტენდენტის შემოწმების შემდეგ კომისია გაავრცელებს ტექნიკური ხასიათის დასკვნას. ეს დასკვნა სარეკომენდაციო იქნება და სოკ-ი პირველ რიგში სწორედ ამით იხელმძღვანელებს.

შემფასებელმა კომისიამ აღნიშნა, რომ დიდი მხარდაჭერა იგრძნო მთავრობისა თუ მოსახლეობის მხრიდან.

კომისიის წევრებმა მოინახულეს ესპანეთის სახელგანთქმული სტადიონი "სანტიაგო ბერნაბეუ", ამასთან, ორჯერ: ჯერ ოფიციალური შემოწმების მიზნით, საღამოს კი საფეხბურთო მატჩსაც დაესწრნენ. სკანდალიც აქ მოხდა - მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებმა სოკ-ის წევრებს ფეხბურთის ბურთები აჩუქეს.

საქმე ის არის, რომ კომისიის წევრებს კატეგორიულად ეკრძალებათ საჩუქრების მიღება, თუმცა, ინსპექტორებმა თავი იმართლეს: საჩუქარი იმდენად უწყინარი იყო, რომ არ შეიძლებოდა, ამას რაიმე კავშირი ჰქონოდა მადრიდელთა მხრიდან ჩვენს მოსყიდვასთან. სამეფო კლუბისგან ნაჩუქარი ბურთები ჩვეულებრივ სუვენირებად მივიღეთო.

საინტერესოა ერთი გარემოება: მადრიდში შემფასებელთა ვიზიტს მოწინავე საბუკმეიკერო კანტორებში ფსონების გაზრდასა და, შესაბამისად, ესპანელთა შანსებზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ესპანეთის დედაქალაქი, როგორც აქამდე, ოლიმპიადის მასპინძლობის პრეტენდენტთა შორის შანსების მიხედვით კვლავაც მესამე საფეხურზეა.

რაც შეეხება მოწინავეებს, დიდი უპირატესობით ლიდერობს პარიზი (კოეფიციენტი 1,4). მეორე ადგილზეა ლონდონი (3). მეოთხე-მეხუთეზე კი, შესაბამისად, ნიუ იორკი (14) და მოსკოვი (40).

შემფასებელთა მორიგ ვიზიტს ლონდონელები ელიან.

თუ ვინ უმასპინძლებს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს, 6 ივლისს, სინგაპურში, სოკ-ის სესიაზე გახდება ცნობილი.



*"სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონმა შეიძლება 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს.*

ინფოთეკა

### როი კინი ჭერჭერობით ფორმაშია

"მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა როი კინმა განაცხადა, რომ კლუბში დარჩენას აპირებს მანამ, სანამ გუნდისთვის წარმატების მოტანას შეძლებს.

სხვათა შორის, ჩემპიონთა ლიგის უკანასკნელ მატჩში "ბირმინგემის" წინააღმდეგ "მანჩესტერის" შემადგენლობაში კინმა 50-ე ბურთი გაიტანა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### სამშაბათი. 8 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკენდი
13:00 "Marbella Cup-2005". საერთაშორისო ტურნირი. "დინამო" (საქართველო) - "შახტიორი" (უკრაინა)
14:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:00 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:00 "Marbella Cup-2005". საერთაშორისო ტურნირი. "ზენიტი" (რუსეთი) - "სპარტაკი" (რუსეთი)
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
20:35 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:35 თავისუფალი დარტყმა
22:50 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "დინამო" (უკრაინა) - "რომა"
00:45 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
11:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ტაილანდში. ფინალი
13:35 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
14:05 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო ჩემპიონატი ყაზანში. მატჩი მე-3 ადგილისთვის
16:15 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი აშშ-სა და იტალიაში
16:45 ჰოკეი. "სტენლის თასის რეტროსპექტივა". 1999 წელი. მეოთხედფინალი. "TORONTO MAPLE LEAFS" - "PITTSBURGH PENGUINS". მე-5 მატჩი
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო ჩემპიონატი ყაზანში. ფინალი. შესვენებისას (21:30) - პრესცენტრი
23:15 ბოულინგი. "AMF Bowling Open"
00:15 ახალი ამბები
00:30 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. რუსეთის ჩემპიონატი

**EUROSPORT**

10:30 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
11:00 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!!!
11:15 მულტისპორტი. იტალია-2006
11:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
12:30 ფეხბურთი - ევროგოლები
13:30 სნუკერი. მალტის თასი. ფინალი
15:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
16:30 ბოულინგი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ტრიალი. სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
21:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. ამხანაგური მატჩი. კოტ დ`ივუარი - კონგო. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 მულტისპორტი. იტალია-2006
23:15 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
01:30 ახალი ამბები
01:45 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩი
03:15 ახალი ამბები

# ორი საქართველო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №27

ვიქტორ რცხილაძე

## 3. ცოდვის ტრიალი საქართველოს ისტორიაში

იშვიათია ერი, რომელსაც ამდენი გვირგვინოსანი წამებული ჰყავდეს სარწმუნოებისათვის, როგორც საქართველოს; იშვიათია ერი, რომლის წიაღშიც მამულისა და მეფისათვის ამდენი თავდადებული იშვა - იქნება ეს თევდორე ხუცესი თუ ცოტნე დადიანი, იოთამ ზედგინიძე თუ დავით ეჯიბი. მაგრამ იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ პიროვნული ცოდვისა და პირველცოდვის ურთიერთჩახლართვით თაობიდან თაობას საზარელი, მოღალატური თესლი გადაეცემა და ჰყავვის. 2003 წლის 8 აგვისტოს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩისადმი მოთხოვნით, რომ ეს ქვეყანა ნუ ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში. წერილს ხელს აწერენ პოეტები, მწერლები, მეცნიერები, კომპოზიტორები, ისტორიკოსები, სპორტსმენები, ერთი სიტყვით, მრავალრიცხოვანი ხელმოწერებია ფრიად პატივცემული პიროვნებებისა. ჩვენი ყურადღება ამ წერილში განსაკუთრებით შემდეგმა ადგილმა მიიპყრო:

"ჩვენი სამომავლო ურთიერთობა ახლა იწყება და ხალხის ეს ფსიქოლოგიური თავისებურება თუ მისი გამძაფრებული თავმოყვარეობა გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს თუნდაც უნებლიე ანალოგია რუსულ-ქართულ ურთიერთობათა იმ არასასიამოვნო და შეურაცხმყოფელ პრაქტიკასთან, როდესაც ქართველები მოსკოვში გარბოდნენ სიმართლის საძიებლად და ტყუილითა და მართლით ცდილობდნენ თავიანთი მიზნების მიღწევას. სხვათა შორის, ასევე გარბოდნენ (თუმცა უფრო შორი გზა იყო) ქართველები კონსტანტინოპოლში, მონღოლთა ურდოში, ირანის შაჰისა თუ თურქეთის სულთნის კარზე.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ეროვნული თავმოყვარეობისათვის შეურაცხმყოფელია იმ დამწყები პოლიტიკოსებისა და ვერშემდგარი პატრიოტების მუდმივი სირბილი რუსეთის, ევროპისა თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური თუ პოლიტიკური მხარდაჭერისათვის, რომელთაც ჯერ საკუთარი ხალხისათვის არ გაუკეთებიათ რაიმე მნიშვნელოვანი".

თვენახევრის შემდეგ, 2003 წლის 25 სექტემბერს, იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ოთხი ცნობილი ისტორიკოსის წერილი სათაურით: "რაც გვაქვს, იმას მაინც ნუ წავართმევთ ჩვენს დიდ წინაპრებს":

"მიმდინარე წლის 28 აგვისტოს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის, სახელმწიფო კანცელარიის უფროსის ბატონ პეტრე მამრაძის ინტერვიუ "თარილი, საიდანაც ახალი საქართველო იწყება". პატივცემული პეტრე იხსენებს კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებულ პერიპეტიებს მაშინდელ (1995 წლის) პარლამენტში და აღნიშნავს, რომ უცხოელი ექსპერტები მასთან საუბარში თითქმის ერთსულოვნად აცხადებენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი ერი არ არის, ერად ვერ ჩამოყალიბდა, დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი დაკარგული აქვს რუსეთის 200-წლოვანი ბატონობის შედეგად და რომ არც მომავალი არ გააჩნიათ ამ მხრივო. ამერიკელ მეცნიერ უილიამ ოდონს ეს თვალსაზრისი დაუბეჭდავს კიდეც. ამ მეცნიერის მტკიცებით, საქართველო არის ქვეყანა, სადაც რეგიონული თუ პოლიტიკური ლიდერები მუდამ მზად არიან, მიეყიდონ რუსეთის სპეცსამსახურებს ერთადერთი მიზნით, ანგარიში გაუსწორონ ერთმანეთს.

ჩვენ არ ვიცით, რა ინფორმაცია ჰქონდათ ამ უცხოელ მეცნიერებს რუსეთის სპეცსამსახურებთან ქართველი პოლიტიკური ლიდერების ურთიერთობის შესახებ, მაგრამ აღნიშნული მსჯელობა მოწმობს, რომ მათ მეტად ბუნდოვანი და თანაც არასწორი წარმოდგენა ჰქონიათ საქართველოს დღევანდელობასა და, განსაკუთრებით, მის წარსულზე. აქ საჭირო იყო სულ უბრალო განმარტება ან იმის აღნიშვნა მაინც, რომ ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი დღეს კი არ ყალიბდება, არამედ მისი ისტორია საუკუნეებს ითვლის და ქართველი ერი მსოფლიოს უძველესი ერების რიცხვს განეკუთვნება. ამის მაგივრად ბატონი პეტრე კიდევ უფრო აღრმავებს ამ შეცდომას და მათ განუმარტავს, რომ ეს ქართველების ცუდი თვისებაა და რომ ეს თვისება რუსეთის 200-წლოვანი ბატონობის გამო კი არ გაჩენილა, არამედ ჩვენს მეფეებს და მთავრებს ხშირად სპარსეთიდან და თურქეთიდან თვითონ მოჰყავდათ ჯარი, რათა მეტოქე დაემარცხებინათ. პ. მამრაძე ასკვნის: ასეთ ვითარებაში ძალზე დრამატულად და ერთობ ტრაგიკულად წყდებოდა საკითხი - შედგებოდა თუ არა საქართველო სახელმწიფოდ. როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების აქტი, ოდონის რწმენით, ვერ შედგა(?!) და ეს პროცესი დღესაც არ არის დასრულებული.

ამ პასაჟით კიდევ უფრო მუქდება ქართველი ხალხის "ცუდი თვისება", რომელიც მას თითქოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ჰქონდა.

მაგრამ ეს ქართველი ხალხის "თვისება" კი არ იყო მხოლოდ, არამედ ყველა ხალხის ისტორიაში, ვისაც ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეტაპი გაუვლია, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა - უცხო ძალის გამოყენება თავისი პარტიკულარისტული თუ სხვა ფეოდალურ-ეგოისტური მიზნების მისაღწევად. აქ შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა იმავე ცივილიზებული ევროპის ისტორიიდან.

ისეთ ცივილიზებულ ქვეყანაში, როგორიც იტალია იყო XI-XII საუკუნეებში, ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, იტალიელ ფეოდალთა მნიშვნელოვანი ჯგუფი იტალიაში შემოჭრილი გერმანელი იმპერატორის ფრიდრიხ ბარბაროსას მხარეზე იბრძოდა თავისი ქვეყნის წინააღმდეგ. XIV-XV სს. მილანის ჰერცოგი ლოდოვიკო მორო და რომის პაპი ალექსანდრე VI აღფრთოვანებული შეხვდნენ იტალიაში შემოჭრილ საფრანგეთის მეფე შარლ VIII-ს, რომლის გამოყენება სურდათ ქვეყნის შიგნით თავიანთი მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად, ასწლიანი ომის დროს (XV ს.). გავლენიანი ფრანგი ფეოდალების ჯგუფი (ბურგინიონები) საფრანგეთში შემოჭრილი ინგლისის მეფის ჰენრი V-ის მხარეს იბრძოდნენ, ასევე ინგლისში, ვარდების ომის დროს (XV ს.) ტახტისთვის მებრძოლი ლანკასტერები და იორკები დამარცხების შემთხვევაში დახმარებისთვის უცხოურ ძალებს - საფრანგეთის მეფესა და ბურგუნდიის ჰერცოგს მიმართავდნენ. 1400 წელს ინგლისის მეფის წინააღმდეგ აჯანყებული უელსელი მთავრები ფრანგებს მიმართავდნენ დახმარებისათვის. მოსკოვის მთავარი ივანე კალიტა (XIV ს.) მონღოლებს იყენებდა თავისი პოლიტიკური მეტოქეების წინააღმდეგ. ახალ პერიოდშიც, გავიხსენოთ, რომ ბურბონებმა ინგლისელების და სხვა უცხოელი მონარქების დახმარებით აღიდგინეს ხელისუფლება საფრანგეთში. გავიხსენოთ, რომ თვით 1871 წ. ადოლფ ტიერი ამბოხებულ პარიზს საფრანგეთის დაუძინებელი მტრის ბისმარკის იუნკრებით გაუსწორდა და ა.შ.

ასე რომ, უცხო ძალის მოწვევა "ღონედ უძლურებისა თვისისა" მარტო ქართველების ცუდი თვისება კი არ იყო, არამედ ეს ჩვეულებრივი ამბავია ყველა ხალხის ისტორიაში. ჩვენთვის იმით იყო ეს დამძიმებული, რომ დამპყრობლები ყოველმხრივ აღვივებდნენ ამ შინაურ ქიშპს და აქეზებდნენ ცალკეულ პოლიტიკურ მოღვაწეთა ეგოისტურ და მოღალატურ საქმიანობას. ეს ხომ ჩვენი ისტორიის ანაბანაა!"

გაზეთებიდან ამ ვრცელი ციტატების მოყვანის შემდეგ ისევ ზემოთ ნახსენები ფრაზა უნდა გავიმეორო: სამწუხაროდ, პირველი წერილის შემთხვევაში და საბედნიეროდ, მეორე წერილის შემთხვევაშიც ავტორები სიმართლეს წერენ. რაც შეეხება პირველ წერილს, სადაც ქართველთა სიგლახე და ორგულობაა აღწერილი - ეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტია. მაგრამ ამის თაობაზე მარტო 2003 წელს როდი დაიწერა. ქართველთა ბუნების განმჭვრეტი დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი იუწყება: "ვინათგან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვსთა უფალთა. რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი". ესე იგი ისტორიკოსი კიდევ უფრო "ძველ მატიანეს" ეყრდნობა "აწ ხილულ საქმეთა" გარდა.

რაც შეეხება მეორე, ოთხი ისტორიკოსის წერილს, შეუძლებელია მასაც არ დაეთანხმო. მაგრამ... აქ არის ერთი "მაგრამ". კერძოდ: მე ვიქნებოდი გაცილებით ფრთხილი, როდესაც ამერიკელი ამბობს, რომ "საქართველო არის ქვეყანა, სადაც რეგიონული თუ პოლიტიკური ლიდერები მუდამ მზად არიან მიეყიდონ რუსეთის სპეცსამსახურებს ერთადერთი მიზნით, ანგარიში გაუსწორონ ერთმანეთს". ჩვენი ავტორები ამის შესახებ ბრძანებენ - არ გაგვაჩნია ამის თაობაზე ინფორმაციაო. არადა, რამდენიმე მაგალითი სულ ახლო წარსულიდან, როგორც იტყვიან, ზედაპირზე ძევს...

მეორე პრეტენზია, რაც ამ წერილის მიმართ გვაქვს, მდგომარეობს არადამაკმაყოფილებელი ისტორიული მაგალითების მოყვანაში. ისე გამოდის, რომ ჩვენი ისტორიკოსები დანტე ალიგიერზე მეტი პატრიოტები არიან იტალიისა. იმ პერიოდის იტალია წარმოადგენდა მუდმივი ბრძოლის არენას ქალაქებს შორის, პარტიებს შორის და დანტე, ისევე როგორც სხვა პატრიოტები, ესწრაფვოდა იმპერიის მშვიდობას გერმანიის იმპერატორის თაოსნობით. გავიხსენოთ, თუ როგორ შესთხოვდა იგი გერმანიის იმპერატორს რომის აღებას - რომი მოსთქვამს: "მე დამტოვა ჩემმა იმპერატორმა" (Purgatorio, VI, 112; იხ. აგრეთვე დანტეს "მონარქია", ასევე მისი წერილი გერმანიის იმპერატორ ჰაინრიხ VII-სადმი). არც ბოლო მაგალითია სწორი, ჩვენი ისტორიკოსების მიერ მოყვანილი, რომელიც შეეხება 1871 წლის პარიზის კომუნას. ნუ დაგვავიწყდება, რომ მაშინ პარიზში თავი მოიყარა ინტერნაციონალის მთელმა ეშმაკეულობამ (დოსტოევსკის მიხედვით - "ბესი"). ცნობილი ჟ. დე მესტერი ასე აფასებდა საფრანგეთის დიდ რევოლუციას: რომ არ მომხდარიყო საფრანგეთის გილიოტინიზაცია, უნდა ყოფილიყო ინკვიზიცია. ცხადია, პარიზის კომუნის შემთხვევაში, იმდროინდელი პატრიოტები უკვე აღარ დაუშვებდნენ სატანისტური ძალების აღზევებას. მაგრამ მთავარი სათქმელი ისაა, რომ არც ერთი მაგალითი "უცხო ძალის" მოწვევისა, რომელიც ჩვენ ავტორებს მოჰყავთ, არ გამოიწვევდა ეროვნულ გადაგვარებას, რადგან არ მოხდებოდა უცხო რელიგიის მიერ ქრისტიანობის განდევნა, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში ხდებოდა. ფაქტია, რომ სამხრეთ საქართველოს ქართველმა მოსახლეობამ ასეთი კატასტროფა განიცადა (ასევე დაემართა გამუსლიმებულ სომხებსაც, რომლებმაც ქართველებისაგან განსხვავებით თავიანთი "სომხობაც" დაივიწყეს). მაგრამ მარტო სამხრეთით არ ხდებოდა ეს უბედურება - "სპარსულ-თურქული ენები ქართველ ფეოდალების სამეჯლისოდ სასაუბრო ენებად იქცნენ, მმართველობაში ფეხი მოიკიდეს სპარსულ-ყიზილბაშურმა ინსტიტუტებმა" (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973). ევროპაში საქართველოს ამ მხრივ ბალკანეთი თუ შეედრებოდა. თუ მაგალითების მოხმობა იყო საჭირო, ჩვენი ისტორიკოსების მისამართით ვამბობ, მე სხვა მაგალითებს მოვიყვანდი ევროპულ სახელმწიფოთა ისტორიიდან, რომელნიც "უკადრებელს კადრულობდნენ" ისლამურ ძალებთან კავშირის დამყარების მხრივ პოლიტიკური სარგებლის გამო. მათ ფონზე საქართველო უკეთ მოჩანს, როგორც აღმოსავლეთში დარჩენილი ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო (სამეფო-სამთავროები), რომელიც მარტოდმარტო უმკლავდებოდა მტერს.

ცნობილია, რომ დანტემ ჯოჯოხეთში მოათავსა მუჰამედი, როგორც ერეტიკოსი, რომელმაც ქრისტიანობას ისლამი დაუპირისპირა. მისი დასჯა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გახლეჩილია თავიდან ფეხებამდის. ასევე დასჯილია ალი, ერეტიკოსი თვით ისლამის წიაღში, რომელიც ისჯება იმით, რომ მას თავი აქვს გაპობილი ნიკაპის ჩათვლით. დანტესაგან განსხვავებით პეტრარკა წერს პაპ ურბანს: "ოსმალები უბრალოდ მტრებია, მაგრამ სქიზმატიკოსი - ბერძნები უარესნი არიან, ვიდრე მტრები".

ლორდ კინროსის წიგნში (Lord Kinross, The Rise and Fall of the Turkish Empire, New York 1977) ვკითხულობთ, რომ საფრანგეთის მეფე ფრანცისკო I იმპერატორ კარლოს V-ეს წინააღმდეგ ფარულად შეეკრა თურქებს ("მკრეხელური კავშირი შროშანისა და ნახევარმთვარისა"). იგი ცდილობდა ქრისტიანული სამყაროსაგან ამ კავშირის დამალვას, მაგრამ ისტორია ისე წარიმართა, რომ ეს კავშირი საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის გარკვეული წყვეტილებით თითქმის სამი საუკუნე გაგრძელდა. 1553 წელს სულთანმა სულეიმანმა ფრანცისკ I-ს ასი ათასი ოქროს მონეტა გაუგზავნა კარლოს V-ის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ იმპერატორს მაშინ ინგლისელებიც და პროტესტანტი გერმანელი მთავრებიც ებრძოდნენ. ორი წლის მერე ფრანცისკმა სულთანს მილიონი ოქროს დუკატი მოსთხოვა და ვენეციის ელჩს განუცხადა, რომ ოსმანური იმპერიის სახით იგი ხედავს ევროპელთათვის ერთადერთ დამხმარე ძალას კარლოს V-ის წინააღმდეგ (ამას ამბობს კათოლიკე მეფე კათოლიკე იმპერატორის წინააღმდეგ). ამდენად, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ოსმანური იმპერია იქცა "რეფორმაციის მოკავშირედ". ის, რაც ისლამს საერთო ჰქონდა რეფორმაციასთან, იყო ხატების უარყოფა, თორემ ცნობილია ლუთერის განცხადება: "ცხადზე უცხადესია, რომ ყურანი სატანის მიერაა დაწერილი, რომელიც ამგვარად ერთობა, აბუჩად იგდებს რა ღმერთსაც და ადამიანებსაც". კიდევ უფრო პარადოქსულია ინგლისის დედოფლის ელისაბედის წერილი სულთან მურადისადმი (1580), სადაც იგი, ებრძვის რა ესპანეთს, მურადს ასე ახასიათებს: "დაუმარცხებელი და ყველაზე უფრო ძლევამოსილი დამცველი ჭეშმარიტი რწმენისა კერპთაყვანისმცემელთაგან" და ასეთ "კერპთაყვანისმცემლად" იგი ესპანეთის კათოლიკე მეფეს მიიჩნევს. ისტორია კიდევ უფრო სავალალო მაგალითებს გვაწვდის. როდესაც 1683 წელს ოსმალეთის არმია ყარა მუსტაფას (შავი მუსტაფას) სარდლობით ქრისტიანულ ევროპას შეესია, "ოსეკში დიდ ვეზირს შეუერთდა ტეკელის უნგრული ჯარები", რომელთაც ქრისტიანულ დროშაზე ლათინურად ეწერათ "ღვთისა და ქვეყნისათვის", ხოლო თავად "კრუცეშის" ანუ "ჯვრის ადამიანების" სახელწოდებას ატარებდნენ. ამ დროს მუსლიმანები ეკლესიებს წვავდნენ, ხშირად იმ საბაბით, რომ "ღამით მათი სამრეკლოთა ხმები ძილს უფრთხობდნენ ანგელოზებს მეჩეთებში". არც ბიზანტიის იმპერატორ იოანე VI კანტაკუზენს (1341-1354) არ დაუხევია უკან, რომ ოსმალები მოეწვია და ევროპაში შეჭრილიყო თავისი მტრების დასარბევად. მაგრამ ძვირად დაუჯდა მას ეს - თურქებმა მოკავშირეობა დაივიწყეს და ბიზანტიის თანდათანობითი დაპყრობა განახორციელეს.

ევროპაში რეფორმაციის შემდეგ სხვა ვითარება სუფევდა. "დაიმსხვრა ერთიანობის კონცეფცია, ევროპის აღმოცენებულ სახელმწიფოებს სჭირდებოდათ რაღაც პრინციპი, რომელიც გაამართლებდა მათ ერესს და დაარეგულირებდა ურთიერთობას მათ შორის. ეს მათ ჰპოვეს raison d`etat-ისა (სახელმწიფოებრივი ინტერესებისა) და ძალთა თანაფარდობის პრინციპში. ერთი მეორეზე იყო დამოკიდებული. სახელმწიფოებრივი ინტერესების პრინციპი გულისხმობდა, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა ამართლებს ყოველგვარი საშუალების გამოყენებას ნაციონალური ინტერესების უზრუნველსაყოფად, იგი ცვლიდა შუა საუკუნეებრივ წარმოდგენას მორალის უნივერსალურობის შესახებ... სწორედ რიშელიემ აღიარა raison d`etat-ის პრინციპი და განახორციელებდა ამ კონცეფციას პრაქტიკაში თავისი ქვეყნის სასარგებლოდ... რიშელიეს მეტოქეს, იმპერატორ ფერდინანდ II-ს ნამდვილად განაგონიც არ ექნებოდა raison d`etat-ის პრინციპზე და რომც გაეგო, იგი მას უარყოფდა, როგორც მკრეხელურს... შემდგომში ფრანგული ტერმინის raison d`etat-ის სანაცვლოდ შემოვიდა გერმანული ტერმინი Realpolitik, რომელიც საქმის არსს არ ცვლიდა" ( Г. Киссинджер, Дипломатия, М., 1997, стр. 47, 49, 89).

ყოველივე ზემოთქმულით ის აზრი იკვეთება და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ საქართველოს პირობებში ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო რომ ჩაეგდოთ, იგი უფრო დიდ კატასტროფას განიცდიდა და სრულიად გადაგვარდებოდა. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდების სფეროა და მახსენდება მორწმუნე ფრანგი პატრიოტი-მწერლის შარლ პეგის მისტერია-დრამა "ჟანა დ`არკი", სადაც იგი ამტკიცებს, რომ ქრისტეს მოწაფეებისაგან (ე.ი. მოციქულებისაგან) განსხვავებით, მაცხოვარს ბოლომდე ერთგულებდნენ წმ. ფრანცისკო, ფრანგები და თვით ინგლისელები. დიახ, ვარაუდი ვარაუდია, მაგრამ ჩვენ ჩვენი წარსულის რეალობას ვერ შევცვლით. ევროპულ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, ისლამური მოზღვავება ჩვენთვის საცდურად და საბედისწეროდ იქცა. ასე რომ, ზემოხსენებული ოთხი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ისტორიული მაგალითების მოხმობისას წინ რელიგიურ ფაქტორს წამოვწევდი, რადგან იგი წყვეტდა საქართველოს ყოფნა-არყოფნას.

მაგრამ გახრწნა აუხსნელი წერტილიდან იწყება. აკად. ნ. ბერძენიშვილი ზემოთ დასახელებულ ტომში წერს: "რა მივიღეთ: რუისურბნისის კრების განაჩენი წესები მალე დაავიწყდათ, ეკლესიაში ისევ საერო სული შეიჭრა, დიდგვარიანობა ისევ დაეუფლა საყდრებს... რუსთაველის შემდეგ სიბრძნე ეკლესია-მონასტრებში აღარაა. სიბრძნე ფეოდალების სასახლეშია... მონასტრების გამძარცველი დიდგვარიანები... შეიქმნა დიდი ნაპრალი... ქართული კულტურის თანმიმდევრული განვითარება შეწყდა..."

რა გასაკვირია, რომ ასეთ ვითარებაში მყოფ საქართველოს ისლამური აგრესია (უკვე მერამდენედ!) წელში გატეხდა. ოსმალო-სპარსეთის გარდა საქართველო ლეკთა თარეშის მსხვერპლად იქცა. "მრავალი შემოსევა განუცდია საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე", - წერს იგივე ნ. ბერძენიშვილი - "მაგრამ არც ერთი შემთხვევა ლეკიანობას არ ჰგავდა". თვით გმირმა ერეკლე II-მ თავისი სიცოცხლის ბოლომდე ვერ აღკვეთა ეს ბოროტება. 1851 წელს დავით გარეჯში ლეკებმა ქართველი ბერები ამოწყვიტეს, რომელნიც ჩვენმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა (იხ. "ქართველ წმინდანთა ცხოვრება", თბილისი 2000). აგერ ვაჟა-ფშაველა იხსენებს: "მთელი კახეთი, ვიდრე შამილს დაიჭერდნენ გუნიბში, ლეკების სანავარდო მოედანი იყო. რა წამსაც კი კავკასიონის ქედზე თოვლი შეთხელდებოდა, გზა გაიხსნებოდა, იმ წამსვე კახეთის ტყე და ველები ამწვანდებოდა, ლეკების ბრბოები დაიწყებდნენ თარეშობას" ("ჩვენი დალაჩრება", ტ. X, თბ., 1964). თვით ჩემი ბავშვობის წლები მახსოვს, სოფ. ენისელში (დაახლოებით 1947 წელია) გატარებული, თუ მოხეტიალე ლეკებს ბავშვები როგორ გამოეკიდებოდნენ ხოლმე ქვებით ხელში... ისევ ნიკ. ბერძენიშვილი: "შაჰის შეთანხმება დაღესტნელ ლეკებთან, რომ მათ მთებში შეხიზნული კახელები ეჟლიტათ..." (ტ. VI, 1978, გვ. 232). მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მომდევნო, მე-18 საუკუნეში კახეთის რიგმა სოფლებმა გალეკება დაიწყეს. აკად. ნ. ბერძენიშვილი ამას სოციალურ ფაქტორს უკავშირებს ("მებატონეთა წინააღმდეგ ამხედრება") და არაფერს ამბობს ისლამურ, რელიგიურ აგრესიაზე. თუმცა, შემდგომ თავად ბრძანებს (გვ. 318): "ჩქარა ახლო მდებარე კახური სოფლები ლეკებმა კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს. ამრიგად, "უბატონო თემები" თანდათან მებატონე თემებად იქცნენ".

უარესი ვითარება იყო დას. საქართველოში, სადაც "ტყვის სყიდვა" ანუ კაცის უცხოეთში გაყიდვა მძვინვარებდა. ეს შავბნელი საქმიანობა განსაკუთრებით XVI ს-დან ძლიერდება. "არც ერთ ომს", - განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, - "არც ერთ უცხოელ დამპყრობელს ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსთვის, რამდენიც ამ "მშვიდობიანმა" ტყვეთა სყიდვამ მიაყენა მას. გამარჯვებული ოსმალეთი ლიხთიმერეთის სამეფო ხელისუფლებას მორჩილების უმთავრეს პირობად ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას უყენებდა... ტყვის გამყიდველები ჩვეულებრივ თავადები იყვნენ. მაგრამ ამ ველურ საქმეს ჩქარა სხვებმაც მიჰყვეს ხელი. მთავრები, ეპისკოპოსები, აზნაურები და მოყაზახე გლეხებიც კი ტყვის სყიდვაში გაერივნენ. XVII ს-ში საერთოდ და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში ტყვის სყიდვამ დასავლეთ საქართველოში კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამ საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთში ყოველწლიურად იყიდებოდა მთელი მოსახლეობის ჯანსაღი ნამატი".

ამ დროს "თავიანთ მოძმეებთან ფეოდალურ ბრძოლაში დამარცხებული ესა თუ ის მთავარი სტამბოლისაკენ გარბოდა და დამპყრობელის შემწეობით აღიდგენდა "სამართალს" - ამის დამწერი პეტრე მამრაძე არ გეგონოთ, ეს ისევ აკად. ნ. ბერძენიშვილია, რომელიც განაგრძობს: "არბევდნენ ერთი მეორის ციხე-ქალაქებს, სოფლებს და ურთიერთის წინააღმდეგ დახმარებას ირანსა და ოსმალეთში ეძებდნენ". შემდეგ იმავე ავტორს მოჰყავს მემატიანეს სიტყვები, რომელიც ახასიათებს XVIII ს-ის პირველ ნახევარში ქართველთა ვითარებას: "განრყვნილნი, ფიცის-მტეხელნი, ტყვისმსყიდველნი, მხდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი არათუ წარჩინებულნი, განა მდაბიურნიცა მოქმედნი ამის ყოველთა".

გასაკვირი არ არის, რომ იმ დროს ევროპაში საქართველოს შესახებ მისი გმირული ბრძოლისა და მარტიროლოგთა გარდა საკმაოდ ცუდი ხმებიც ვრცელდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ იოჰან გოტფრიდ ჰერდერი თავის "იდეებში კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის შესახებ" (1784-1791) საქართველოზე შემდეგს გვაუწყებს: "სავალალოა ქრისტიანული საქართველოს ბედი. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან პატრიარქები, ეპისკოპოსები და ბერები; ქალები - ლამაზები, მამაკაცები - გულადნი; და მაინც მშობლები ჰყიდიან შვილებს, ქმრები - ცოლებს, თავადები - ყმებს, მორწმუნენი - მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობა სუფევს ამ მხნე, უნდო, მტაცებელ ადამიანთა შორის". ამ სიტყვების მთარგმნელი შ. რევიშვილი ("ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე", თბ., 1987) შემდეგ განაგრძობს: "ტყვეებით ვაჭრობის თაობაზე ჯერ კიდევ წინა საუკუნეში ლაპარაკობენ იტალიელი მისიონერები: დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, იოზეფ მარია ძამპი და არქანჯელო ლამბერტი; აგრეთვე ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი და გერმანელი მწერალი ებერჰად ვერნერ ჰაპელი". პატრიოტული მოსაზრებიდან ამოსული შ. რევიშვილი ამტკიცებს: "მისიონერები საგანგებოდ აზვიადებდნენ ამ ტრაგედიას, რათა შემდეგ კიდევ უფრო მეტად გაემუქებინათ და გაეზვიადებინათ საკუთარი მცდელობა და დამსახურება ამ უკეთურებათა ამოძირკვის სულის მარგებელ საქმეში". რომელ "გაზვიადებაზეა" საუბარი, როდესაც არსებობს დონ კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატები იმ საზარელი ფაქტებისა! მის ალბომში (თბ., 1977) № 154, 330, 331 სურათებს ახლავთ ასეთი მინაწერები: "მყიდიან ბავშვთან ერთად, წყეულო სატანა!"; "ამ ზღვისპირა ქალაქში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართება ყველა ჯურისა და ასაკის ბავშვთა, კაცთა და ქალთა გასაყიდად. აქედან გადიან კონსტანტინოპოლისაკენ ქრისტიანების მიერ თურქებზე გაყიდული ბავშვებით დატვირთული სავსე გემები, მათი ბავშვების სულები ხომ სამუდამოდ დაკარგულია! აქ შვილი მამასა და დედას ჰყიდის, რაც ფაქტია: მამები და დედები თავიანთ შვილებს ჰყიდიან, რადგან ფულს უფრო აფასებენ, ვიდრე საკუთარ სისხლს"; "ბავშვების ბაზარი ქობულეთის მოედანზე, გურიის პროვინციაში. მატუტა ჩენსერია საკუთარ დედას ჰყიდის. ჩვენებმა მას ჰკითხეს: ასეთ დიდ ცოდვას რატომ სჩადიხარო? მან გვიპასუხა: ეს ცოდვა კი არ არის, პირიქით, დიდი შემბრალებლობააო. პირველ ყოვლისა, რადგან დედაჩემი მიდის თურქების ქვეყანაში, ამით თავის მდგომარეობას იუმჯობესებს. აქ რომ ყოფილიყო, თავისი ლაპარაკით ამიმხედრებდა საქონელს, ოჯახსა და შვილებს, ახლა კი ჩემი ცოლი დამშვიდდება და დაწყნარდებაო". ალბათ "აზვიადებდნენ" მისიონერები ამას, მაგრამ იმ საეჭვო დამთხვევაზე რაღას ვიტყვით, რასაც ჩვენივე მემატიანე გვამცნობს?! ან რა გარანტია და პერსპექტივა ექნებოდათ მისიონერებს, რომ ეს "ამოძირკვა" მართლაც მოხდებოდა?! თუმცა იყვნენ სხვებიც, მაგალითად, ბერნარდო მილანელი (XVII ს.): "ქართველები გონიერნი კაცთმოყვარენი არიან" (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 683) ან პეტრო დელა ვალე: "ქართველი ხალხი არაა ბარბაროსი, როგორც ამას ზოგიერთი ჩვენი ავტორი მოგვითხრობს..." (მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი 1995, გვ. 171). მაგრამ ჩვენივე დავით გურამიშვილი განა არ გვამცნობს, რომ:

შეიქმნა დიდი მტერობა,
თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური,
ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა,
გზებზე დასხდომა მზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება
ქვრივთა,ობოლთა, მწირისა!

"კავკასიური სახლის" მოყვარულებს კიდევ ერთ სტროფს გავახსენებ დავით გურამიშვილიდან:

თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი,
ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,
სრულად ქართლის მტერნი იყვნენ,
ყველამ წაკრა თითო ქიშტი!

როგორ გგონია მკითხველო, რა ნიშნით გაერთიანდნენ ეს ერები საქართველოს წინააღმდეგ? პასუხი ნათელია: რელიგიური ნიშნით, ისლამით! ("კავკასიური სახლის" დიასახლისმა 1992 წელს ჩემთან საუბარში ახსენა, რომ გერმანიაში ყოფნისას ერთ-ერთ გაზეთში საქართველოს სახელით ჩრდილო კავკასიელებს ბოდიში მოვუხადეო. რაღას გავაწყობდი, სისულელე უკვე ჩადენილი იყო...).

ახლა მოვუსმინოთ ამ სტროფის გაგრძელებას:

მერმე შინათ აიშალნენ,
ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი;
თავის თავსა ხმალი იცეს,
გულთა მოიხვედრეს ხიშტი!

აი, ეს ამღვრეული სისხლი, პირველცოდვისა და პიროვნული ცოდვის არეული თესლი გადმოვიდა ჩვენში, რამაც მეოცე საუკუნის ბოლოს ამდენი ვაება დააწია დამოუკიდებელ საქართველოს.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

სახელი

გვარი

ასაკი

სიმაღლე

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

## TV პროგრამა

8 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალეები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 00.50** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "რამდენიმე დოლარით მეტი" (გ) **15.25** ქართული ფეხბურთის მიმოხილვა **16.30** სერიალი "შეყვარებული ქალები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **18.55** ხალხის პირისპირ **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "სტილეტი" (18) (რობერტ დე ნირო) **01.10** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ანესთეზიის ისტორია" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "არქივი" - დოკ. ფილმი "ბორის პაიჭაძე" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (ჰონგ კონგი) **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -წყალი და ადამიანი **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ-"ხმა და სიჩუმე" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "სუპერვულკანები" **23.00** პროფესიონალი - ფოტოგრაფი **23.30** მხ. ფილმი "ცუდი ბიჭი (18) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "პარანოია" (15) (ჯესიკა ალბა)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის გული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "ცხოველთა სტრატეგია" **21.45** დოკ. ფილმი "გახსოვდეს ბიზანტია" **22.35** კინოსეანსი "თუში მეცხვარე" მე-2 ს.

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ორი ბედი" 1-ლი ს. **12.20** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.40, 16.25, 02.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "პოლიციური ისტორია" (ალენ დელონი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილმი "გრძელი გზა შინისკენ" (გ) (ე. ბერნსტაინი) **01.20** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** კომედია "უგროშოდ ბევერლი ჰილზში" **11.10** მუსიკა **11.40** "სტარტი" **12.10** მხ. ფილმი "ამერიკელი ბოროტმოქმედი" **13.50** კომედიური ბოევიკი "ჩემი ცოლი განგსტერია" **15.40** მუსიკა **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.45** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** მხ. ფილმი "იმედის წყარო" **20.30** საინფ. დაიცესტი **21.00** დრამა "მტერი ჭიშკართან" **23.10** მუსიკა **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "ფანატიკოსი" **01.25** მუსიკა

### კავკასია

**11.00** მხ. ფილმი "მუხრუჭი" (გ) **12.30** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ჭიანჭველები შარვალში" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Игорь Ясулович в фильме **"ПО ЗАКОНАМ ВОЕННОГО ВРЕМЕНИ". 15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 16.30** "Пять вечеров". Вторник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ". 19.50** Лариса Удовиченко в детективе **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА-2". 21.00** Время. **22.40** Спецрасследование. "Замужем за иностранцем". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Звезды эфира". Леонид Филатов. **00.20** Крылья. "Твердый воздух". **00.50** Док. сериал "Оружие второй мировой войны". **01.20** Майкл Дуглас в триллере **"ЗВЕЗДНАЯ ПАЛАТА"**. Судье Стивену Хардину кажется, что он сходит с ума: из-за оплошности полицейских, совершивших ошибку при задержании преступника, он вынужден признать его невиновным. В результате убийца 8-летнего мальчика оказывается на свободе. Это не единичный случай. Судья Бен Кофилд, видя душевные терзания Хардина, предлагает ему стать членом тайного общества, члены которого - такие же слуги несовершенной системы правосудия. Главная цель организации - разбираться с преступниками собственными силами... **03.20** Телли Савалас в боевике **"ГРЯЗНАЯ ДЮЖИНА: СМЕРТЕЛЬНОЕ ЗАДАНИЕ"**. Вторая мировая война. Двенадцать американцев-"штрафников" - убийцы, воры, насильники -, отбывающие срок в тюрьме в ожидании приговора, получают уникальный шанс искупить свою вину. Они должны выполнять смертельно опасные задания. Одно из них - спасти из лап нацистов группу крупных ученых. **05.05** Сериал **"СВИДЕТЕЛЬ ПРОТИВ МАФИИ"**.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: СМЕРТЕЛЬНОЕ НЕДОРАЗУМЕНИЕ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чистосердечное признание. **10.55** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 11.55** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 13.30** Жан Марэ в комедии **"ФАНТОМАС"**. Журналист Фандор преследует таинственного преступника Фантомаса, совершающего дерзкие ограбления и убийства. За Фантомасом охотится и полиция, которую возглавляет туповатый комиссар Жюв. Неуловимый преступник использует портретные маски преследователей во время налетов, окончательно запутывая полицию и прессу. А сам Фантомас увлекся Элен, невестой Фандора, и только ревность леди Бельтам, преданной спутницы Фантомаса, помогла влюбленным вырваться из плена многоликого злодея, который мечтает о мировом господстве и использует новейшие достижения науки и техники, чтобы остаться безнаказанным... **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 20.45** Сериал **"КАРУСЕЛЬ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СТЕРВЫ, ИЛИ СТРАННОСТИ ЛЮБВИ". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"ПАРНИ ИЗ СТАЛИ". 01.20** Кэтрин Моррис в сериале **"ДЕТЕКТИВ РАШ"**. 1-я серия. **02.10** Бильярд. **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II". 05.40** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



ხის ქოჩორი

# აყვავებულ ჩინეთს ორიგინალური გამოცემა მიეძღვნა



ჩინეთში პირველი ოქროს გაზეთი გამოვიდა. ორიგინალური და ძვირფასი გამოცემა ორ ეგზემპლარად დაიბეჭდა. პირველ გამოცემაზე კილოგრამნახევარი ოქრო დაიხარჯა, რასაც თითქმის რვა ათასი დოლარი დასჭირდა; მეორე, შედარებით იაფი დაჯდა - სამი ათას ხუთასი დოლარი და ის ორას გრამ ოქროს შეიცავს. ამგვარად გამოცემამ China Economic Daily ჩინეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უკანასკნელი ათი სხდომის მიღწევები აღნიშნა. ამ უნიკალურ გამოცემებს "ჩინეთის აყვავების პერიოდი" უწოდეს. გაზეთი გამოცემულია შენჩჟენში, ქალაქში, რომელიც სწრაფად განვითარდა.

# EMI-ს შემოსავლებმა იკლო




ბრიტანული მუსიკალური ინდუსტრიის გიგანტის - EMI-ის აქციების ფასმა 15 პროცენტით დაიკლო მას შემდეგ, რაც კომპანიამ შემოსავლების შემცირება ორი მნიშვნელოვანი ალბომის გამოსვლის დაყოვნებით ახსნა.

EMI-ის ხელმძღვანელობა იტყობინებოდა, რომ მარტში გაყიდვების მაჩვენებელი 8-9 პროცენტით დაიკლებდა გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით; რის გამოც, კომპანიის შემოსავალი იქნება 15 პროცენტით ნაკლები, ვიდრე ექსპერტები ვარაუდობდნენ. ვითარებას კომპანიაში შობის შემდეგ გაყიდვების შემცირებით, ასევე ჯგუფების: "ქოლდპლეისა" და "გორილაზის" ახალი ალბომების გამოსვლის თარიღის გადავადებით ხსნიან. სწორედ ამ ჩანაწერებზე ამყარებდა კომპანია თავის კომერციულ იმედებს. ალბომების გამოსვლის დაგვიანებაზე კომენტირებისას EMI Music-ის ხელმძღვანელმა ალან ლევიმ აღნიშნა: "მუსიკის შექმნა და გაყიდვა არ არის ზუსტი მეცნიერება და მისი ტენდენციები ყოველთვის არ ემთხვევა ჩვენს გეგმებს". თუმცა, როგორც კომპანია Numis Securities-დან ანალიტიკოსი პოლ რიჩარდი მიიჩნევს, მუსიკალური ბაზრისთვის EMI-ის გაყიდვების მაჩვენებლის შემცირება გაცილებით მეტია, ვიდრე "ქოლდპლეისა" და "გორილაზის" ახალი ალბომების გამოსვლის გადავადება.

# ნოა-ნოა გადატანილ ღონისძიებებს მართავს

კლუბი "ნოა-ნოა" 9 თებერვალს ჩინურ ახალ წელს აღნიშნავს. როგორც ცნობილია, 4 და 5 თებერვალს კლუბში რიო-კარნავალის მოწყობა, 8 თებერვალს კი ჩინური ახალი წლის აღნიშვნა იყო დაგეგმილი. თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების გამო დაგეგმილი ღონისძიებები გადაიდო. კლუბში ჩინურ ახალ წელს 9 თებერვალს, რიო-კარნავალს კი 11 და 12 თებერვალს აღნიშნავენ.

საახალწლო ღამეს "ნოა-ნოაში" რუსთაველის თეატრის მსახიობი იაშა იაშვილი პატარა პერფორმანსს წარმოადგენს, ჩინური რესტორანი "ჩაინა თაუნი" კი სტუმრებს ჩინური მენიუთი გაუმასპინძლდება. ***ინტერ-პრესი***



**გამოსათხოვარი**

გარდაიცვალა ქალბატონი ქეთევან მაჭავარიანი. მისი ლამაზი და საინტერესო ცხოვრება, ჯერ კიდევ თავისი მამის, გამოჩენილი ქართველი ლოტბარის კირილე პაჭკორიას აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების პერიოდში დაიწყო, რომელიც შემდგომში ფართოდ გაიშალა, როდესაც იგი ქართველი კლასიკოსის, კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის მეუღლე ხდება. მათ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა ცნობილი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი. ქალბატონი ქეთევანი იყო ნიჭიერი არქიტექტორი. მის ოჯახში თავს იყრიდნენ მსოფლიოს უდიდესი შემოქმედნი, საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც აღფრთოვანებაში მოდიოდნენ ქალბატონი ქეთევანის მომხიბლავი პიროვნებით, მაღალი ერუდიციითა და სულიერი სიმდიდრით. ქალბატონი ქეთევანი თავისი მაღალგონიერებითა და კეთილმოსურნეობით შთაგონების წყარო იყო არა მარტო თავისი მეუღლის, ალექსი მაჭავარიანის და შვილის ვახტანგის შემოქმედებითი იმპულსებისა, არამედ ყველა იმ პიროვნებისთვის, ვისთანაც იგი მეგობრობდა.

თ. შავლოხაშვილი

# "სამართლიან თამაშს" უსამართლობაში ადანაშაულებენ



დოსტოევსკის შვილთაშვილი ლატარია "სამართლიანი თამაშის" დირექციას უჩივის. დიდი მწერლის შთამომავალი ლატარიის ბილეთზე წინაპრის გამოსახულებამ აღაშფოთა; მორალური ზარალის სანაცვლოდ იგი 200 ათას მანეთს ითხოვს და აღნიშნავს, რომ სასამართლო დავაში ის ფულის გამო არ ჩაბმულა; ამ გზით დიმიტრი დოსტოევსკი დიდი ლიტერატორის სახელის ღირსების შენარჩუნებას შეეცდება.

"ფეოდორი წლების განმავლობაში ებრძოდა აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებას, შედეგს კი მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში მიაღწია; ამას გარდა, ცნობილია, რომ რომანი "მოთამაშეს" წყალობით ბევრმა შეძლო აზარტული თამაშების დემონებისგან გათავისუფლება. ასე რომ, ადამიანების აზარტულ თამაშებში ჩასართავად დოსტოევსკის სახელის გამოყენება, უბრალოდ, ამორალურია", - განმარტავს დიმიტრი დოსტოევსკი.

დოსტოევსკის გარდა, "სამართლიანი თამაშის" სხვადასხვა ბილეთზე გამოყენებულია რუსეთის კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა გამოსახულებები. მათ შორის არიან: მიხეილ ლომონოსოვი, კონტსანტინე სტანისლავსკი, იმპერატორი ალექსანდრე პირველი და სხვები. რაც შეეხება სასამართლო გარჩევის ბრალმდებელ მხარეს - დიმიტრი დოსტოევსკისა და მისი ადვოკატის აზრით, ლატარიის ორგანიზატორებმა რუსეთის კონსტიტუცია და სამოქალაქო კოდექსი დაარღვიეს. იურისტის განცხადებით, ამა თუ იმ ადამიანის სახელისა თუ გამოსახულების გამოყენება კომერციული მიზნით ამ ადამიანთან ან მის წარმომადგენელთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია. თავის მხრივ, "თავს იმართლებენ" ლატარიის ორგანიზატორები. მათი თქმით, 1872 წელს ვასილი პეროვის მიერ შესრულებული დოსტოევსკის პორტრეტი საზოგადოების კუთვნილებად იქცა და ნებისმიერ პირს შეუძლია მისი გამოყენება. ყველაფერს კი იმედია, სასამართლო გადაწყვეტს.


## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ყველა ტერიტორიულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობებზე

**კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები:**

კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

**წარმოსადგენი საბუთების ნუსხა**

■ წერილობითი განცხადება სპეციალიზებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
■ განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
■ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
■ ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
■ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
■ საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული ანკეტა;

საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოში განაცხადების მიღება იწარმოებს 2005 წლის 7 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 14:00სთ-დან 18:00სთ-მდე.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად, ტესტირებისა და გასაუბრების სახით.

საკონკურსო მასალებისა და ტესტების გაცემა იწარმოებს საბუთების მიღებისას.

ტესტირება ჩატარდება 5, 6, 12 და 13 მარტს.

მისამართი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქ. N10;

ტელ: 758293

ელ-ფოსტა: ministry@justice.gov.ge

ტესტირების განრიგი იხილეთ გაზეთ "24 საათი"-ს 28 თებერვლისა და 1 მარტის ნომრებში.

დამატებითი ინფორმაცია და საკონკურსო ტესტები იხილეთ იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდზე www. justice.gov.ge



საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
■ საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
■ აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
■ ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
■ ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge



რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
12-დან 18 საათამდე მუშაობს კაფეს სტატუსით, სადაც ნებისმიერი კერძის ფასია 3 ლარი - 18 საათის შემდეგ კი, თითოეულ სტუმარს, რომლის მიერ შერჩეული მენიუს ღირებულება 25 ლარს გადააჭარბებს, მივართმევთ ღვინოს ("რქაწითელი") უფასოდ, განუსაზღვრელი რაოდენობით.
ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24



ბიზნეს ჯგუფი "ვალენსია" გთავაზობთ




50-დან 400კვმ-მდე ბინებს უნიკალურ კომპლექსში, თავისუფლების მოედნიდან 5 კმ-ში, დოლიძის ქ. №18 (5 დეკემბრის ქუჩის პირველივე ასახვევი მარცხნივ), შემაღლებულ ადგილას, პანორამული ხედით, წყნარ და დაცულ ტერიტორიაზე. ბინები ჩაბარდება „თეთრი კარკასი".
შესაძლებელია ბიზნეს-ჯგუფი „ვალენსიის" მიერ იმპორტირებული, მაღალხარისხიანი მასალების, ავეჯის, სანტექნიკის, გათბობის სისტემების მიწოდების უზრუნველყოფა შეღავათიან ფასად და განვადებით.
შესაძლებელია 6 წლიანი განვადება.



## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.